სამსონ ფირცხალავა

ისტორიული ლანდშაფტი

თბილისი „მერანი“ 1990

63. 3 ((21)
ფ 644

წიგნი შეადგინა და გოლოსიბყკაოგბა დაურთო

ბ უ რ ა ბ ი ბ ა რ ა ძ ე ბ

რედაქტორი გივი ალსაზიშვილი

47020172ᲝᲚ—207
ფ
ᲛᲐ 604(08)—90

© გამომცემლობა „მერანი“
კოოპერატივი „ისტორიკოსი“

ქართველი ერის
სიყვარულის და მოუხარებლის
ამ რვეულს
ვუძღვნი ანალგაზრდობას.

ს. ფ.

ავტორისაგან

ჩვენი განზრახვაა, პატარ-პატარ ამბების სახით, გავაცნოთ მკითხველებს საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მთავარი ეპიზოდები, რაც უეჭველია დაეხმარება მათ ჩვენი წარსულის შესათვისებლად. ეს კი აუცილებელი საჭიროებაა. ეხლანდელი ქართველობის უდიდესი ნაკლია თავის ერის თავგადასავლის სრული უცოდინარობა და ამით მეტად შეფერხებულია როგორც ჩვენი საზოგადოებრივი მუშაობა, ისე ყოველდღიური ცხოვრება. ადამიანები, რომელთაც არა უწყიან რა თავის ქვეყნის გარდასრული ამბების, ვერასოდეს აწარმოებენ სწორს ეროვნულ პოლიტიკას და ვერც პრაქტიკულ უნარიანობას გამოიჩენენ, რადგან სინამდვილისაგან გარიყულნი არიან. საქართველოს დღევანდელი დღე გუშინდელის წარმოშობილია და ვერავინ გაიგებს აწმყოს, ვინც გუშინდელს არ იცნობს.

განსაკუთრებით საჭიროა ქართველი ერის ისტორიის ცოდნა ემიგრანტობაში, როცა მოკლებულნი ვართ საშუალებას უშუალოთ განვიცადოთ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ერი. აქ შეგვიძლია მხოლოდ მშობლიურ ისტორიაში ხშირი ჩახედვით და ისტორიული ამბების მოგონებით გავიცხოველოთ ჩვენს შემეცნებაში ქართველი ერი და წარმოვიდგინოთ იგი როგორც სრული რეალობა და არა განყენებული იდეა. ეს აუცილებელია უპირველესად აქაურ ჩვენი მოზარდ თაობისათვის, რომელსაც მკრთალი სახე აქვს დარჩენილი სამშობლოსი ან არც კი ახსოვს ან არც უნახავს.

იმედი გვაქვს, ჩვენი ისტორიული ეპიზოდები ქართველ მკითხველს დააინტერესებს და შემდეგ იგი მოინდომებს, უფრო ვრცლად და დალაგებით გაეცნოს საქართველოს ისტორიას, რომელიც ოღონდაც რომ მდიდარია და აღსავსე სიდიადით.

„ისტორიული ლანდები“ თავისუფალი შემოქმედებ-

ის ნაყოფია, თუმცა მტკიცედ ემყარება ისტორიულ სინამდვილეს. ხოლო „ისტორიულ ამბებს“ ვიღებთ „ქართლის ცხოვრებიდან“, ხანდახან შეგვაქვს მცირეოდენი ცვლილება, ხან დაურთავთ რასმე, ხან მატიანეს მოცემულ თეზას გავშლით და გავაფართოვებთ, ხოლო ფაქტებს არასოდეს ვღალატობთ. „ქართლის ცხოვრების“ ნაამბობს აქა-იქ ლეგენდური ხასიათი აქვს, მაგრამ ეს ლეგენდაც ძვირფასია, რადგან გამოხატავს ჩვენი ერის იდეალს, რწმენას, მისწრაფებას. მაგალითად წმ. ნინოს ცხოვრებაში (იმ სახით, როგორიცაა, „ქარ. ცხ.“-ში. შედგენილია დაახლოვებით მეათე საუკ.) ვხედავთ, რომ ქალის მაღალი პატივისცემა, რომლის უაღრესი გამოხატულება რუსთაველმა მოგვცა, შორიდან შემუშავებული ეროვნული თვისებაა.

ისტორიული ლანდები

I

რომის ჯარების შემოსევამ საქართველოში დიდი არევა გამოიწვია. ხალხიკი ბრძოლები იყო: ქართველები გმირულად იცავდენ თავის დამოუკიდებლობას. მეფე ფარსმანი ყოველივე მორიგების უარს ამბობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ რომაელებმა სამხედრო მოქმედება შეაჩერეს — გეგმას ცვლიდნენ თუ დამხმარე მეომრებს მოელოდენ.

ამ შემოსევის დროს მოსახლეობა დაიძრა — ნაწილი მიუვალ მთებში გაიხიზნა, ნაწილი სამხრეთ აღმოსავლეთის საზღვრებს მიაწვა. რამდენიმე კომლი სომხეთის პირას, ქართლში დაბინავდა, ტყის გვერდით გაჭართეს კარვები და იქ თავი შეაფარეს. იყვნენ იბერები, კოლხები, მესხები, სხვადასხვა ტომი, რომელნიც გაჭირვებას და მტრის დევნას მეშიდროთ შეეკავშირებია. თავს მეტწილად ნადირობით ირჩენდენ. ბავრამ მათ შორის იყვნენ უპატრონონი, ჩჩვილი ბავშვები — მშობლები ბრძოლაში დახოცოდენ ან ვერ აეტანათ გრძელი და მძიმე მოგზაურობა. შიშველნი კარდაკარ დადიოდნენ და მათხოვრობდენ.

სამნი — ოთხი, ხუთი წლის თუ იქნებოდენ — სოფლის მამასახლისის ბინას მიადგენ. ძაღლებმა კინაღამ დაგლიჯეს. მაგრამ უცბათ სახლის დედა გამოვიდა, ღიმილით და ალერსით მიეგება ბავშვებს. შინ შეიყვანა, დააპურა, ტანთ შემოსა და უზრუნველა. ამ დღიდან თავი არ გაუნებებია, თავის შვილებთან ზრდიდა, ნამდვილი დედობა გაუწია და როცა ქმარი ხანდახან უსაყვედურებდა: რა აიკიდე ეს უცხო გადამთიელი ბალღებიო, ქართლის დედა სიყვარულით უპასუხებდა:

— არა, არა, ეგენი სხვანი არ არიან; ჩვენები არიან, ჩვენი სისხლი და ნათესავი. ქართუს ძუძუ ყველასია — მესხი, კოლხი, აბასხი, ლასხი, ქართუელი — ერთია ერთი! იქნება ქართუელი ერი, იქნება საქართველო!

* * *

ახალგაზდა საურმაგი ფრიად წარჩინებული იყო მეფის კარზე, ჯარის წინამძღოლი. ეხლახან დაბრუნდა ბრძოლის ველიდან და მცხეთაში გასაოცარი ამბები დახვდა: ერთს ტყვექალს ნინოს მეფე-დედოფალი დაუბრმავებია, ძველი კერპები დაუმსხვრევია, ახალ რჯულს ჰქადა-

გებს ვიღაც ურიის, იესო ნაზარეველისაო. გაბრაზდა, გაწყრა, ცეცხლივით აინთო, ეს ხომ ქვეყნის დაღუპვაა: არმაზი დაიქცა — მაშ ქართლიც უნდა დაიქცესო. უთუოდ მავნე იქნება ის ქალიო.

გადაწყვიტა საკუთარი ხელით მისი მოკვლა, მოკვლა კი არა, წამება — ათჯერ მოკვლა. შუაღამე გადასული იყო, რომ შეიჭრა ნინოს ქოხში, რომელიც განცალკევებით იდგა. ხელში მახვილი ეჭირა, რომ მყისვე ჩაეცა მტრის გულში. მთვარის შუქი შეყვა კარებში და დაინახა: ნინოს ხელები აღემართა და თავის ღმერთს ევედრებოდა. მეტად ლამაზი ჩანდა. მოიხედა, არ შემკრთალა; სათნოებით, სიმშვიდით აღსავსე თვალებით შემოხედა საურმაგს და მის სახეზე ამოიკითხა მისი გულის ფიქრები. უთხრა: რაისთვის მოსულხარ, რა გაგიზრახავს, უბედურო! ლმობიერათ დააცქერდა ვაჟს და რაღაც უხილავი, გრძნეული სხივი ჩაანათა მის გულში. საურმაგს მოწყდა საშინელი სიმძიმე, თავიდან ფეხებამდე ჩაუარა და ჩასკდა უფსკრულში. ნინო განაგრძობდა: განა მტერი ვარ? მხოლოდ სიყვარული და სინათლე მომიტანია და ქართლის ყოველი მკვიდრის გულში მინდა დავანთო იგი. იყავ მწე ჩემი!

საურმაგი გარეტიანებული შეჰყურებდა. მერე შეირხა. მახვილი შორს გადაისროლა; მუხლებზე დავარდა და შეღაღადა: მიბრძანე, ასულო! მონა ვარ შენი! — თქვა და მდუღარე ცრემლებით დაალტო ნინოს კალთა.

* * *

გათავდა. მრავალი ბრძოლა, ქარიშხალი, ტალღათა ხეთქა დასრულდა. გადაწყდა: შოთა ხვალ დილით მიემგზავრება იერუსალემს, სადაც აღიკვეთება ბერად. სამუდამოდ მიდის ამ სოფლიდან. სტოვებს ყველაფერს — სტოვებს მშვენიერს საქართველოს, დღეს ამაღლებულს, აყვავებულს, ძლიერს და სტოვებს ღვთის სწორს თამარს, ოცნების სილამაზის განსახიერებას, ღვთიურ გონების და გულის ჭურჭელს...

თამარი უყვარდა გახელებულად. მაგრამ უყვარდა ვინ, რისთვის? უყვარდა თამარი ქალი, უნახავი სიმშვენიერის, თუ ადამიანი, რომელშიაც დაბუდებულიყო თვით ღვთაება, თუ მეფე მადიდებელი საქართველოსი? თუ ყოველივე ეს თავსდებოდა თამარში, ვერ თავსდებოდა და ვერ რიგდებოდა შოთას გულში: ქალის სიყვარული ღვთაებას შელახავდა და ღვთაების სიყვარულისთვის ქალის დათმობა რომ არ შეეძლო?..

რას ფიქრობდა თვითონ თამარი? არ უყვარდა? უყვარდა შოთა მთელის თავის ნაზის გულით და ცრემლებს აფრქვევდა „ვეფხის ტყა-

ოსნის“ კითხვის დროს, რომელიც მისთვის მეორე სახარება იყო. ხოლო გაურბოდა ამ სიყვარულს, არ უნდოდა. მისი მოწოდება არა ამ ქვეყნიური იყო, ღვთის ნებას აღასრულებდა, საქართველოს პატრონობდა. ავმა რუსმა მოინდომა მისი დაუფლება, ეხლა ჰყავს ქმარი, შვილების მამა — დავითი და ეს კმარა მიწიერისათვის. სხვა ზეცას ეკუთვნის, ზეცას და ქართველს ერს.

მწუხრის ლოცვის შემდეგ იხმო თამარმა შოთა. დუმილით შეხვდნენ ერთმანეთს. თითქმის არა უთქვამთ რა ღრმა ფიქრებში ჩაფლულთ, ორივეს ესმოდა ერთი მეორის გულის ცემა. ჰფიქრობდენ, რომ მათი სიყვარული ქვეყნის დასაბამიდან იყო და იქნება მარად, სოფლის უკანასკნელ დღემდე. ვერც დრო და ვერც მანძილი მათ ვერ დააშორებს.

თამარმა გადმოიხსნა ოქროს ჯვარი, გადაკიდა შოთას, ეამბორა შუბლზე და უთხრა: ილოცე ჩვენთვის, ილოცე საქართველოსთვის!..

* * *

შაჰ-აბაზი სადღესასწაულოდ არის მორთული. ორი დღეა საქართველოდან დაბრუნდა. ნახევარი ქვეყანა გაანადგურა. მრავალთა ამოხადა სულები. კიდევ იურჩებენ უღვთონი? ვეღარ! დღეს დედოფალი ქეთევანი აქა მყავს, ცეცხლით დავსწვავ, სადგისებით დაუჩხვლეტ გულს და მოვტეხავ: ვაგმობინებ თავის რჯულს და ჩემს მხევლად გავხდი, გვერდში დავიწვენ და გავთელავ მის სილამაზეს!

შაჰი წინდაწინ დარწმუნებულია გამარჯვებაში და ადრეევე ხარობს, ღიმილი ჰკრთის მის ბოროტ სახეზე.

ქეთევანის წამებას უკვე შეუდგენ მოშორებულ ოთახში და ირანის ბრძანებელი წუთ წუთზე მოელის მახარობელს. მაგრამ იგვიანებენ. დრო გადის. არაფერი ისმის. შაჰ-აბაზი წამოვარდება, ხელს ხელზე დაჰკრავს და დაუძახებს: ჰეი, ვინ არის მანდ?

შემოდის ნელის ნაბიჯით კარის მსახური და მოახსენებს: მეფეთ მეფეო, დედოფალი სიკვდილის პირზეა, მაგრამ უარობს...

შაჰ-აბაზი სიტყვას გააწყვეტინებს: დამეკარგე და შენისავე ხელით გაიგმირე გული! — ჰეი, მეახელით, ვინ არის მანდ? კიდევ დაუძახებს. კვლავ მოახსენებს მეორე: დედოფალი სულს ძლივსღა ითქვამს, მაგრამ არ დაგმორჩილდა. — წადი, ეახლე ჯალათს, რომ მოგკვეთოს თავი! შეუტევს ბრაზ მორეული შაჰი. შემოდის მესამე და კანკალით ამბობს: მეფეთ მეფეო, დედოფალი ქეთევან გარდაიცვალა და მისი უკანასკნელი სიტყვა იყო საქართველო!

• • •

ოსმალეთი თანდათან შემოდიოდა საქართველოში. მესხეთის მეტი ნაწილი დაიკავა, სოფლები ააოხრა, მკვიდრთა ძალით მაჰმადიანობა მიიღებინა. ჯერ დაუპყრობელ ადგილებში მრავალი გამოქცეული გადმოდიოდა და საშინელ ამბებს უამბობდენ თავის მოძმეებს.

იმერხევის მარჯვენა ნაპირზე ლომიძის სახლში მისი ცოლი ნათელა სერობის სუფრასა შლიდა, თუმცა ჭამის გუნებაზე არავინ იყო: ბალმიდან ცნობა მოვიდა, ოსმალები გადვესხენო — იქ კი ნათელას ძმობლები ცხოვრობდენ. უცბად სახლის კარს თითქოს ვიღაცა დაეტაკო და კივილი გაისმა. ნათელა და მისი ქმარი კარებთან მივარდნენ, გააღეს, ნახეს: მიწაზე ნათელას მოხუცი დედა ეგდო, უგრძნობლად, გასისხლიანებული, მთლად სოველი. სახლში შემოიტანეს. უსალბუნეს, მოასულიერეს.

მოხუცმა ხმა ამოიღო მძიმედ: დავიღუპენით, ამოგვიწყვიტეს... აღარ მამაშენი, შვილო, შენი ძმები, რძლები, მათი შვილები — დახოცეს, დასწვეს... მე ერთმა ვუშველე თავს, ორი თოთო შვილისშვილი გამოვიტაცე. მეგონა იმათ მაინც გადავარჩენდი... მოვრბოდი, მდევრები დამადევნეს, გადმოვეშვი მოვარდნილ მდინარეში... მაგრამ მიმტყუნა ძალამ... ბავშვები წყალმა შთანთქა და მე კი ნაპირზე გამომაგდო...

მოხუცი დადუმდა, კვდებოდა. უკანასკნელი ღონე მოიკრიფა და იტყოდა კიდევ: ვიღუპებით, თათარი დაიპყრობს მთელ ქვეყანას, წაგვართმევს რჯულს, წაბილწავს ჩვენს საყდრებს, შელახავს ჩვენს სინდისს, ყველაფერს დავკარგავთ... მაგრამ დაიმარხე, შვილო, გულში ჩემი ანდერძი და საშვილიშვილოთ გადაეცი: — არ დაკარგოთ ენა, ქართული ენა! — ამ სიტყვებთან ამოიღო უბიდან სათუთად გამოხვეული საოჯახო განძი, რამდენიმე საუკუნის მახსოვარი ქართული ხელნაწერი და გადასცა ნათელას. თან დაავედრა: არ დაკარგო, გაუფრთხილდი შვილზე მეტად!..

II

საბა ბერი უკანასკნელ დღეში იყო. ღრმა მოხუცი, ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული, კარგად ჰგრძნობდა, რომ უკვე ამ ქვეყნის აღარ იყო. ღონე მიხდილს ძვლისა და ტყავის მეტი არა შერჩენოდა რა, უსაგებო ლოგინზე იწვა ჩოხა წამოხურული და მოძრაობაც აღარ შეეძლო. რამდენიმე დღეა არა უჭამია რა, წყალს თუ დალევდა ხოლმე ხანდახან.

მისი ფიქრები საიქიოში დატრიალებდენ, ემზადებოდა ღვთისა და

მის ანგელოზთა შესახვედრად, ლოცულობდა, იგონებდა თავის ცხოვრებას და შეცოდებათა პატიებას ევედრებოდა შემოქმედს. ორმოცდაათი წელი გაატარა წმ. მთაზე, ქართველთა მონასტერში და მთელი თავისი დრო საღვთო წერილის და წმიდათა ცხოვრების გადაწერას და გავრცელებას მოანდომა. საუცხოვო მწიგნობარი იყო და მისი ხელით ლამაზად გადაწერილი წიგნები მთელ საქართველოს მონასტრებსა და ეკლესიებში და უცხოეთშიაც მრავლად მოიპოვებოდა. ზედმიწევნით იცოდა ბერძნული, სირიული და კოპტური და უცხოთა თარგმანებს მოიხმარიებდა, როდესაც სისწორით ვერ ამოიკითხავდა ქართული დედნის სიტყვებს. მამლის პირველ ყივილზე რომ წამოდგებოდა, გეიან ლამემდე ეტრატი ედვა წინ და სიყვარულით და ხელოვნებით ამოხატავდა ზედ საღვთო სიტყვას.

ასე მოღვაწეობდა საბა ბერი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართული წიგნისათვის და კმაყოფილი იყო თავის ცხოვრების. მაგრამ ერთი მწარე წაღველი თან ახლდა ამ კმაყოფილებას და ეს მეტად ალონებდა მოხუცს. ამ რამდენიმე ხნის წინად შეუდგა ოთხთავის გადაწერას ძვირფას ეტრატზე. რომელიც უნდა გაეგზავნა ბაგრატის ახლად აგებული ტაძრისთვის ქუთაისში. წიგნი თითქმის დამთავრებული ჰქონდა, იოანეს სახარების უკანასკნელი თავი აკლდა მარტო, რომ ნამეტნავად დაუძლურებული ლოგინად ჩავარდა და თუმცა ბევრჯელ მოინდომა წამოდგომა და შრომის დამთავრება, მაგრამ ვერ შესძლო.

ეს აშფოთებდა ახლა და არღვევდა მის სულიერს სიმშვიდეს. მძიმელოდად აწვა კისერზე და დიდ შემცოდედ მიაჩნდა თავისი თავი. რცხვენოდა, ეშინოდა, ჰკანკალებდა, ცივი ოფლი დაასხამდა. დამნაშავე იყო უფლის წინაშე, დამნაშავე იყო ქვეყნის, თვის ერის წინაშე.

მიაჩერდა ღვთისმშობლის ხატს. სდუმდა და ამ დუმილში უღრმესი ლოცვა იყო. ცრემლს აფრქვევდა...

მეორე დღეს ბერები რომ საბას სენაკში შეევიდნენ, ნახეს იგი მკვდარი, მჯდომარე გაცივებული. ეტრატი მუხლებზე ედვა, კალამი ხელში გაქვავებოდა და არაჩვეულებრივის სიკოხტავით იყო ამოხატული იოანეს სახარების უკანასკნელი სიტყვა: „ამინ“.

* * *

არა ერთხელ დამარცხებული სულტნის ჯარი უჩუმრივ, „უგრძნეულად“ შემოიპარა საქართველოში, მაგრამ ქართველებმა შეუტყვეს და მყისვე ამცნეს დავით აღმაშენებელს, რომელიც ნაჭარმაგევში იყო. მეფე საჩქაროდ გამოემგზავრა თრიალეთისაკენ ათას ხუთასი კაცით. მთელი ღამე იარეს, შეუსვენებლად. მტრის ბანაკს რომ მოუახლოვ-

დნენ, დავითმა თავის მეომრებს დასვენება უბრძანა, თვითონ კი დატვირთულ ცხენებიდან თავისი სამგზავრო წიგნსაცავი გადმოაღებინა, რომელიც ყოველთვის თან დაჰქონდა — საომრად მიდიოდა, სანადიროთ თუ სამეფოს მოსავლელად.

გადმოტვირთული საპალნე გაახსნევინა, წიგნები გადასინჯა — გარდა საღვთო წერილისა მრავალი იყო სასიბრძნისმეტყველო და საისტორიო წიგნი. მეფემ ხელში აიღო სამი დღის წინად გელათიდან მიღებული იოანე პეტრიწის თარგმნილი ფილოსოფოს პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთის მეტყველებითნი“ და გულმოდგინედ დაიწყო კითხვა. გაიტაცა ბერძენთა ნეოპლატონურმა სიბრძნემ, რომელიც მშვენიერის ენით იყო გადმოღებული ქართულად. მეფეს ხიბლავდა არა მარტო ავტორის აზრები, არამედ კიდევ უფრო მთარგმნელის საკუთარი დართვანი და განმარტებანი.

დავით აღმაშენებელი ისე გაიტაცა წიგნის კითხვამ, რომ სრულებით დაავიწყდა, თუ სად იყო ან რისთვის მოვიდა ამ ადგილას. მისი ფიქრი და გონება მთლად ფილოსოფიური აზრებით იყო შეპყრობილი.

გონს მოვიდა მხოლოდ მაშინ, როცა გარშემო ხმაურობა ატყდა და განსაცდელის ბუკმა დაჰკრა. მეფეს მოახსენეს: მტერი მოგვიახლოვდა და ზურგიდან შემოვლას გვიპირებსო. დავითმა დინჯათ, სრულიად აუღელვებლად წიგნი გადასცა მხლებელს, შეაჯდა ცხენს, გადაავლო თვალი გარემოს და უბრძანა თავის ჯარს, მომყევითო...

ხანგრძლივი და ცხარე ბრძოლის შემდეგ თურქები კვლავ დამარცხდნენ, „მიდრკეს სივლტოლად“.

* * *

ისანის სასახლეში დიდი ზეიმია, დარბაზობაა. შორეულ თუ ახლობელ ქვეყნებიდან მრავალი დესპანი და მოციქული იყო ჩამოსული თამარ მეფის სათაყვანოდ და პატივსაცემლად. ქართველთა სახელოშორს, შორს იყო გავარდნილი და ყველა ცდილობდა მათი მეფის გულის მოგებას, დამოყვრებას. „გარემოს მეფენი, ქალაქნი და ამირანი ძღვენსა და ხარკს წარმოგზავნიდნენ“.

სტუმრებს წინ ეგებებოდნენ ოვსნი და ყივჩაყნი და შემდგომად ჰერნი და კახნი, შემდგომად ქართუელნი და მესხნი და თორელნი შავშტაოელნი, მერე სომხითარნი, კვლავ აფხაზნი და სვან-მეგრელ-გურულნი, რაჭა-მარგუელნი და ბოლოს ხელისუფალნი და შინაურნი: მწიგნობართ უხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, ამირახორი და სხვა ვაზირები, მოშაირენი, რიტორები, ფილოსოფოსები. ოქროჭედილსა ტახტსა ზედა ისხდნენ თამარი, დავითი და ძე მათი.

სამკაულთა ძვირფასი თვლები მზის სხივზე სხვადასხვა ფერად თამაშობდენ, მაგრამ უბრწყინვალესი იყო თვით მეფე, რომლის სახე თავის სიმშვენიერით ცის მნათობს ეცილებოდა.

წარმოსდგებოდნენ მოციქულნი, სულტნების, ამირების, ათაბაგების, ხალიფასი, ტრაპიზონის მეფის, შირვანშასი, თაყვანსა სცემდენ თამარს, ადღეგრძელებდნენ და მიუძღვნიდნენ ძვირფას საჩუქრებს სამკაულებს, იარაღებს, ნაჭედებს, ქანდაკებს, ქსოვილებს, ნაქარგებს, სხვადასხვა იშვიათ ცხოველებს და ნადირებს. მოქონდათ, თუ კი სადმე რამე იყო შესანიშნავი ხელოვნების განძეული, გაკეთებული ხატაეთსა, ინდოეთსა, ხორასანსა, სპარსეთსა, არაბეთსა, საბერძნეთსა თუ სხვაგან.

დაუთვალავი იყო რიცხვი მოძღვნილთა განძთა, ადგილი აღარ იყო მათ დასატევად და არავის შეეძლო ფასის დადება.

მეფე თამარი ღვთისნიერი ღიმილით მადლობას შესწირვიდა ძღვნის გამომგზავნელთ. ხოლო ოდნავად არ აკვირვებდა და არ ხიბლავდა მას ეს მოტანილი სიმდიდრე — საქართველო აღესილი იყო ყველაფრით და აღარაფერი აკლდა. მაგრამ თამარს სიამოვნებისაგან ნაზად აუტოკდა გული, როცა სხვა სიძვირფასეთა შორის წარმოუდგინეს ხალიფას დესპანმა არაბული „წიგნი საქმიმო“, ტრაპიზონის მეფის ალექსი კომნიანისის კაცმა — „ილიადა“ და შირვან-შასაგან განძელი მოშაირის ნიზამის „ლეილ-მეჯნუნიანი“.

სიხარულით აღსავსე თამარმა მაშინ თვალი გადაავლო ქართველ ფილოსოფოსთა და მოშაირეთა ხომლს და ცდილობდა გამოეცნო, თუ ვინ უკეთ გადმოიღებდა ამ წიგნებს ქართულ ენაზე.

* * *

ბევრი ჭირისა და უბედურების მნახველი დავით გურამიშვილი, უკვე მოხუცებული უკრაინის ერთ პატარა სოფელში ცხოვრობდა. წყნარი, თბილი საღამო იყო და სარკმელს მიჯდომოდა, თეთრად აყვავებულს ალუბლის ბაღს გადასცქეროდა. ტკბილი ამინდითა და სურნელებით სიამოვნებდა, მაგრამ ამ სიამოვნებას თანდათან ჩაექსოვა მწარე ნაღველი: მოაგონდა თავისი შორეული ქვეყანა, მისი არეულ-დარეული ვითარება, ხან სპარსეთის და ხან ოსმალეთის შემოსევა, ლეკთა რბევა. გაახსენდა საკუთარი ბედიც — სიღარიბე და გაჭირვება, სხვის კარზე ცხოვრება სამოწყალოდ, ყანაში მუშაობა, ლეკების ხელში ტყვედ ჩავარდნა, გამოქცევა რუსეთში, რუსების ვერაგობა და ღალატი, სხვისთვის ომობა, ტყვეობა პრუსიაში და მაგდებურგის ციხეში ყოფნა...

გული აუჩუყდა და უნებლიეთ ცრემლები გადმოცვინდა თვალები-

დან. მერე — თითქოს წერილს სწერს თავის საყვარელ სამშობლოსო — ასე ჩაიწერა თავის რვეულში:

სახით სიტყვაშვენიერო, სხიო მზეთამზის სახეო,
ვეძებ და შენი მსგავსი მე აქ ვერსადა ვნახეო.
გეაჯები, ნუ გამწირავ: მოვკვდე — შენ კერძ დამმარხეო.
ჯოჯოხეთში ნუ ჩამაგდებ, მიწყალობე სამოთხეო!..

დასწერა და გულს მოეშვა, თითქოს ილოცაო ვით ღრმა მორწმუნემ. მისი ღვთაება, მისი მშობელი ქვეყანა იყო და ლექსით ეზიარა სამშობლოს არსებას. აღარ იყო მოწყვეტილი, ეული, უთვისტომო, მარტო. არასოდეს უგრძვნია თავისი თავი ასე თავის ერის შვილად, მის განუკვეთელ ნაწილად... და დამშვიდდა, მიისვენა.

* * *

ბერად აღკვეთილი საათნოვა მონასტრიდან ხედავდა ქვეყვით ბაღებში ლხინს — ქეიფი იყო, მხიარულობა, ცეკვა და სიმღერა ლაღი, წარმტაცი, ხალისიანი. საზანდარი უკრავდა და საათნავა მთლად სმენად გადაიქცა და გაახსენდა ძველი დრო, როცა კარის მგოსანი იყო და თავის ჩონგურითა და ლექსებით ართობდა მეფეს, დიდებულებს, მოქალაქეებს, ღარიბებს.

რა კარგი იყო მაშინდელი ცხოვრება! ხმელ პურსაც კი ზეთი გამოსდიოდა, ღვინო დარდს აქარვებდა და ნადიმი დაუსრულებელი სიტკბოებით აღავსებდა სულსა და გულს! ყველას! ახარებდა, ყველგან შვება და სიამე შეჰქონდა და თვითონაც ბედნიერი იყო, მუდამ მთვრალი სიყვარულით და სიცოცხლით!..

დაღონდა. შეეზარა აწინდელი ბერობა. ერთბაშად წელში გაიმართა, თითქოს გაყმაწვილდაო. გადმოხტა მონასტრის დარაზულ კარებზე, ქვე დაეშვა და შეუერთდა მოლხინეთ. ხელში აიღო ჩონგური და დაუბლურებულის, მაგრამ მეტად მგრძნობიარე და ნაღვლიანი ხმით დაამღერა:

ბრინჯი ვიყავ, ქერობა რად მინდოდა?
ქორი ვიყავ, ძერობა რად მინდოდა?
ერი ვიყავ, მღვდელობა რად მინდოდა?
მოდი მითხარ — ბერობა რად მინდოდა ..

საღამოს მონასტერში დაბრუნებული საათნავა მუხლმოდრეკით პატიებას სთხოვდა ღმერთს და თან გულში თავის თავს ეკითხებოდა: „დამნაშავე ვარ კი? რა შევცოდე?.. სიმღერა, ლექსი ხომ გასაღებია გულის, გასაღებია, რომ გზა გაუხსნა ღვთის სიტყვას და ბრძანებას?“.

ისტორიული ამბები

I

წმ. ნინოს სიზმარი

ახალი ზაფხულის მცხუნვარე მზე ჩასასვლელად დახრილიყო, როცა ნინო, რომელი ტყვედ იტყოდა თავის თავს, ჯავახეთში ფარავნის ტბას მიუახლოვდა. გრძელი გზა გამოიარა და მრავალნი ჭირნი დაითმინა, იერუსალიმიდან რომში და რომიდან სომხეთში და ქართლისა ქვეყანამდის...

ჯერ კიდევ ბავშვი იყო, მამა მისი ზაბულონ ბერად რომ აღიკვეთა და წარვიდა სახარების საქადაგებლად კაცთა ველურთა შორის, ხოლო დედამ სოსანამ ძაძა შეიმოსა და მისცა თავი გლახაკთა დედათა მსახურებას. მაშინ ნინო მისმა ბიძამ მონაზონს ნიაფორს, დვინელს სომეხს, მიაბარა გასაწრთვნელად.

ნიაფორმა სიყვარულით მიიღო ობოლი და ამ სიტყვებით მიეგება: „ვხედავ, შვილო ჩემო, ძალსა ძუისა ლომისასა, რომელი შეუძახებს ყოველთა ოთხფეხთა, გინა არწივსა დედალსა, რომელი უფროს მამლისა აფრინდება მაღლა ჰაერში და მიმოხედავს მთელს ხმელეთს თავის მარგალიტისა მცირითა გუგათი და არ დაიმახავს საჭმელსა მისა, მიეტევის მას ზედა. ეგრეთ იყოს ცხოვრება შენი“. ორი წელი დაჰყო ნინომ ნიაფორთან და ზედმიწევნით შეისწავლა ქრისტეს ცხოვრება და სახარება, ვინაიდგან ნიაფორი დიდი მეცნიერი იყო სჯულის, ძველისა და ახლის და ყოველივე დალაგებით გააცნო ნინოს. ხშირად უამბობდა ქრისტეს კვართის ამბავს, რომელი ერგო მცხეთელ ურიათ. წამოიღო იგი ელიოზმა და მიეგება მას და მისი, წადიერებით და სურვილით შეიტკბო კვართი მკერდსა და მყის განუტევა სული და დამარხეს და არ გამოუღეს მკერდიდან კვართი უფლისა.

ჰკითხავდა ნინო: თუ სადაა მცხეთა და ვინაა ერი იქაური? და ეტყოდა ნიაფორი: ქვეყანაა ქართლისა, სომხეთის ჩრდილოსა, და არის საწარმართო.

და კვალად უამბობდა ნიაფორი: შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რა ჟამს წილ იგდეს მოციქულთა, მაშინ ღვთისმშობელს წილად ხვდა მოქცევა ქართლისა; ხოლო ეჩვენა მას ძე მისი იესო და ჰრქვა: „დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი, უფროს ყოველთა ნათესავთა ღირსი პურისა ზეცისა. მაგრამ შენ წარავლინე ანდრია პირველწოდებული ნაწილსა მას შენდა ხვედრებულსა და თანა წარატანე ხატი შენი“.

წამოვიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული, ბრძანებითა ღვთისმშობლისა მარიამისა, და მოვიდა ტრაპიზონს, რომელი არის ქალაქი მეგრელთა, სადაც კაცნი პირუტყვთა უგნურეს იყვნენ და ყოველსა არაწმინდასა და საძაგელსა წესსა აღასრულებდენ. მოაქცია ყოველნი და მოიყვანა სარწმუნოებად; მერე მოვიდა საზღვარსა სამცხისასა და ქმნა სასწაულნი, დაამსხვრია ელენთა კერპნი აპოლონისა და არტემისა. შეკრბნენ მესხნი ყოველი მხრით, ირწმუნეს ქრისტე და სიხარულით ნათელ იღეს. დაუდგინა ანდრიამ მღვდელნი და დიაკონნი, დაუტოვა ხატნი და ჯვარნი და დაბრუნდა იერუსელემს. ხოლო ესმა რა ქართლისა მეფესა ადერკის ქართველთა და მეგრელთაგან წინაპართა სჯულის დატევება, გაგზავნა ერისთავნი და იძულებით მოაქცია ყოველნი, და გაუწყრა ერისთავსა კლარჯეთისა, რომ მშვიდობით განუტევა ანდრია...

გულდასმით უსმენდა ნინო ნიაფორს და აღეძრა დიდი წადილი, მონახოს კვართი უფლისა და იხილოს ქვეყანა ქართლისა, რათა განავრცოს ანდრიას მოციქულობა, დაიხსნას ერი წარწყმენდილი და მიფინოს მადლი სახარებისა ნაწილსა ყოვლად წმინდისა წილხდომილსა.

შეხვდა დედაკაცი ვინმე ეფესოდან და მასთან ერთად გაემგზავრა რომს. ნახა მუნ ქრისტეს მოყვარე დედოფალი რიფსიმე და სახლეულნი მისნი, იმყოფებოდა მათთან მონასტერში და კიდეე გამოიძიებდა ქართლისა ამბავს.

ამის შემდგომად სდევნა კეისარმა რიფსიმე და ყოველნი მისნი. და რა იხილეს ესე განსაცდელი წმიდათა დედათა, ფარულად დასტოვეს სავანე, ივლტოდენ და მიაწიეს არეთა და კერძოთა სომხეთისა. ხოლო მეფე ამა ქვეყნისა თრდატ აღივსო ტრფიალებით და განიზრახა რიფსიმეს ცოლად მოყვანება. წმიდამან უარი უთხრა ურწმუნოსა მეფესა და მაშინ აწამეს რიფსიმე და მასთან სხვა ასულნი. რომელნიმე მათგანი დაიმალნენ და გამოიქცნენ. ეგრეთვე ნინო დამალულ იყო ეკალთა შორის და შემდეგ ღამით, ტყე და ტყე მავალი, წამოვიდა ჩრდილოს და მოაწია ჯავახეთს.

„აჰა ქვეყანა იგი, სადა ფრიად არს სამკალი, ხოლო მუშაკი ყოვლად არა!“ თქვა ნინომ თავის გულში. გადაავლო თვალი არე-მარეს, შორს მოსჩანდა მთები, თოვლითა სავსენი, და შეძრწუნდა.

შეეშინდა მარტოს, უცხოს მხარეს, დაუმძიმდა ტვირთი.

მიიხედა უკან — გრძელი გზა იყო გამოვლილი. გაიხედა წინ — უარესი მოელოდა: კაცნი წარმართნი და არაწმინდანი, და გარშემო ტყენი და მთანი! რაოდენი გასაჭირი, რაოდენი დევნა და განსაცდელია გამზადებული მისთვის! ვით შეუძლია მას, ქალს უღონოს, შეებრძოლოს ასპიტთა და იქედნეთა?

დაღონდა მწარედ, განზრახულის შიში შეეპარა, უღირსად თვლიდა თავისთავს და იტყოდა: „უფალო, უფალო, მიიღე სული ჩემი ჩემგან“.

დამაშვრალს, მშიერს მუხლები მოეკეცა. დაჯდა. სული მოითქვა. დაისვენა.

ტბაზე მონადირე მეთევზურთა ესე შეწუხებული დედაკაცი რომ ახილეს, საზრდელი მიაწოდეს. შებინდდა და მახლობლად მწყემსნი დაბინავდნენ და სერობა განიმზადეს. ხოლო ვიდრე ლუკმას აიღებდენ, თავიანთი ღმერთები არმაზი და ზადენი ადიდეს და დიდთა შესაწირავთა აღუთქმიდენ: „ოდეს მოვიდეთ წინაშე თქვენისა მშვიდობითო“. სათნო ჩნდა მათი სახის სიკეთე, მივიდა ნინო მათთან და რადგან ესწავლა მცირედ ნიაფორისაგან სომხური, ჰპოვა მწყემსთა შორის ერთი მზრახველი სომხურისა და ჰკითხა:

— რომლისა სოფლისანი ხართ? — მწყემსმა მიუგო: — ვართ ჩვენ ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ!

იწყეს უბნობა და ეტყოდა მწყემსი: მეფე ჩვენი არს უდიდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, ოდესმე ყოფილთა და ღმერთი არმაზი არის უძლიერეს ყოველთა ღმერთთა სოფლისათა და კერპი მისი სპილენძისა აღმართულია მცხეთას, აცვია ტანსა ჯაჭვი ოქროსი და თავსა ხურავს ჩაფხუტი ოქროსავე, სამხრენი და თვალნი აქვს ზურმუხტისა და ბივრიტისა და უპყრია ხმალი ელვარე, რომელი მიმოიქცევის ხელსა მისა შინა და შიშსა და ვაებას დასცემს ყოველთა მხილველთა, და თვით მეფე პირქვე დაემხობა წინაშე მისა. მეფე ქართლისა არს მირიან, ძე სპარსეთისა მეფისა ქასრესი, ვინაიდგან დაესრულა მეფობა ფარნავაზიანთა და არშაკუნიანთა, და ერისთავთა სთხოვეს ქასრეს ყრმა შვილი და შერთეს მას ასული უკანასკნელი მეფის. ხოლო ეს მირიან აღიზარდა ქართლში, შეიყვარა ქართველნი, დაივიწყა სპარსული და დაისწავლა ენა ქართული. მიიცვალა პირველი ცოლი მირიანისა და დღეს დედოფალია ნანა...

დაქანცული, სასოწართმეული, მწარე საგონებელს ჩავარდნილი განშორდა ნინო მწყემსებს და კიდევ უფრო შეუშინდა თავის, დიდი ხნის მისწრაფებას.

განმარტოვდა, დაადვა თავი ლოდსა და ვით წყარონი ადინა ცრემლნი. სტიროდა და ევედრებოდა ქრისტეს შებრალებას და პატივებას, რომ იტვირთა საქმე, რომლის არა იყო შემძლებელ: „მე, უფალო, დედაკაცი ვარ და უმეცარი, როგორ მივიდე უცხოსა ქვეყანასა და ვუქადაგო სიტყვა შენი კაცთა მათ უცხო-თესლთა“.

დაუძლურებულმა დაიძინა იქვე და ნახა სიზმარი. მოვიდა კაცი ერთი ჰასაკითა ზომიერ, თმითა ნახევარ თმოსანი, შებლარდნილი ცეცხლისა ზეწარითა და ჰრქვა:

„არცა მამაკაცება არს, არცა დედაკაცება, არამედ თქვენ ყოველნი ერთ ხართ. წარვედ და მოიმოწაფე ყოველნი წარმართნი და ნათელი ეც ერსა ქართლისასა“.

დილით ადრე გამოიღვიძა ნინომ და სიზმარი უჩნდა, როგორც ნამდვილი ნიშანი და ბრძანება ღვთისა. რწმენითა და სიმხნით გამოისახა პირს ჯვარი და მტკიცედ დაადგა გზას, რომელიც მწყემსთა ასწავლეს, მცხეთისა ქალაქისაკენ.

არჩილის თავის-განწირვა

მეფე არჩილ ჯერ მცირე ყრმა იყო, როცა არაბები შემოესიენ საქართველოს 638 წ. მამა მისმა სტეფანოზმა, რომელმაც ვერ იკადრა სახელი მეფობისა, სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ იწოდებოდა მხოლოდ ერისთავთა მთავრად, სარკინოზნი* რომ სპარსეთში შემოვიდნენ, — ყოველი საგანძური ფარულ ადგილებში დამარხა და მთელი სახლეულით ეგრისში** გადავიდა. მოკვდა იქ სტეფანოზ და მეფეებად გამოცხადდენ შვილნი მისნი მირ და არჩილ, და მათი ეგრისში ყოფნის დროს, მოვიდნენ პირველად არაბნი ქართლს. წინამძღოლობდა მურვან, ბიძა ხალიფისა, კაცი მეტად მკაცრი და ულმობელი, რომელიც სიტყვის შებრუნებას და საჩივარს არავისაგან მიიღებდა, და ამიტომ ეძახდენ მას ყრუს, მურვან-ყრუს.

მოეფინა მურვან-ყრუ თავის ჯარით ქართლს, ვითარცა ღრუბელი ბნელი, ვითარცა მკალი და მუმლი და დაფარა პირი ქვეყნისა. გადავიდა სამცხეს, შემუსრა ყოველნი ციხენი და დაანგრია ოძრხე (დღევანდელი აბასთუმანი), რომელი იყო ქალაქი სახელოვანი. წამოემართა არგვეთად, გასწყვიტა ურიცხვნი და მისცა მრავალთა სატანჯელთ დავით და კონსტანტინე. შეესია სამეგრელოს აფხაზეთამდე, მიწასთან გაასწორა ქალაქნი და დაბანი, აღაოხრა და უკაცურ ჰყო ქვეყანა მეგრელთა და აფხაზთა და არღარა იპოვებოდა არცა ნაშენები, არცა საჭმელი კაცთა და პირუტყვთა. ხოლო მეფენი გამაგრდნენ ანაკოფიას აფხაზეთში.

---

* სარკინოზ, სარაცინ — არაბი, საზოგადოთ მაჰმადიანი.
** ეგრისი — სამეგრელო, საერთოდ ლიხთ-იმერეთი.

სთხოვეს შეწევნა საბერძნეთის კეისარს მირმა და არჩილმა, ხოლო უმწეო იყო კეისარი და ნუგეშინის და გამხნევების წიგნი ღა მოუწერა მეფეებს. ვერ უმკლავდებოდენ ქართველნი სარკინოზთა სიმრავლეს, მხოლოდ ერთხელ შესძლეს დიდი მარცხის მიყენება და მრავალი ჯარი გაუწყვიტეს მტერს აბაშისა და ცხენის წყლის ნაპირებზე...

დასტოვეს არაბებმა საქართველოს ციხეებში თავისი კაცები, დაადვეს ხარკი ერისთავთ და გაბრუნდნენ უკან თავის ქვეყანაში. გარდაიცვალა მირ და დარჩა მეფედ არჩილ. დაუმადლა აფხაზეთის ერისთავს კეთილისა მსახურებისა და სტუმრობისათვის, მისცა მას ცოლად თავის ძმის წული, დაუმტკიცა ქვეყანა კელასურით ხაზარეთის მდინარემდე (ყუბანი) და ჰყვეს აღთქმა და ფიცი ერთგულობისა.

შეუდგა არჩილ დანგრეულ ციხეთა და ქალაქთა აღდგენას, გაამაგრა ეგრისი შორაპანამდე. გადმოვიდა და დაიწყო შენება ქართლისა. შემდგომად დაისადგურა კახეთს და აღაგო სიმაგრენი და ეკლესიანი.

„და ვითარ გარდახდეს ამას შინა წელიწადი ორმოც და ათნი, კვლავ მოვიდა ჭიჭუმ ასიმ, ნათესავი მოჰამედისი, მოაოხრნა და შემუსრნა ყოველი შენებული ქართლისა და მიმართა კახეთად, მოაოხრა და ყოვლითურთ უმკვიდრო ჰყო. და იყო შიში დიდი ყოვლისა ერისა და გადაწყვიტა მისვლა ჭიჭუმ, რათა ითხოვოს მისგან არა შემძლებელ იყვნეს წინააღდგომად, რამეთუ განერყვნა ყრუსა და თუმცა მრავალთა ჟამთა განვლეს მშვიდობით, მაგრამ არღარა მოგებულ იყო კვალსავე თვისსა“.

ესეთი გასაჭირი რომ ნახა მოხუცმა არჩილ მეფემ, გადაწყვიტა მშვიდობა ქვეყნისა, დაცვა ეკლესიათა და არა დაპატიჟება სჯულისა დატევებისათვის. ჭიჭუ სიხარულით მიეგება მეფეს, დიდება სცა და შეიყვარა სისრულე ჰასაკისა და მშვენიერება პირისა მისისა. ხოლო შემდგომად მცირედთა დღეთა დაუწყო ლიქნით სიტყვა — დასტოვოს ქრისტიანობა და მიიქცეს სარკინოზად და აღუთქმიდა ნიშთა დიდთა. არჩილმა მიუგო: „ნუ იყოფინ! მე ვარ მეფე ქრისტეანეთა და არა ჯერ არს ვუღალატო ერსა და ღმერთსა ჩემსა“.

მაშინ ჭიჭუმ უბრძანა შეპყრობა მისი და ჩაგდება საპყრობილეში.

რამდენიმე დღის შემდგომად გამოიყვანეს არჩილ და წარუდგინეს ჭიჭუმ ასიმს და უთხრა კვლავ ამან: „შენ იყავ მამასთან შენთან, რა ჟამს იგი დაფვლიდა ქართლისა საგანძურთ, და იცი ისიც, თუ სად დაფლა ჰერაკლემ საგანძური ბერძენთა. მიჩვენე და მოიქეც სჯულსა ჩემსა და გყო სპასალარი ქვეყანასა ზედა ქართლისასა და განგადიდო წინაშე ჩემსა“: და კვლავ მიუგო არჩილმა: „მცირე ვიყავ ჰასაკითა, ოდეს ჰერაკლემ კეისარმა განვლო ქვეყანა ესე, ხოლო მამამან ჩემმან და ძმამან დახსნეს

ყოველნი საგანძურნი ციხესა აფხაზეთს, რომელი აწ აქვთ ბერძენთ". ჰკითხა ასიმ: „შენ იყავ აფხაზეთს, როს სარკინოზნი დაეცნენ ქართველთ?" ჰრქვა არჩილ: „მე ვიყავ მაშინ, რა ჟამს ქართველთ დაეცნენ და შემუსრნენ სარკინოზნი და ღმერთი ცხოველი ქრისტე იყო მათთან!".

განრისხდა ჭიჭუმ ასიმ და დაიყვირა: „რომელი ღმერთი? ერთ არს ღმერთი და მოჰამედია მოციქული მისი, და არავინაა, რომელი წინააღუდგეს მას!".

და ბრძანა სიკვდილი არჩილისა. წაიყვანეს მტარვალთა და მოკვეთეს თავი ხრმლით.

ხოლო მოვიდნენ ღამე გოდერძიანნი ტბელნი და მათთანა სხვანიცა, მოიპარეს გვამი არჩილისა, შემურეს დიდითა პატივითა და დამარხეს ნოკტორას, მის მიერ აღშენებულ ეკლესიას.

III

ხაკანის ტყვე

არჩილ მეფეს ორი ვაჟი დარჩა იოანე და ჯუანშერ და ოთხი ქალი. იოანე ეგრისში წავიდა და თან წაიტანა დედა, ასული გვარამ კურაპალატისა ბაგრატიონისა და ორნი დანი. ხოლო ჯუანშერ და ორნი დანი დარჩნენ ქართლსა და კახეთში. ერთი ამ დათაგანი, ყველაზე უმცროსი, შუშან მეტად ლამაზი იყო; მისი სიმშვენიერის ქება ესმა ხაზარეთის* ხაკანს — მეფეს, მოციქული მიუგზავნა ჯუანშერს და ითხოვა შუშან ცოლად, თან სარკინოზთა ზედა შველას ჰპირდებოდა. ჯუანშერმა ყოველივე იოანეს და დედას შეატყობინა. მათ არ ინებეს მიცემა და უთხრეს: „უკეთუ უღონო იქნეს ყოფნა ჩვენი, უმჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტეანეთა ვიდრე და შეიგინოს შვილი ჩვენი". თვითონ შუშანიც წინააღმდეგი იყო და აგინებდა ხაზართა მეფეს.

მაშინ ხაკანმა გამოგზავნა სპასალარი თვისი ბულჩან დიდი ჯარით; გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთში და მიადგა ციხეს, სადა იყვნენ ჯუანშერ და მისი და შუშან. რამდენიმე დღის შემდგომად აიღო ციხე, დაატყვევა ორივე, შემუსრა ქალაქი ტფილისისა, წარტყვენა ქართლი და ყოველი ქვეყანა და გაბრუნდა უკან.

---

* დიდი სახელმწ. იყო კავკასიონის ჩრდილოეთით.

ქართლი რომ განელეს, ღამე დარიალის გზაზე დაივანეს. საზღვართან იყვნენ, ხვალ უკვე ხაზარეთში გადავიდოდნენ, ბულჩანმა და-ძმა ციხის საკანში მოათავსა, თვითონ კარებთან კარავი გამართა და ირგვლივ ფხიზელი მცველები დააყენა.

მძიმედ ეძინა ჯუანშერს საკანში, ხოლო შუშან ვიწრო სარკმელს გადასცქეროდა და მთვარის შუქი ამაოდ ეალერსებოდა სანუგეშებლად მის დატანჯულ სახეს. ნელი ნიავი ჰქროდა, ხეებს აშრიალებდა და ტკბილს სურნელებას განაბნევდა. შაშვნი სტვენდნენ, შორს ნადირი რამ დაიღმუილებდა.

მთელი თავის ქალწულური არსებით უსმენდა ყველაფერს შუშან, სუნთქავდა და შესვამდა. ეს იყო ქართლი, იგი თავდებოდა და ხვალ უკვე უცხო ქვეყანაში, უცხო ნათესავთა შორის იქნებოდა. ველარასოდეს იხილავდა თავის მიწას, მამის საფლავს, დედას, ძმა-დებს. ველარ დაიტირებდა თავისიანებს და ველარც მათი ცრემლი ეპკურებოდა მის გაცივებულს ტანს. ველარ გაიგონებდა ღვთის დიდებას, ვერცა სიტყვას ერისას, ვერა მორთავდენ მას დები საქორწილოთ... ველარ დასტკბებოდა ქართლის ველით, კახეთის მთებით, ეგრისის ტყეებით და ხომ სამუდამოთ დაიხურებოდა ცა და აღაროდეს შეასხამდა ფრთებს მის ნაზ ოცნებას.

მოაგონდა კარის სამოთხე, ხეივანი ტურფა, ვარდნი მშვენიერნი და ყვავილნი ათასფეროვანნი და ბუჩქნარი წყაროსთან, სადაც ცელქობდა პატარობისას.

და სტიროდა მწარედ შუშან, სდიოდა ცრემლთა ნაკადი და იყო ყრუდ, რათა არა სმენოდა რა ძმას.

სტოვებდა თავის ქვეყანას და მიდიოდა სად, ვისთან? უცხონი და წარმართნი, კაცნი ველურნი იქნებოდნენ მის გარემო და ხაკანი, ვით ნადირი ტყისა, დაეპატრონებოდა მის სხეულს, გასთელავდა, ხოლო არა შეითვისებდა მის სულს, არ გაიგონებდა მის გულის ცემას, მისი გრძნობების ფეთქას. დარჩებოდა მუდამ ტყვე, მხევალი ბატონის მორჩილი ბრძანებელის, მკვდარი სულით, წარწყმენდილი.

და განა უმჯობეს არ არს სიკვდილი ახლავე, აქვე ქართლის მიწაზე?

ასე ფიქრობდა შუშან და ხედავდა, რომ არავინ იყო მისი შემწე და დამხსნელი, რამეთუ მას ჟამს „შერისხულ იყო ღვთისაგან ქვეყანა ქართლისა“.

მთვარეს შეხედა და შეავედრა თავი: „მთვარეო, წარიღე შენი შუქით და გადაეცი ჩემს დედას ჩემი ამბორი საუკუნო და დააფრქვიე მის მკერდზე ჩემი ცრემლები.

„სირნო ტყისანო, გადაფრინდით შორს და ამცნეთ ჩემს ერს ჩემი კვნესა. ნადირო უცხო, იყავ გონიერი და მიუთხარ ჩემს თანამტოლთ

ჩემის ყვავილის დაჭკნობა და დაბნელება სიმშვენიერის ჩემის; და შენ, ნიავო, გადაიქროლე ქვევით ქართლისკენ და მიუტანე ტყეებს და ველებს, მთასა და ბარს მათი გაზრდილის უკანასკნელი ამოსუნთქვა“...

ნელა, ფეხაკრეფით მივიდა შუშან მძინარე ძმასთან. გადაწერა ჯვარი და ფრთხილად ემთხვია გულზე. მერე მიჯდა სარკმელთან, ამოუღო თვალი ბეჭედს, რომელი ჰქონდა ხელზე, და მოსწოვა — იყო თვალსა ქვეშ წამალი სასიკვდინე — და სამუდამოთ მიიძინა...

გასწყრა ხაკანი არ მიყვანებისათვის შუშანისა და ცოცხალი დაიგლეჯინა ბულჩანი გაჭენებულს ცხენებს; ხოლო ჯუანშერი დარჩა ტყვეობაში შვიდს წელიწადს. განეფინა ქადაგება მოჰამედისა, განდიდნენ სარკინოზნი და ჟამითი-ჟამად არბევდენ და აოხრებდენ ქვეყანას, დაიპყრეს ტფილისი და შექმნეს საყოფელად თვისად; და იქმნა სიმრავლე მთავართა ქართლისათა და ბრძოდენ ურთერთს.

უცალო იყო საბერნეთი, განუდგა ერისთავი აფხაზეთისა, გამოაცხადა თავისი თავი მეფედ და დაიკავა ეგრისი ლიხამდე. მიიცვალა ჯუანშერი და დასრულდა მეფობა ხოსროიანთა, მირიან-ვახტანგიანთა და გაძლიერდა ერისთავი ტაო-კლარჯეთისა აშოტ ბაგრატიონი.

IV

ბაგრატ მეოთხის სიკვდილი (1072 წ.)

ნაჭარმაგევში დიდი მწუხარება იყო. გარე უბნად დაბანაკებული სპანი ჩვეულებრივ არ მხიარულობდენ და სიმღერით და სახიობით არ გაერთობოდეხ. ვარახგთა რაზმიც* დუმილს მოეცვა. სამეფო ტაძრის (სასახლის) წინ მრავალ ერს მოეყარა თავი, ყველა კარებისკენ გაიცქირებოდა და მოუთმენლად მოელოდა რაიმე ახალი ამბის გაგებას.

კვდებოდა ბაგრატ მეოთხე, აფხაზთა და ქართველთა მეფე. სამშვილდეში მდგომს მუცლის სალმობა დაეცა, გაუძნელდა ფრიად და ტახტით წარმოიყვანეს ქართლს და დააბინავეს ნაჭარმაგევის სასახლეში. დარბაზში ავადმყოფის სარეცელთან მთელი მისი სახლეული შეკრებილიყო — აქ იყვნენ მემკვიდრე გიორგი, დედა დედოფალი მარიამ, ასული სომეხთა მეფის სენექერიმისა, ცოლი ბორენა, და ოვსთა მეფის დურღულელისა, ასული მარიამი, ერისთავნი და ყოველნი დიდებულ-

* ბაგრატს 3000 ვარანგი-ნორმანი ყავდა თავის ჯარში.

ნი. ლოგინის მარჯვნით იდგნენ ვაზირთა უპირველესი მწიგნობართ უხუცესი და სპასალარი, სპათა უმფროსი. მოშორებით კუთხეში, ეზოს მოძღვარი მდაბალი ხმით ლოცვანს ჰკითხულობდა, ხოლო სარკმელთან მწიგნობარს მუხლებზე გადაშლილი ეტრატი ედვა და ხელში კალამი ეჭირა, რომ ჩაეწერა, თუ მეფე რისმე ბრძანებას ინებებდა.

სდუმდნენ ყველანი — არავითარი იმედი იყო მეფის მორჩენის, დამწუხრებულნი დასცქეროდნენ მომაკვდავს და სულ განაბულნი ყურს უგდებდნენ მის მისუსტებულს სუნთქვას.

სდუმდა თვით ავადმყოფიც და ყველაზე უკეთ ჰგრძნობდა, რომ ეს დღე იყო უკანასკნელი მისი ორმოცდათექვსმეტი წლის სიცოცხლისა!

სდუმდა და იგონებდა გარდასრულს:

რაოდენ მწარე და თან ტკბილი იყო მისი, განვლილ წელთა უგრძესი, ცხოვრება-მოუსვენარი, მუდამ მტრებთან ბრძოლაში გატარებული, საქართველოს აღმატებისათვის! ჯერ კიდევ ჩჩვილი ბავშვი იყო, სამოოთხი წლის, რომ კეისარმა ვასილმა მძევლად წაიყვანა კონსტანტინეპოლს, რომ გაეტეხა წინააღმდეგობა ბაგრატის მამის. რა ცხარე ცრემლებით სტიროდა და მაგრად ეკვროდა დედას გულში!..

რამდენსამე წელს დარჩა უცხო ქვეყანას და როდესაც მამა გარდაიცვალა, მეცხრე წელიწადი უსრულდებოდა მხოლოდ. ვით შეეძლო მას პატრონობა, და განუდგნენ ერისთავნი, მოირთეს ბერძენნი და იწყეს რღვევა ქართლისა...

დედოფალი მარიამ დაუზავდა საბერძნეთს და სთხოვა კეისარს მოყვრობა და ძმის წული ელენე ბაგრატისათვის. ხოლო ელენე გარდაიცვალა მალე და ბაგრატმა შეირთო მეორე ცოლი, დედოფალი ბორენა. უკვე მომწიფებული მეფე შეუდგა ბრძოლას ერისთავების წინააღმდეგ, რომელნიც მეფობის დაუძლურებას და ქვეყნის დანაწილებას ცდილობდნენ. ყველაზე უძლიერესი ლიპარიტ ორბელიანი იყო, კაცი ორგული; საქართველოს მტრებს ემხრობოდა და მათი მეგობრობით უნდოდა ტახტის წაქცევა. ანაკოფიიდან ბაგრატის ძმა დემეტრე გადმოიყვანა და მეფედ გამოაცხადა. ერთხელ ძლეულმა ბაგრატის მიერ, მეორედ მოიწვია საბერძნეთიდან გაქცეული დემეტრე და ბერძენთა და სომეხთა დახმარებით ბრძოლა განაახლა.

შეეშინდა ბაგრატს ქვეყნისა განხეთქილებისათვის და წარვიდა ლიპარიტთან მორიგების სათხოვნელად, ხოლო ლიპარიტმა არ მოისურვა მეფის ნახვა, და გამარჯვებულმა აფხაზეთში გააქცია...

ლიპარიტი ვერ გასტეხა სელჩუკების ტყვეობაში ყოფნამაც, რომელთაც ის დაამარცხეს, საბერძნეთს რომ ეხმარებოდა. ხოროსანიდან დაბრუნებულმა კვლავ აამხედრა ქართლის ერისთავნი, კახეთი, მოირ-

თო ბერძნები და სომხები და მეორედ აიძულა ბაგრატი დაეტოვებინა ქართლი და იქ მისი შვილი აკურთხა მეფედ...

აუტანელი გახდა ლიპარიტის მძლავრობა. ბაგრატის ერთგულმა სულა კალმახელმა და მესხებმა შეიპყრეს და შებორკილი შვილითურთ მიჰგვარეს მეფეს. დიდებულხი მოითხოვდენ მის სიკვდილს, ხოლო ლიპარიტ ითხოვდა შებრალებას და მეფემაც შეიწყნარა, და წარვიდა კონსტანტინოპოლს და იქ გარდაიცვალა მონაზონობაში.

„მაინც შეუნდე, უფალო, მას შეცოდებანი მისნი, — ღმერთს შეევედრა ბაგრატი თავის გულში, — რამეთუ უფროს ყოველთა დიდად იღვაწა საღმრთოთა წიგნთა გადაწერისათვის და მორწყეს ეკლესიანი წიგნთა მისთა“.

„და განა უდიდესი ბრალი მისი იყო? — ფიქრობდა მეფე: მთავარი შემცოდენი კეისარნი არიან, რომელნიც თავის უგუნურებითა აქეზებდენ მას და ამაგრებდენ თავის სპითა. ბრმანი და ცრუმსაჯველნი! აგარიანთა წარიღეს მათი ქვეყანანი და დღეს მათი სრული მოსპობისათვის განმზადებულან, და ამის მაგიერ, რომ სარკინოზთ შეებრძოლონ და თანა შეიწყონ ჩვენი ძალიც, ჩვენ გვემუქრებიან — ერთმორწმუნეთ, ჩვენი დანგრევა და დაუძლურება სწადიათ!..

„დავმოყვრდით კიდეც — მე ცოლად მყავდა ბერძენთა დედოფალი და ჩემი ასული მართა დღეს კეისრის მიხაილის ცოლია. მაგრამ საბერძნეთი ისევ ძველი გზით ვალს. შინაც განუწყვეტელი შფოთი აქვთ, საბახლე სისხლითაა მორწყული, მეფე მეფეზე იცვლება და მე უკვე მეთორმეტე კეისარს მოვესწარი. არ რას ხედავს კოსტანტინეპოლი და მოუვლენს მას ღმერთი რისხვას საშინელს, ვით მოუვლინა სალმობა უცნაური ჩემს მბრძოლს კეისარს კონსტანტინეს, და მე დავიბრუნე ბერძენთა წაღებული ციხენი.

„დიდება აწ სამეფო ჩვენი და მცირდება საბერძნეთი და აღარავის უნდა მისი კუროპალატობა, არცა ნობილისიმოსობა, არც სავასტოსობა, მეფე აფხაზთა და ქართველთა მეფეა და პატრონი აღმოსავლეთის, თვითაა კეისარი“...

აქ ბაგრატი შეფიქრიანდა: თვალწინ წარმოუდგა თურქთა სელჩუკიანთა სულტანი არპ-ასლანი და მისი საშინელი შემოსევანი.

„ხალიფასანი ძლეულნი არიან, ეს თურქები ვინღა გაჩნდნენ? ხვარაზმიდან წამოვიდნენო, ხატაეთი დაუპყრიათ, დიდი ინდოეთი, ხალიფა გადაუგდიათ და ეკვეთნენ ბერძენთ. მოაწიეს ჩვენ სამეფომდე. შემუსრეს ახალქალაქი და წითლად შეღებეს მდინარე... მეორედ შემოვიდნენ, მოარბიეს ქართლი და მოსწყვიტეს ურიცხვნი ქრისტეანენი. მკაცრმა ზამთარმა გასწყვიტა, ვინც კი გადაურჩა მტერს. ვერა გასძლო სულტანმაც, წარვიდა, ხოლო ითხოვა ხარკი და მისცა ტფილისი

განძის ამირას ფალდონს. იწყო ამან ბრძოლა, და წარვგზავნე სპანი ჩემნი და გიორგი, აიღეს და ააოხრეს განძა და მრავლითა ალაფითა და ნატყვენავით დაბრუნდნენ გამარჯვებულნი და თანა მოიყვანეს ფალდონ შეპყრობილი.

„დავიმორჩილე და შემოვიერთე კახეთიც და მეგობარი გახდა ჩემი სულტანიც და მოავლინეს ძღვენთა და მოციქულთა და არის აწ ჩვენს შორის სიტყვა სიყვარული“.

გაიხსენა ბაგრატმა ყველა თანამოღვაწე, რომლებიც მასთან იყვნენ მარად მეფობის განმტკიცებისა და ქვეყნის დასაცავად. გაიხსენა ის ბრძენნიც, კაცნი სწავლულნი და ფილოსოფოსნი, რომელთაც წესიერება დაამყარეს და განანათლეს ერი ჩვენი, და განსაკუთრებით ცხოვლად დაეხატა წინ გიორგი მთაწმინდელი, კაცი ზეცისა და ანგელოზი ქვეყნისა, დიდი მნათობი ჩვენისა ნათესავის, რომელმან დაატკბო ენა ჩვენი და ეკლესია და ამხილებდა თვით მეფესაც, რათა არა მიდრეკდეს სასწორსა სიმართლისა...

მაგრამ მოგონებათა ძაფი ერთბაშად გაწყდა. ავადმყოფმა დიდი დაუძლურება იგრძნო. სიკვდილი თანდათან უახლოვდებოდა მის გულს.

ცოტა ხნის შემდეგ თვალი მიმოავლო მის გარშემო შემოკრებილთ, თითქოს უნდოდა უკანასკნელად გამოთხოვებოდა თავის თანამგზავრთ — ყველანი გამოცდილნი ყავდა, ერთგულნი იყვნენ. იმედი და რწმენა გაუმაგრდა მომავლის: „საქართველო იქნება მთელი და ძლიერი, ოღონდ იყოს ერთად და მთლიანად“.

ამ დროს მღვდლის ლოცვის სიტყვები შემოესმა, ოდნავად ხელი ასწია და მწიგნობართ უხუცესს სთხოვა: „არა ჩემთვის, არა ჩემთვის, ილოცეთ საქართველოს საზღვრების სიმტკიცისათვის, მთავართა დაწყნარებისათვის, მტერთა უკუქცევისათვის“.

შეხედა შვილს გიორგის — არა ჰქონდა შიში მისი გონიერების და მკლავის, შეხედა ცოლს ბორენას — დაუმადლა მდუმარედ და ღრმად ჩააცქერდა დედას და მისმა გამშრალმა ტანმა ჰპოვა ორი ცრემლი, რომელიც მოადგა თვალებს, და ჰრქვა მილეული ხმით:

„დედაო, მეწყალვი შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენნი წარგვიქციენ წინ და ეგრეთღა შენ მოკვდები“.

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

მალე ეკლესიის ზარებმა აუწყეს ყველას, რომ ბაგრატ მეოთხე ამ ქვეყნად აღარ იყო. საღამოს სწრაფმსრბოლნი წარვიდნენ ყოვლისა კუთხისაკენ ახალის მეფის გიორგის ბრძანებით, ხოლო საგანგებო მანდატურები გაგზავნილ იქნენ ჰყონდიდს, რათა მოემზადებიათ იქ საფლავი მიცვალებულისთვის, თანახმად მისი ანდერძისა.

დავით აღმაშენებელი და ხოჯა იბრაჰიმი

დავით აღმაშენებელი ერთი უდიდესი ისტორიულ პიროვნებათაგანია და მისი თანამედროვე ბიოგრაფი სამართლიანად შეამკობს უხვი ფერებითა და მდიდარი სახის-მეტყველებით. ადარებს ჩვენს მეფეს სხვა ქვეყნის გმირებს — ისტორიიდან თუ მწერლობიდან — და წუხს, რომ თავის მცირედითა და კნინითა სიტყვითა არ შეუძლია გამოაჩინოს მთელი სავსება დავითის საქმეთა. „ჩვენი ესე გვირგვინოსანი და ახალი ალექსანდრე თუმცა იყო ჟამითა შემდგომად, არამედ არა საქმითაცა, არცა განზრახვითა, არცა სიმხნითა უმცირედო“, და თუ დავითმა ისე ვერ გაითქვა სახელი, როგორც ალექსანდრემ, იმიტომ რომ პატარა საქართველო ეპყრა ხელთ. „და თუ დავითს სპარსთა მეფობა ჰქონებოდა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხვათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმნარნი“.

დავით აღმაშენებელი მოევლინა საქართველოს* როგორც გენიალური მხედარი და სახელმწიფო კაცი და არამც თუ სრულიად გაწმინდა სამეფო მტრებისაგან, არამედ ისეთი ზარი დასცა მათ, რომ საზღვრების მოახლოვებასაც კი ვერ ბედავდენ. მთავარი მტერი, სელჩუკთა სულტანი, „ძრწოდა შიშისაგან მისისა; რაოდენსა შორს იყო, ეგრეცა ეოცნებოდა მძინარესა შიში და მღვიძარესა სიკვდილი“. დავითი რომ ტახტზე ავიდა, მოოხრებული იყო ქვეყანა და „თვინიერ ციხეთა სადამე არასადა იყო სოფელსა შინა კაცი, არცა რა შენებულება“. ხოლო თავის მოქმედებით მიაღწია იმას, „რომ განავსო და აღაშენა ყოველი ოხერქმნილი და გარდაამეტა ყოველთა ჟამთა მშვიდობითა და სიმდიდრითა სამეფო ჩვენი ნაცვლად გარდასრულთა ოხრებათა“ და „მზეებრ მიჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვიდრთა ქვეყნისა“. დავითის ცხოვრების აღმწერელი ასეთი მაღალი ენით დაგვიხატავს მის სიძლიერეს: „სულტანი დასვა მოხარკედ თვისად, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თვისი, დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროსნი, მეოტად წარაქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტვერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარი მათი“.

დავითი არ იყო მარტო მეომარი, ანუ როგორც თვითონ იტყოდა, მარტო „მხედრობათა შინა აღზრდილი“. ჰქონდა დიდი შინაური აღმშენებლობითი ნიჭიც, ყველგან წესიერება და სამართალი დაამყარა, ურჩნი მოდრიკა და დაუმორჩილა სახელმწიფოს სარგებლობას. „ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა პატიოსნებ

* მეფობდა 1083—1125 წლ.

და თვით მათ ყოველთა მეძავთა კრძალულება“. არც თუ ქონებრივ წარმატებას სტოვებდა უყურადღებოდ და მრავალნი ხიდნი აღაშენა „სასტიკთა მდინარეთა და გზანი საწყინოდ სავალნი ქვა-ფენილ ყენა“.

მაგრამ დავითის სიდიადეს ისე მისი „ხორციელნი საქმენი“ კი არ აცხადებენ, როგორც მისი სულიერი, გონებრივ-ზნეობრივი ბუნება. ადამიანი, რომელიც თითქმის მთელს სიცოცხლეს, დღესა და ღამეს სულ ომებში ატარებდა, — გასაოცრად გატაცებული იყო წიგნის სიყვარულით, ვითარცა პტოლემეოს, ეგვიპტის მეფე (ვკითხულობთ მის ცხოვრების აღწერაში), და წიგნების კითხვა ისე გაიტაცებდა ხოლმე, რომ ხანდახან მტრის შემოტევაც კი მოუსწრობდა. საღმრთო წერილნი, ძველნი და ახალნი და წიგნნი სიბრძნისანი და „გარდასრულთა საქმეთა“ ასე შეთვისებული ჰქონდა, რომ „მათ შინა ცხოველ იყო და მათ შინა იძვროდა“. „იგინი იყვნენ მისი საზრდელ ყოველთა გემოვან და სასმელ ტკბილ და საწადელ“. ჯორ-აქლემებით დაჰქონდა წიგნები ომში, ნადირობაში, მოგზაურობის დროს და თვითონ რომ დაიღლებოდა, სხვას აკითხვინებდა, და იძიებდა — იკვლევდა ძნელად გასაგებს...

აღაშენა გელათში „ყოვლისა აღმოსავლისა მეორე იერუსალიმი, სასწაულად ყოვლისა კეთილისა, მოძღვრად სწავლულებისად, ახლად ათინად“ და მუნ შემოკრიბა კაცნი პატიოსანნი და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა მარტო საქართველოში პოვნილი, არამედ ყოველი ქვეყნიდან.

გახსნა ქსენონი, საუცხოვოდ არჩეულ ადგილას, მოათავსა ავადმყოფნი, დაუნიშნა მომვლელნი და გაუჩინა თვითეულს შემოსავალი, ხოლო მოვიდოდა თვითონ ხშირად სნეულთა სანახავად, მოიკითხავდა, ფუფუნებდა, გაამხნევებდა, საკუთარი ხელით გასინჯავდა მათ საწოლებს და სამოსელებს და ყოველთვის დაასაჩუქრებდა უხვად. „მრავალგზის გვიხილავს იგი, ამბობს თანამედროვე: დამლტობელად ღაწვთა თვისთა“, როცა ნახავდა მეტად მძიმე დაავადებულებს.

ყველაზე გასაკვირვი კი ისაა, რომ ეს მეფე, რომელიც წმინდანად არის ჩარიცხული მართლმადიდებელ ეკლესიის მიერ, მოკლებული იყო სრულიად სარწმუნოებრივ მიუკარებლობას და შეურიგებლობას. მან განამდიდრა ქართული ეკლესიები და მონასტრები საქართველოშიც და გარეთ — საბერძნეთსა, ბულგარეთსა, პალესტინასა და სირიაში, და ამავე დროს ხელგაშლით ეხმარებოდა მუსულმანთ, მოაწყო მათთვის თავშესაფრები და სხვა სახლები, დადიოდა მათ სამლოცველოებში და ყურადღებით ისმენდა მათ ქადაგებას. ასევე პატივით ეპყრობოდა სომხის სამღვდელოებას და ხშირად მიიღებდა მათგან კურთხევას და ეს იმ დროს, როდესაც ქართველ სამღვდელოთა უმრავლესობა სიძულვილით იყო გამსჭვალული სომხის ეკლესიის მიმართ.

მაჰმადიან სასულიერო და სწავლულთა შორის დავით მეფეს ბევრი ყავდა დაახლოვებული. ხოლო გამოირჩეოდა მოხუცი ხოჯა იბრაჰიმი, კაცი მეცნიერი ყოველი სიბრძნის, არა მარტო სარწმუნოების. ქართული მშვენიერად იცოდა და დავითსავით წიგნის დიდი მოყვარული იყო — სახლი სავსე ჰქონდა წიგნებით არაბულ, ბერძნულ, ებრაულ და სპარსულ ენებზე, ყოველი დარგიდან: იქ შეხვდებოდით რელიგიურს, ისტორიულს, გეოგრაფიულს, ფილოსოფიურს, სააქიმო, მათემატიკურს და სხვა ნაწერებს.

დავით აღმაშენებელი ხშირად ნახულობდა ხოჯა იბრაჰიმს — ან მოიწვევდა ან თვითონ მივიდოდა მასთან და გულმოდგინედ მოუსმენდა მსჯელობას. მეფისგან მუდმივი საზრდელი ჰქონდა დანიშნული და დავითი ისედაც დაასაჩუქრებდა ხოლმე.

ხოჯა დიდიხანია მექაში წასვლას ნატრულობდა, ეს რომ მეფემ გაიგო, ფული მისცა საგზაო. ორ წელზე მეტს დარჩა იბრაჰიმი არაბეთში და როდესაც დაბრუნდა, მეორე დღესვე თავის მფარველს ეახლა.

მეფე დავითი სიხარულით მიეგება და მშვიდობით დაბრუნება მიულოცა. ხოჯა დიდს მადლობას ეტყოდა მზრუნველობისა და სიკეთისათვის, ფრიად დაუმადლა, რომ მრავალი მუსულმანი ტყვე გაენთავისუფლებია და მრავალიც გამოესყიდა თავის საჭურჭლით, სხვათაგან გატაცებული. პატივისცემის ნიშნად მეფეს ყურანი მოართვა, ომარ ხალიფას დროს გადაწერილი, მექიდან მოტანილი. დავითმა წიგნი მოწიწებით ჩამოართვა, ემთხვია, გულზე მიიდვა და ფრთხილად, ვით განძი დაუფასებელი, საპატიო ალაგას დადვა.

დასხდნენ. ამბები მოიკითხეს იქაური და აქაური. მეფემ გამოიკითხა, როგორ იმოგზაურა, როგორ ცხოვრობდა მექაში, რა ნახა გზაში, რა ხდებოდა არაბეთში, ეგვიპტეში, პალესტინაში, სირიაში. იბრაჰიმმა დაწვრილებით უამბო ყოველივე. აუწერა ფრანგების შესვლა ანტიოქიასა და იერუსალიმში, ხალიფის დაუძლურება, მუსულმანთა ერთმანეთისაგან განთვისება და განდგომა და დაუსრულებელი ომები.

დავითი სდუმდა და მერმე, თითქოს თავის თავს ეუბნებოდა, წარმოსთქვა:

— ყველგან ბრძოლა და სისხლის ღვრაა, აქ და იქ — მაჰმადიანი ქრისტიანს ებრძვის, ქრისტიანი ქრისტიანს და მაჰმადიანები კიდევ ერთმანეთს. რისთვის?

— ჭეშმარიტად, მეფეო, რისთვის?

— განა ეს დედამიწა მცირეა და ვერ ვეტევით?

— ვერავის განუზომავს და ვერ განუხილავს, სივრცე მისი უსაზღვროა.

— ღმერთმა აავსო ეს ქვეყანა ყოველი სიმდიდრით. მორთო ფერად

ფერებით, აამწვანილა და ააყვავილა, შეამკო ველებით და მთებით და მდინარეებით, უცხო და უცხო სანახავებით და ცანი მოჭედა ვარსკვლავებით — ჩვენთვის, კაცთათვის. სირნი გალობენ, რომ ყურნი ჩვენი დაატკბონ, და მდელო ბიბინებს, რომ თვალსა ჩვენსა აამოს.

— უხვია ღმერთი, ხოლო ადამიანი ბრმაა და არრას ხედავს.

— ღმერთმა ხომ ქვეყანა ყველასათვის გააჩინა, დიდისა და მცირისათვის, და ჩვენ ხომ ყველანი ერთის ღმერთის შვილები ვართ... მას ყველა უყვარს, ვინაიდათგან იგი სიყვარულია და სიყვარულსავე გვასწავლის და რაისათვის დამკვიდრებულა ჩვენს გულში სიძულვილი? არა, ამაოდ ვიტყვით: „მეუფეო, მეუფეო“. — ჩვენ ღმერთი არა გვწამს.

— გონიერია სიტყვა შენი, სვე-ბედნიერო მეფე, უმეცარნი ვართ და არა გვწამს. ღმერთი ყოვლად გამოცხადებულია და იგი მარად და ყველგან იყო და არის ხილული მხილველისათვის, სმენილი მსმენელისათვის, შეცნობილი შემცნობელისათვის. ხოლო არა ყოველმა მიწიერმა იხილა და შეიგნო მამა ცისა და ქვეყანისა, და მან წყალობა-აურაცხელმან და სიკეთე-განუსაზღვრელმან არა უგულებულ ყვნა დაბადებულნი თვისნი და მოგვივლინა მოციქულნი და კაცნი საღვთონი, რათა გვასწავლოს ჩვენ უგუნურთ სიბრძნე ღვთისა — სიყვარული ერთმანეთის.

— ამას ქადაგებდა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე.

— ამასვე გვასწავებდა ჩვენც დიდი მოციქული მაჰმადი. ამასა განავრცელებდენ მოძღვარნი ურიათანი. იყო ინდოეთს კაცი ვინმე ბუდად სახელწოდებული, რომელმაც დასტოვა მეფობა, რათა სიყვარული მიეტანა განუკითხავთა და დევნილთათვის. აზმანი ძველნი სწერენ, რომ ხატაეთსაც იყო ესეთი ბრძენი, და სხვაგანაც, სხვაგანაც — ღვთისაგან წარმოგზავნილნი, საწრთვნელად კაცთა.

— და როდის ღა ვიქნებით გაწრთვნილნი?

იკითხა მეფემ ნაღვლიანად და დადუმდა. არა სთქვა რა იბრაჰიმმაც. ღრმა საგონებელს მიეცენ ორივენი — სტკივოდათ გული, რომ კაცთა ნათესავი ასე დაშლილი იყო შურითა და მტრობით. მაგრამ ხედავდა მეცნიერი ხოჯა, რომ ვით აბობოქრებული ზღვის ტალღები ეხეთქებოდენ ერთმანეთს მოდგმანი, ენანი და სჯულნი, და არავინ იყო ხორციელი ამის შემჩერებელი. ხედავდა ამას ბრძენი მეფეც, რომელიც მარად ხმალამოღებული იგერიებდა შემოსეულ მტერს და იბრძოდა ქართველთა თავისუფლებისათვის.

და ორთავე ილოცეს თავის გულში იდუმლად: „დამბადებელო ჩვენო, მომადლე მშვიდობა ქვეყანასა შენსა მღელვარესა“.

VI

ფრთოვანნი ლომნი

გიორგი მესამემ* განდგომილი ანისი კვლავ დაიმორჩილა, ხოლო რომ გამობრუნდა, თურქნი დიდი ჯარით მიადგნენ ქალაქს და ისევ აიღეს. გიორგიმ ხელახლად გაილაშქრა, სამ დღეს ებრძოდა მტერთ და მეორედაც დაამარცხა. დარჩა იქ, სანამ არ განაგო კეთილად და არ „დაიმჭირნა სიმტკიცედ, ტახტისა თვისისა შესანახავად და განსამაგრებლად". დასტოვა გამგედ იოანე ორბელი, მანდატურთ უხუცესი და თანაშემწედ სარგის მხარგრძელი და უნიშნა და მოვიდა ნაჭარმაგევს, სახლსა სალხინოსა და შეექცევოდა და ნადირობდა, რამეთუ იყო მოისარი შეუდარებელი.

თურქნი ანისის წართმევას არ შეურიგდნენ, „აღლესნეს კბილნი მათნი" და შაჰ-არმენის მეთაურობით წამოემართნენ ანისისკენ — ოცდაათი ათასი მეომარი. ეს რომ გიორგი მეფემ შეიტყო, მყისვე შეკრიბა დასნი ზემონი და ქვემონი და თუმცა მცირე სპა ჰყავდა, „არღარა მომლოდინე ექმნა სახელგანთქმულთა ჭაბუკთა ლიხთ-იმერთა და ვიეთმე ამიერთაცა" და სისწრაფით გასწია სელჩუკთა (თურქთა) დასახვედრად. დიდი იყო მტერთა სიმრავლე და მწიგნობართ უხუცესი და სპასალარი სუმბატ სვიმონ-ქმნილი ურჩევდნენ მეფეს დაცდასა და არა შეტევას. ეტყოდნენ: „ნუ უკვე ჟამი არს ომისა და ჟამი არს სივლტოლისა, ვინაითგან ყოველსა საქმესა ჟამი მიაჩანს, რამეთუ ოდესმე ალექსანდრეცა უძლეველი იძლია დედაკაცისაგან და ეგრეთვე სამფსონ დალილასაგან და სოლომონ სიბილისაგან".

არ დამორჩილდა მხნე მეფე, პირ-მზე და ტანლომი, გარდმოხდა ჰუნედან და ილოცა ცრემლით. შემდგომად ამხედრდა, მიმოავლო თვალი ველსა საბრძოლველსა, სადაც თურქთ არ შეეძლოთ ფართოდ გაშლა, განაწყო სპანი წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და განამხნევა მხურვალე სიტყვით:

„კაცნო ძმანო, ერთსულნო და ერთსისხლნო! რაოდენ უფრო სასახელოა მხნეობრივი სიკვდილი, ვინემ სენთაგან დნობითა, რამეთუ სახე და სახელი კეთილი საუკუნოდ გზად გვყების. და გვსმენია მომთხრობელთაგან ძველთა, თუ რაოდენი კვეთებანი თავს ისხსნეს ტომთა ებრაელთა ბაბილონთა და რომთაგან, თუ რაოდენი სიმტკიცე და გულოვნება უჩვენეს სპარსთა თერმოპილეში ლეონიდემ და მისმა სამასმა სპარტაელმა; გვსმენია, თუ ვითა უკურღვეულ იქმნა მცირითა ელენ-

* თამარის მამა, მეფობდა 1156-84 წლ.

თა სპითა უცთომელის სპასპეტის თემისტოკლესაგან მთელი ხძელეთის და ზღვათა მქონებელი ქსერქსი!
თქმულაცა სიმკვეთრე ისრისა გორგასალისა, სიბასრე მახვილისა ბაგრატის და მეხისტეხანი დავითისანი! ფრთოვანნო ლომნო ჩემნო, აწ თქვენც აღიხვნეთ ლახვარნი და ოროლნი და უგმირეთ მტერთა ჩვენთა!".

განჰყო მეფემან სპანი, მისცა სუმბატს ამილახორსა და ბეშკენს სურამელს სამ-სამი ათასი და მცირენი თვით დაიმჭირნა და ჰრქვა მათ:

„ჩვენ სამთაგან რომელმან უხეთქოს პირველად დროშასა მათსა, იგი ვსჯობთ".

ამხედრდნენ ქართველნი და ეკვეთნენ სამად. ცხარე და სასტიკი ბრძოლა იყო, საღამომდის გაგრძელდა. ყველაზე თავგამოდებულად მეფე იბრძოდა, რომელმაც დასცა თურქთა მედროშე და ამათ რა იხილეს დროშა დაცემული, უკუიქცნენ.

სდევნიდნენ მათ სპანი გიორგისანი და შემობრუნდნენ გამარჯვებულნი და წამოასხეს ტყვე უთვალავი და წამოიღეს განძი აღრიცხვად შეუძლებელი. იხარებდენ და იშვებდნენ და ამბორს უყოფდენ ურთიერთს.

დაჰყო გიორგი მეფემ კართა ანისისათა, დააყენა ამირა და ლაშქარნი და წარმოვიდა და „წარმოავლინა მახარობელნი წინაშე ფილოსოფოსთა და პატრიარქისა". და რა მოვიდა სახლად, პირველად ნახა გამზრდელი თვისი და მამიდა თამარი, რომელმან დაალტო სიხარულისა ცრემლით. შემოეგება ცოლი ბურდუხან, ასული ოვსთა მეფისა ხუდანისი, უკეთესი დედათა ყოველთა სიკეთითა და ხორციელითა სიტურფითა, და ეპყრო ხელთა ჩჩვილი თამარი, შვილი მათი, „ნათელი და ბრწყინვალება თვალთა მათთა".

მეფე მოეხვია და გადაკოცნა ცოლი და შვილი. მერმე აიყვანა ხელში ბავშვი, ასწია მაღლა და ჰრქვა:
„მეფეო ჩემო, ამაღლდი და იყავ ღვთის სწორი და ჰმატებდე ყოველთა მეფეთა სიძლიერით და სიმდაბლით, სიბრძნითა და სიმშვიდით, სიმართლითა და სიკეთით, და სახელი შენი მარად სათაყვანებელ ექმნეს ქვეყანასა ჩვენსა"...
კვლავ შეკრბნენ თურქნი ხვარასნისა და ერაყისა და ხალიფისანი, მოადგნენ სომხეთს, აღღეს გაგი და მოაოხრეს საზღვარნი მისნი. მაგრამ იძლივნენ ისევ გიორგისაგანი და იტყოდნენ: „არა არს დღეს კაცი პირისპირ შებმელი გიორგისა და ლაშქართა მისთა, მოვერიდოთ და დავეფარნეთ მათისაგან".

შეიქცნენ და წარვიდნენ სირცხვილეუნი და ითხოვეს ზავი.

VII

ლომის ბოკვერნი

სამეფო პალატის ერთ დიდ დარბაზში არაჩვეულებრივი სიცხოველე სუფევდა. მთელი ტფილისიდან თავი მოეყარათ საქართველოს წარჩინებულთა დედათა და ასულთა — აქ იყვნენ ცოლები ვაზირთა, სპასალართა, ერისთავთა, ტაძრეულთა და სხვათა დიდებულთა და ყრმა ქალები. არა ნადიმობისათვის, არა ასპარეზობისა გინა სახიობის სანახავად, არა უცხო სტუმართა შესახვედრად და პატივსაცემლად მოსულიყვნენ, არამედ ყველანი ისხდნენ და გულმოდგინედ ხელსაქმობდნენ გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთა შესამოსად და დასახმარებლად.

მათი ოქრო-ქსოვილთა და ატლასთა საცმელნი და ძვირფას თვალთა სამკაულები ეტოლებოდნენ სასახლის უხვ მორთულობას და მათი გაცხოველებული მუშაობა თითქოს არა ეგუებოდა ირგვლივ განფანტულ სიმდიდრესა და ბრწყინვალებას.

მაგრამ ესეთი იყო წესი მეფისა თამარის. რომელი „ვერ შეიტყუა უზრუნველობამ საწუთროსამან, არც მეფობამან გვირგვინისამ და სკიპტრამან, არცა პატიოსან ქვათა უხვად ქონებამან, არცა სპათა სიმრავლემან და ესოდენ სიმხნემან, ვერცა წინაპართა სიმდიდრემან“, და მწერვალამდის აღმატებულმა და განდიდებულმა არასოდეს დაკარგა სიმშვიდე გონებისა და სიკეთე გულისა, და „ვითარცა მზე, სწორ პატიობით, ყოველთა ზედა განუტოვებდა ნათელსა თვისთა შარავანდედთა“.

მეფე, რომელსა ეპყრა „ზღვით პონტოსით ზღვამდე გურგანისა და დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერნი და ამერნი, ხაზარეთამდი და სკვითამდი“, — არა მეფობდა მხოლოდ, არამედ უშუალოდ მაღალი გონიერებით და მეცნიერებით განაგებდა სახელმწიფოს ყოველ საქმეს — საეკლესიოს, სამოქალაქოს, სამხედროს, საშინაოს და საგარეოს და სპათაცა კი წარმართავდა და განამხნევებდა თავის ანთებული სიტყვით. და ამ მეფის ერთი უმთავრეს საზრუნავთაგანი იყო მოვლა ღარიბთა, მომძლავრებულთა, დაჩაგრულთა.

მისი ხელი არასოდეს დაცხრომილა მსახურებისაგან გლახაკთათვის და არა თუ რაიმე დღესასწაულის, ბედნიერების, გამარჯვების დროს გაახსენდებოდა საქველო საქმე და „გლახაკნი გამდიდრდებოდეს, მოვალენი ვალთაგან განთავისუფლდებოდეს, ქვრივნი და ობოლნი ღონიერ იქნებოდეს და მიწის მოქმედნი გააზნაურდებოდეს“. გაჭირვებულთა დახმარებას მისცა სრულიად სახელმწიფოებრივი მოწყობილი სახე. სამეფოს ყოველი შემოსავლის მეათედი განწესებული ჰქონდა საქველმოქმედოთ და განაჩინა სარწმუნონი ზედამდგომელნი დავ-

რდომილთა მოსავლელად. თვით ჭყონდიდელს, დღევანდელურად რომ ვსთქვათ, სამინისტროს თავმჯდომარეს, ევალებოდა ყოველ ორშაბათობით „ობოლთა, ქვრივთა და მიმძლავრებულთა განკითხვა“. ამასაც არ კმაყოფილდებოდა თამარი და თუმცა საქართველოს საჭურჭლე იმ დროს მეტად მდიდარი იყო და „მიწისა მსგავსად შეასხმიდეს ოქროსა და თვალსა და მარგალიტსა წყვით დასდებდეს“, მაგრამ საკუთარი ხელით ქსოვდა და კერავდა და თვისივე ხელით ურიგებდა ღარიბთ, ან გაყიდდა და საფასურს მათ მოახმარდა. ამასვე მოითხოვდა სხვა დედათაგანაც. ხშირად დაუვლიდა დამაშვრალთა და ავადმყოფთა, პატრონობდა და განწესებული დროც ჰქონდა ამისთვის მიჩნეული.

დღესაც — პარასკევი იყო და ხვალ შაბათი — მოეწვია წარჩინებული დედანი და ასულნი, მეგობარნი და თანამზრახველნი და მათთან ერთად ამზადებდა იგი „მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა“, — როგორც იტყვიდა თვითონ, — ღარიბთა შესამოსლებს და ყოველსა დასახმარებელს და შესაწევარს.

იჯდა ერთ კუთხეს უპატივცემულესთა დედათა შორის „შვენებითა მით აფროდიტიანითა და სიუხვითა მით მზეებრ აპოლონიანითა“, და თუმცა ყველაზე ნაკლებად მორთული იყო და სადად ეცვა — მარტოოდენ ძვირფას თვლებით შემკული ოქროს პატარა ჯვარი უმშვენებდა გულს* — ხოლო მოუკაზმელობა კიდევ უფრო გადამეტებულად გამოაჩენდა მის სიტურფეს, რომელიც თანაშეერთებული იყო სულიერ სიკეთესთან. დარბაზში მყოფნი ისე შეყურებდენ, ვით ღვთაების ხატს და მოკრძალება და პატივი ჰქონდათ მისი, არა შიშითა, არამედ სიყვარულითა მისი კეთილობისა, ლმობიერობისა, სიწრფოებისა და სიბრძნისა.

სეფე ქალები ჯგუფ-ჯგუფად საქმობდენ და ერთმანეთში წყნარად უბნობდენ. იგონებდენ გასული წლის (1203) დიდს ომებს — შანქორისას და განსაკუთრებით მთელი ასიის ბრძანებელის ნუქარდინის სასტიკ დამარცხებას და ქართველთა სიმხნევეს და გამარჯვებულობათა: კიცხავდენ საბერძნეთის (ბიზანტიის) მეფეს ალექსი ანგარს, რომელმაც თამარის შეწირული ძღვენი წაართვა შავი მთის, ანტიოქიის, მთაწმინდის, კვიპრის მონასტრებს და რომელიც დასაჯა ღმერთმა, რამეთუ ფრანგთა და ვენეტიკთ წარუღეს კონსტანტინეპოლი, ხოლო თამარმა წარუღო ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი და დასვა მუნ კეისრად ნათესავი თვისი ალექსი კომნიანოსი, და გაძარცულთა მონაზონთ კვლავ მიუძღვნა ძვირფასი საჩუქარი.

ზოგნი ამას წინანდელ ასპარეზობაზე ბაასობდნენ და გამარჯვებულ მოყმეთა და რაინდებს შეაქებდნენ. სხვები კიდევ ყრმანი მოშაირეთა

---

* ეს ჯვარი დღემდის დაცულია.

და მელექსეთა ერთმანეთს აჯიბრებდნენ და ვეფხის ტყაოსნის, ლეილ-მეჯნუნის და ვისრამიანის სიტყვებით პაექრობდნენ.

თამარი ალექსანდრიით ვაჭართაგან მოღებული მატყლისაგან არ-თავდა, როგორც კარგი ხელოვანი, და გათავებას რომ აპირებდა, თავის წუხანდელი სიზმრის თხრობა დაიწყო. დარბაზი სმენად გადაიქცა, ყვე-ლანი დადუმდნენ.

„იხილა საყოფელი რამე სახილველად ტურფა და სიკეთე აღმატე-ბულთა ყვავილთა, მწვანილთა და ნერგთა მიერ გამშვენებული. ამასა შინა იყო შესწორებული ტახტები და ტაბლები და სარკმელები, პატი-ოსნად შემკული ოქროთი და ვერცხლითა, საჯდომები თვითოეულისა კა-ცისა საქმეთა მისთა შესატყვისად; ხოლო ზევით იდგა ტახტი უპატი-ოსნესი, მორთული ძვირფასთა თვალთა მიერ. და განიზრახა თამარმა გულსა თვისსა: „მეფე ვარ მპყრობელი ყოველთა და ჩემი არს ესე უზენაესი და უპატიოსნესი საჯდომი“, და მიმართა დაჯდომად. ხოლო მყის წარმოუდგა ნათლითა შემოსილი კაცი და ჰრქვა: „არა არს შენი საჯდომი ეგე“. მეფე ეტყოდა: „ვინ არს ჩემსა უპატიოსნესი?“ კაცმა ჰრქვა: „ტახტი ისი შენისა მოსამსახურისა ქალისა არს, რომლისა ხე-ლით შესთული ჰმოსიეს ათთორმეტთა მღვდელთა. საჯდომი შენი კი სხვაა“, და უჩვენა უდარესი.

თამარმა სიზმრის ამბავი რომ გაათავა, სიხარულით წარმოსთქვა: „დიდება ღმერთსა ყოვლად სამართლიანსა. მეფობა არაა სათნოება, ხოლო სათნოებაა მეფობა. ნუ მივკერძავთ მთავართ სიდიდისათვის და ნურცა გლახაკთა დავამდაბლებთ სიმცირისათვის, რამეთუ ყოველნი ერთნი ვართ“.

თქვა თამარმა და სიხარული მისი ახარებდა ყველას.

ხელსაქმობა თითქმის გათავებული იყო და ყველაფერი გამზადე-ბული, რომ ხვალ მეფეს, თანახლებით ზოგიერთ წარჩინებულთა დე-დათა, დაევლო ღარიბები და ქვრივ-ობლები და ყველასთვის აღმოეჩი-ნა დახმარება და ნუგეშინის ეცა. ავადმყოფთა ჩამოვლის დროს კა-რის აქიმი ეახლებოდა, ხოლო თვითონაც დახედავდა სნეულთ და მათ გაჭირვებას განიცდიდა, და თუმცა ღა მცირედ მეცნიერ იყო წამლო-ბისა. მაგრამ გასახსენებლად უკვე დასწავლულისა, მწიგნობარს წიგნი სააქიმოჲ მოსთხოვა და ვიეთნიმე კარნი წააკითხვინა — მაჯისა შეტყო-ბისა, ტანისა სიმრთელისა შენახვის, მომავლის სნებისა.

ამასობაში უკვე საღამო მოახლოვდა, ნელი ნიავის შერხეულ ვარ-დთა და ყვავილთა სურნელება ღია სარკმლით საამოდ მოეფინა დარ-ბაზს. სადაცაა მწუხრის ლოცვისთვის დარეკავდენ და წესი იყო პალა-ტისა, რომ სასახლეში მყოფნი — მსახურნი თუ წვეულნი — დილე-ულის, სამხრის თუ მწუხრის ლოცვას არ უნდა დაკლებოდნენ.

უცბად ეზოში ნადირმა რამ დაიკივლა და საშინელი ხმაურობა ატყდა. დარბაზში ქალები შეკრთნენ. ჯერ კიდევ ვერ გაერკვიათ, თუ რა იყო, რომ სარკმელში ლომის ბოკვერი შემოხტა, გააფთრებული, სანახავად მშვენიერი.

ისიც იყო, პირველს შემხვედრელს უნდა დატაკებოდა და დაეგლიჯა თავის კლანჭებით, რომ თამარი დაინახა. მშვიდი, წყნარი, აუღელვებელი, რომლის თვალები ესოდენ სიკეთეს და მადლს აფრქვევდნენ.

ნადირი მყისვე შეჩერდა, დაეშვა. მოიკეცა. შერცხვა, ეს რა მომივიდაო. თავი იატაკზე დადვა და სულგანაბული შეაცქერდა თამარს.

მეფემ ოდნავ გაუღიმა. ბოკვერი ნელნელა გაცოცდა მისკენ. თამარმა თავზე ხელი მოუსვა, ეალერსა. ნადირმა რაღაც სითბო და სიტკბო იგრძნო და მეფეს ფეხების ლოშნა დაუწყო...

ეს იყო შარვანშაჰის აღსართანის ნაჩუქარი ბოკვერი, რომელსაც საბმელი გაეწყვიტა და მსახურთ გამოქცეოდა.

თ ა მ ა რ მ ე ფ ე

1. ტახტზე ასვლა

> აღიმაღლა მაღლად გონება და მდაბლითა სულითა განიცადა სიდიდე საქმისა მისდა ხვედრებულისა.
>
> ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ა

> ქალი მზებრ უჰვრეტს ყოველთა ცნობითა ზე მხედველითა.
>
> რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

1184 წლის აპრილი იწყებოდა. ყოველი საქართველო ძაძა-მოსილი მწარედ გოდებდა და ისანის სამოთხის მსგავს პალატებში, ნაცვლად შვებათა და მუსიკობათა, ვაებისა და ტყეპის ხმანი გაისმოდა: მარტსა ოცდაშვიდს, დღესა სამშაბათს, კახეთში სტაგირს გიორგი მესამე გარდაიცვალა. გადმოასვენეს ტფილისის სამეფო ტაძარში და აწ უსულოდ და უძრავად იხილვებოდა სვე-სრული და ღვთისა და კაცისა სათნოთა

აღსავსე ხელმწიფე, რომელსა ყმობდენ მეფენი ქვეყნისანი. სტავრათა და ატლასთაგან აღნაგებ კარავს ქვეშ ოქრონაჭედი და თვალმარგალიტებით მოკაზმული ტახტი, უთქმელი ფასისა, დაცლილ და ოხერქმნილ იყო, და გვირგვინი ოქროსა ოფაზისა, იაკინთითა და სმარაგდოთა მიერ აღმკული, უპატრონოდ ეგდო, და პორფირი და სკიპტრა და საჭურველნი, ბედნიერად ხმარებულნი — არავისთვის დარჩენილიყო.

ფართო და მაღალ დარბაზთა მარმარილოს კედლები, ძვირფასი ქვებით მოხატული და მოქარგული; მოჩუქურთმებული კამარები, კარები და სარკმლები, სარდიონითა მოკამკამე საჯდომნი, სელნი, ტაბლანი ფლასითა დაებურათ. სასახლეში თავი მოეყარათ ვაზირებს და დიდებულებს. აქ იყვნენ კათალიკოზი მიქაელ, ვაზირთა უპირველესი მწიგნობართ-უხუცესი ანტონი გლონისთავისძე, ამირსპასალარი ყუბასარი, მეჭურჭლეთ-უხუცესი ვარდან, მსახურთ-უხუცესი იოანე, მეჯინიბეთ-უხუცესი აფრიდონ, ჩუნჩერახი ჭიაბერი, მოლარეთ-უხუცესი ყუთლუარსლან, სარგის მხარგრძელი, გამრეკელი თორელი, ერისთავთ-ერისთავნი, ამირთ-ამირანი და სხვანი ხელისუფალნი, მღვდელთმთავარნი, აზნაურნი, მოყმენი. სავსე იყო ეზო და გალავნის გარეთ ფორენი და ფოლორცნი — იდგნენ რაზმები და რაზმები, სპები და მონა-სპები, ერნი ყოველნი.

დამწუხრებულნი მძიმე საგონებელს მიეცემოდენ:

აღარ იყო დიდი მეფე, „რომელსა სძღნობდეს და ძმობდეს მეფენი ბერძენთანი და ჰრომთანი, ჰინდოთა და არაბთანი, ეგრედვე სულტანნი ხვარასანისა და ბაბილოვნისა და შამისა, ეგვიპტისა და იკონიისანი, და შემდგომნი ამათნი სკვითნი, ხაზარნი და ალანნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუა-მდინარენი და ყოველნი ერნი, ენანი და ნათესავნი მაღრიბით მაშრიყამდის“. აღარ იყო გიორგი მეფე და აღარ იყო მემკვიდრე მისიც. რა მოელის საქართველოს? რას განუმზადებს ცათა და ქვეყანათა მპყრობელი? და ნუთუ ეს სამეფო ესოდენ განდიდებული, გაერთებული, გაზეებული კვლავ უნდა შეიქმნეს სათარეშოდ უცხოთა თესლთა, ბარბაროზთა, ცრუ-სჯულთა? ნუთუ დაჩლუნგდეს და ჟანგმა სჭამოს ხრმალი ბაგრატისა, დავითის, გიორგის და არ მიუძღვებოდეს წინ ლაშქართა დროშა გორგასლანისა? ნუთუ დასრულდა მეფობა დავითიანთა და ბაგრატოანთა და სამარადჟამოდ დაობლდნენ ძენი ქართლისა?

შფოთავს დარბაზი, შფოთვენ სპანი და ვაებს ერი.

რამდენი დღეა, გიორგი მეფე მიიცვალა — ჯერ იგი დაკრძალული არაა „ჟამისა სიავისა“ გამო — და აქამდის სამეფოს პატრონი არა ჰყავს: ასული მისი თამარ, რომელიც ჯერ კიდევ მამამ მეფე ჰყო, მისცა სკიპტრა და დაადგა გვირგვინი და დასვა საყდარზე მარჯვენით

თვისსა შემოსილი ფერად-ფერადი ფესვედითა ოქროვანითა, ბისონი-თა და ზეზითა, — თამარი უსაზომო მწუხარებას მოუცავს. პირი იგი ეთეროვანი და უკიმირო ჰაერი და უმრუდო ნათელი შეიზღუდა ბნელი-თა და დამფხვრელი თმათა, იხოკს ღაწვთა და მდუღარე ცრემლებს აფრქვევს. ჩაიკეტა საწოლში (საძილო ოთახში), ღვთის მშობლის ხა-ტის წინაშე მუხლ-მოდრეკილი ლოცულობს და ღმერთსა მიანდობს თავის თავს. არავის იკარებს და ეზრახვის. აღარ რას ბრძანებს, არა გონებს სამეფოს „მართებასა“ და „განსაგებელზე“, თავს მეფედ არა-ვის უჩვენებს და არც თუ ვინ უწყის, უკვე აღსრული საყდართა ზედა ზეამაღლებულთა, კვლავ აღვალს და იმეფებს ვით მემკვიდრე მეფისა გიორგის, თუ არა? მწუხარებამ და სიმწარემ დაავიწყა სიდიდე თავის ღირსებისა, თუ დაუმძიმდა ტვირთი მეფობისა და უნდა განშორდეს სკიპტრას და პორფირს? თუ არა, რად არ აღიმაღლებს ხმას და არ ეტყვის ერს, რომ არის „აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სო-მეხთა მეფე და დედოფალი, შარვანშაჰ და შაჰნშა და ყოვლისა აღმო-სავლეთისა და დასავლეთის თვითმფლობელი“?

— ნუთუ ეს დღეც ისე დაღამდება, როგორც გუშინდელი და დღესაც არ მოგვევლინება მეფედ და პატრონად?“ ეკითხებიან ერთმა-ნეთს დიდებულნი, ეპისკოპოზნი, სპანი, ტაძრეულნი. და ამშვიდებს მათ დედოფალი რუსუდანი, რომელი ახლო იცნობს თავის გაზრდილს ძმისწულს და იცის ბუნება და ზნე მისი, თუ ვითარ უმეტეს ზომისა გლოვობდა მაშინაც, როდესაც გარდაიცვალა ყოვლითურთ სიკეთე-აღ-მატებული ბურდუხან, დედა თამარისა, ხოლო განიცდის სიდიდეს მის-და ხვედრებულისა საქმისა და ამაღლდება საყდართა და საჯდომთა ზე-და მამა-პაპათა. და რუსუდანი დარწმუნებულია, იმეფებს სიმშვიდითა დავითიანითა, სიბრძნითა სოლომონიანითა, სიმხნითა ალექსანდრიანი-თა, იქნება კედრით კედრამდე სადიდებელი, დააბნელებს ყოველთა ქვეყნის მპყრობელთა და ვით მზე დაჰფარავს სხვათა ვარსკვლავთა.

სწამს ეს ვაზირთა. უპირველესს, მწიგნობართ-უხუცესს ანტონ ჭყონდიდელს, კაცსა ბრძენსა და გონიერს, პატრონთათვის სვიანსა და ერთგულს და შემეცნებულს საურავთა, სახიერსა და მართლმსაჯულს. ხოლო იგი, გაზრდილი გიორგისა და მომსწრე და მოზიარე მის საქმეთა, კარგად ხედვიდა სიმძიმეს და სიძნელეს, რომელი აღმართული იყო წინ, და არა-საწადელ მიაჩნდა ყოველი აღრევა და გაურკვევლობა.

ასე აზრობდა: „საქართველო დღეს დიდი სამეფოა, გადაშლილი ზღვით გურგანისა ვიდრე ზღვამდე სპერისა, საკეისროა, არა ოდენ სა-მეფო, ახოვანთა და გულოვანთა, მუდამ სახსენებელთა მეფეთ გასწმინ-დეს ისმაიტელთაგან, წესი და მშვიდობა დაამყარეს და ქართველთა ორღანონი ხმოვანებენ ყოველგან. ურჩნი მთავარნიც მოსდრიკეს, შე-

'აერთეს ყოველი სამკვიდრებელი ქართველთა ნათესავისა და დაუმორ-
'ჩილეს დიდი და მცირე ერთსა სამართალს. მაგრამ ჯერ კიდევ სავსე-
'ბით არაა აღმოფხვრილი ღვარძლი და სიბოროტე, და აგარიანნი კბი-
ლებს ილესენ, გვითვალთვალებენ და ელოდებიან ჟამს, რომ ისევ აგვა-
ოხრონ და გაგვძარცონ. კვლავ გვჭირია მეფე ძლიერი, მტკიცე, ბრძენი
გონების, მტერთა მძლეველი და ერთგულთა საფარველი, ხოლო არა
ავი, — მოწყალე და სამართლიანი. სვე-აღმატებულს და ქვეყანათა
ბრძანებით მპყრობელს, აწ ღვთივ-განსვენებულს გიორგი მეფეს მარ-
ტოოდენ ასული დარჩა მემკვიდრედ. ასე ინება განგებამ ზეციერისა
მიუწვდომელისამ. თუმცა ღა ქალია, მაგრამ იცის მეფობა, და განა დე-
დამ, ღვთის მშობელმა, არ ირგუნა თავის წილად საქართველო? ასული
ნინო არ წარმოგზავნა მან სახარებისა საქადაგებლად ჩვენი ნათესავი-
სათვის? და განა თვით მაცხოვარმა არ გვითხრა: „არცა მამაკაცება
არს, არც დედაკაცება, არამედ თქვენ ყოველნი ერთ ხართ“? თამარი
დიაა, ხოლო ლომი ლომია და ვით იმ ტყვე ქალმა მოაქცია და სარწმუ-
ნოებად მოიყვანა ტომნი ქართლისანი, მაშინ პირუტყვთა უგნურესნი,
და დაამხო კერპნი წარმართობისა, ეგრედვე დღეს თამარი შემუსრავს
ურწმუნოთა სიბრძნით და მეცნიერებით, დათრგუნავს გვლარძნილთა
და დრკუთა ლმობიერებით და სიტკბოებით და ყოველთა ზედა მიაფენს
სწორად მადლსა თვისსა“.

ჭყონდიდელის გვერდით მეორე ვაზირი, სპათა ხელმძღვანელი და
გამგე, ამირსპასალარი ყუბასარი, რომელსა ამავ დროს მანდატურთ-
უხუცესობაც ჰქონდა, ერთიან წარსულის მოგონებით არის შეპყრობი-
ლი. ისიც გიორგი მეფის გაზრდილია, ერთგული და „კარგი მოყმე და
ჭაბუკი“. აგონდება ძველი ძლევა-მოსილებანი და გამარჯვებანი. კათი-
რევანის, დვინის, გაგის, ანისის, ნახჭევანის და მასისის, დარუბანდის
და შაბურანის ლაშქრობანი თვალ წინ უდგია, თითქოს დღევანდელი
ამბები იყოსო. ხედავს გააფთრებულ ბრძოლებს თურქებთან — აი
შაჰარმენი, ხლათის პატრონი, აი სულტანი ხვარასნისა და ერაყისა, აი
ათაბაგი ელდიგუზ — როგორ ძრწოდენ შიშისაგან და ძილსა ვერ ჰპო-
ვებდენ ვერც დღე და ვერც ღამე. ბოლოს ივანე ორბელის და ყოველ-
თა მიმდგომთა მისთა განდგომა. დიდად დაეხმარა მაშინ ყუბასარი მე-
ფეს ყივჩაყთა რაზმებით და მეფემაც დაუმადლა და პატივი სცა — სამ-
სახურისათვის, ღირსებისათვის, ერთგულებისათვის და აღამაღლა დიდ-
გვარიან აზნაურთა ზედა. და განა მარტო ყუბასარი? აფრიდონ, ყუთ-
ლუ არსლან, ჭიაბერი, თვით ვაზირთა უპირველესი ანტონი ხომ აღმა-
ტებულნი და გაზეებულნი არიან არა გვარიშვილობით, არამედ პირადი
დამსახურებით, გონიერებით, საქმის ცოდნითა და სიყვარულით“.

იცის ეს აფრიდონმა და დაკვირვებით მიმოავლებს თვალს გარშე-

მო. სრულიად უგვარო, აზნაურის ყმა, რომელმაც ერთგული სამსახურით, ჭკუითა და უნარით, გამრჯელობითა და შრომით, სამეფოსა და ერისთვის თავდადებით პატრონთა ყურადღება და პატივისცემა მოიპოვა, კაც იქმნა და განდიდდა, მეფის ახლობელი გახდა. იგიც შვილია და მჭედელი იმ ახალი საქართველოსი, რომლის შესაქმნელად მხნედ იბრძოდენ ორი საუკუნის მანძილზე არა მარტო მეფეები. თვით მანათობელი ჩვენი და მრწთვნელი ერისა გიორგი მთაწმიდელი აღლესავდა მახვილსა უღირსთა დიდგვარიანთა, უწესოთა და უსწავლელთა წინაალმდეგ, რომელნიც მხოლოდ პირად განდიდებისა და სიმდიდრის მოხვეჭისათვის ზრუნავდენ; განდევნა ისინი ეკლესიიდან და გზა გაუხსნა ღვთისა სამსახურად ღირსეულ მონათა და ყმათ.

ჩუნჩერახი ჭიაბერი, კაცი „მართალი და ერთგული", გამრეკელი თორელი, დიდი სახელგანთქმული მოლაშქრე, სარგის მხარგრძელი, „აღზრდილი ლაშქრობათა შინა" და „გვარეულად ერთგული და შეყვარებული" მეფეთაგან, და მრავალნი სხვანი ხელისუფალნი, როგორც „დარბაზის კარს მყოფნი", ისე ერისთავნი და ამირანი — გიორგი მეფის გამოზრდილნი — დღეს ერთგულად გამზადებულ იყვნენ თავის დადებად მისი მემკვიდრის თამარისათვის.

ამათთანაა მოლარეთ-უხუცესი ყუთლუ არსლან. გვარისა უაზნოსაა იგი, „ბიჭს" უწოდებდენ, ხოლო დაწინაურდა, ამაღლდა, სიმდიდრეც მოიხვეჭა. ჩახედულ კაცად ითვლება, თვალ-ყურს ადევნებს ყველაფერს, დაახლოვებულია ვაჭართა ერთან და ლაშქარშიაც დიდი გავლენა აქვს. ბევრის მნახველია, სხვათა დაწერილიც წაუკითხავს, გადმოცემული მოუსმენია და იცის — თვითონაც ხომ გამოსცადა — დიდგვარიანთა ქედმაღლობა, მძლავრობა და ორგულობა და თუმცა ორბელიანთა გვარი გადაშენდა, აღარავინ დარჩომილა, მაგრამ სული ლიპარიტის და იოანესი არ მომკვდარა, ამბოხი ისევ დუღს, განდგომის ცეცხლი კვლავ ღვივის და თუ ძლიერი პატრონი არ გვეყოლა, — ხელახლა ავარდება და გადაბუგავს აწ ასე გამშვენებულს და დამკვიდრებულს საქართველოს. და ვაი თუ თამარი, ვით დედა, შედრკეს, ცრუ გამზრახველთ გაჰყვეს და ცა უკუღმა შეტრიალდეს და თავს დაგვატყდეს მეხის ტეხანი? ამიტომ უმჯობეს არს, რათა მეფეს მუდმივი თანამდგომნი და გამომრჩეველნი ჰყავდეს დიდ ხელისუფალთა, აზნაურთა, სამღვდელოთა და ვაჭართაგან უკეთესნი. ისხდენ ისინი თავისუფლებით კარავში ველსა ისანისა, პალატის მახლობლად, გასცემდენ და მიიღებდენ, შერისხავდენ და შეიწყალებდენ, და მერმე ჰკადრებდენ და მოახსენებდენ მეფეს განგებულსა თვისსა შესასრულებლად. მეფის ირგვლივ შემოიკრიბებიან კაცნი რჩეულნი და მეცნიერნი სახელმწიფოთა საქმეთა და ესე-

თი წესი შექმნის სიმტკიცეს, განამაგრებს ტახტსა და ალაგმავს ყოველთა ორგულთა და ცრუ-მზრახველთა...

ჰეშმარიტად იყვნენ დიდებულნი, რომელნი ბოროტსა განიგულებდენ. აქ სასახლის დარბაზებში შემოკრებილიყვნენ სხვებთან ერთად და მოელოდენ, რათა თამარი ტახტზე ასულიყო. დღეს არ აპირებდენ წინაამდეგობას, ბრძოლას გინა გაფიცვას — არც ღონე შესწევდათ ამის, არც იყო ჟამი, ოღონდ გულში ღრმად ჰქონდათ დამარხული დიდი უკმაყოფილება და სიძულვილი სამეფოში დამკვიდრებული წყობილებისა.

იტყოდენ: უგვარონი შემოესიენ ტახტს და დაეპატრონენ პატივებს. ეგენი არიან მეფის ვაზირები და დიდი ხელისუფალნი, წაბილწეს საყდარი, და ჩვენ გვარიანები მხოლოდ მათი ქვეშეთნი და მცირე საქმისმოქმედნი ვართო.

„აღარ ვეგებით ძველთა ხელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქვეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძვრცილნი და უპატიოდ დასულნი ვართ, და გვარიანნი და თვით მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ განსულ ვართ უგვაროთა და უხამსთაგან“. არ ეგების ესე და ნუ იქნება დამცირება ჩვენი, მიეცეს დიდება და პატივი გვარიშვილობას!

ამ დიდებულთა თანამოზიარე იყო და ამხნევებდა მათ თავის კურთხევით კათალიკოზი მიქაელ მირიანისძე, რომელი თუმცა ღა ღვთის მსახური იყო, უყვარდა საწუთრო ქვედამზიდველი და ზრუნავდა ფრიად ოქროსა და ვერცხლისა შემოკრებისათვის. კათალიკოზობასთან ერთად აწყვერიცა და სამთავისიც მიითვალა, „წინა-უკმო იყო წესთაგან ეკლესიისათა“ და ცთილობდა ახლა ჭყონდიდლობისა და მწიგნობართ-უხუცესობის „მოვერაგებას“ თავისთვის. ამისთვის უკვე საკმაოდ იღვაწა გიორგი მესამის დროს, როცა აზნაურთაგან მრავალ ჭირსა და განსაცდელში მყოფ მეფეს ბევრი რამ დაათმობინა, „მოსტაცა“ ეკლესიისთვის. პატივ-მოყვარე კათალიკოზი გონებდა ახლა, რომ ქალს — მეფეს, ბუნებით უძლურს, მეტს დაათმობინებს კიდევ და მაშინ ვითარცა პატრიარქი და იმავ დროს ვაზირთა უპირველესი, „მამა მეფისა“, გახდება ქვეყნის სრული პატრონი. ამის მიხწევისათვის იყო, რომ ჰპირდებოდა დახმარებას დიდგვარიანებს და იმათგანაც შეწევნას მოითხოვდა...

* * *

საცაა დღე მწუხრს შეეყრებოდა. თამარი ისევ თავის საწოლში იყო და შეწუხებას ვერავინ ჰკადრებდა. ერი უფრო და უფრო დრტვინავ-

და. სპანი შფოთავდენ და ამირსპასალარი ყუბასარი რამდენჯერმე გავიდა მათ დასახედად და დასამშვიდებლად.

ასე დარჩენა შეუძლებელი იყო, დღეს უნდა დასრულდეს.

მწიგნობართ-უხუცესი ანტონი ამირსპასალარს და მეჭურჭლეთუხუცესს ეზრახა და მერმე „მცირე დარბაზი" შეკრიბა — ვაზირები და ყოველნი დიდებულნი, კათალიკოზი და ეპისკოპოზნი, ვინც იყვნენ პალატში. დარბაზის-ერთა დაადგინეს და ჰკადრეს და მოახსენეს რუსუდან დედოფალს:

„დღეს შენ ჰსჩან მშობლად მისა და ვინათგან ეხედავთ ყრმასა თამარს გონებითა არა ყრმაებრითა, არამედ გონიერებითა სრულსა და ჯეროვნად და კეთილად მორჩილსა და მსმენელსა შენდა და შენ გხედავს სახედ მშობელთა, არქე მომახსენებელმან შეცვალება ამის ესევითარისა გლოვისა და, სადა ძმასა თქვენსა და მამასა მათსა დაუსვამს, მუნ ხელჰყოს გაბრწყინვება მათი. აღვიდეს და ამაღლდეს და დაჯდეს საყდართა მამათა თვისთასა: აღპყრობითა და აღძღვანებითა ძელისა ცხოველისათა მან დაიპყრნეს კიდენი ქვეყნისანი და მეფობდეს ზღვითი ზღვამდე და მდინარითგან კიდემდე სოფლისათა".

რუსუდანმა ყოველივე ესე თამარს მოახსენა და თვითონაც შეეეედრა. კარგა ხანს დარჩა თავის გაზრდილთან. მერმე თამარმა კათალიკოზი მიიწვია, ანტონ ჭყონდიდელი, ამირსპასალარი ყუბასარი და ცალ-ცალკე ეზრახა თვითოეულს.

ეს რომ შესრულდა და მცირე ჟამს შემდეგ მთავარნი და დიდებულნი და ყოველნი ერნი კვლავ შეიკრიბენ დიდ დარბაზში, იმედით აღივსო მათი გულები, რომ საქართველო აღარაა უმეფოდ და უპატრონოდ. ყოველ წამს მოელიან თამარის გამობრძანებას. უკვე სამზადისს შეუდგენ. ტაძრეულებმა დარბაზი გასინჯეს, რომ ყველა თავის ალაგას მდგარიყო წესისამებრ. ერთ მხარეს დადგენ ჭყონდიდელი, მეჭურჭლეთ-უხუცესი, მსახურთ-უხუცესი და სხვა სამოქალაქო ხელისუფალნი, მეორეზე — ამირსპასალარი, ამირახორი, მეჯინიბეთ-უხუცესი, სპასალარნი და ყოველნი მდეგნი ლაშქართა; შუაში პატრიარქი და ეპისკოპოზნი, ფილასოფოსნი და რიტორნი; მერმე მოყმენი, ჭაბუკნი.

ჰკრეს სპილენძ-ჭურთა და ბუკთა. წინწილთა მოსცეს ტკბილი ხმა. დარბაზის შუა კარი გაიღო. გამოვიდა მესაწოლეთ-უხუცესი და მაღლად გამოაცხადა:

— მეფე პატრონი!

ერთ წუთს დარბაზი შეკრთა, ხოლო მყისვე გაშეშდა და კარებს მიაპყრა თვალები.

გამობრძანდა ნელის ნაბიჯით თამარი „შვენებითა მით აფროდიტიანითა და სიუხვითა მით მზეებრ აპოლონიანითა, სატურფო საჭვრეტი".

ცოტა მოშორებით რუსუდან დედოფალი მოჰყვებოდა, მერმე დიოფალნი, სეფე ქალნი.

ლერწამობს საროს ტანი, ნაზად მრხეველი. გრძელობს და ვარდობს ბროლის ყელი; ღაწვნი ლალობენ; ატევრებულა გიშრის თმა და ყორნის ბოლოსავით გადაფენილან წარბნი; შუბლი ელვარებს და თვალები სხივოსნობენ.

მჭვრეტელნი უცქერიან და მაღნიტისებური ძალა იზიდავს მათ. ჭვრეტენ და უნდათ მარად უჭვრიტონ. ხედვენ არა ღვთის სახიერს, ნათელს ულუმპიანს, არამედ თვით ღვთაებას, ღვთის მეოთხე გაპიროვნების. არავის დაუნახავს სამეფო ტანსაცმელთა მოკაზმულობა, სჩანდა მხოლოდ მოცისკროვნე სახე და უცნაური შუქთა ბაკმი, რომელიც თითქოს გარს შემორტყმოდა თამარს. ნარნარი და მშვიდი გამომეტყველება არც მრისხანებას გამოხატავდა, არც თუ სილბილეს: ეს იყო სიბრძნე და ნება. სამართალი და სიკეთე, შეგნება ზენა ხვედრის.

თამარმა, გლოვის სიმწარე-ნარევ, ოდნავი ღიმილით გადახედა შეკრებილთ, ყველას გულში ჩაიხედა და ამოიკითხა თვითოეულის საგულებელი, და ყველამ იგრძნო და შეიცნო, რომ საქართველოს მოევლინა უდიდესი პატრონი.

ვაზირთა უპირველესი ანტონ ჭყონდიდელი გახარებული იტყოდა თავის გულში: „ოსანნა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“. ხოლო კათალიკოზს მიქაელს მჭმუნვარედ დაეხარა თავი.

მთელი დარბაზი უკუდგა, თავ-მოდრეკით ეთაყვანა მეფეს და ერთხმად შეღაღადეს:

„მრავალმცა არიან წელნი მეფისა ჩვენის!“.

იმედი და სიხარული მიეფინა ყველას. განვიდა გარეთ და მიწვდა სპათა და ერთა, გავრცელდა და მოედვა ქალაქიდან ქალაქს, სოფლიდან სოფელს, კიდიდან კიდეს და იშვებდა ბედნიერი საქართველო ზღვით პონტოსით ზღვამდე გურგანისა და სპერითგან დარუბანდამდის.

2. თამარი და რუსი

თამარი იტყოდა: უკეთუ შვენიერ არს, გარნა
განიცადენით შინაგანიცა შვენიერებანი.
ვ ა ხ უ შ ტ ი

ხაფად დაგესხენ, ქმრად რამე გესხენ.*
ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე

ტახტზე ასვლის შემდეგ მოხდა კურთხევა. წესი იყო ძველი, და თამარს გვირგვინი დაადგა ლიხთ-იმერთაგან ქუთათელმა მთავარეპისკოპოზმა, „მონაზონმა ღირსმა, მადლით შემოსილმა“ ანტონ საღირასძემ და ხრმალი შემოარტყა ერისთავმა რაჭისა და თავ-კვერისა, კახაბერ კვირიკესძემ. მაშინ „აღიმაღლეს ხმა მგალობელთა ძლევით გვირგვინოსნობისა და მძლედ მფლობელობისა... ჰკრეს სპილენძ-ჭურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა და იყო ზეიმი ქალაქსა შინა“. თაყვანისცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა და ერთა.

თამარმა გაახსნევინა მამა-პაპათა საჭურჭლენი და გასცა ულევი და უანგარიშო, სიუხვე არ მოეწყინა. დაასხა ერთგულთა და ორგულთა ზედა მოწყალებანი, მისცა ობოლთა და ქვრივთა კმასაყოფელი, ღონიერ ყვნა გლახაკნი და ღონიერნი მდიდარ და არა დასტოვა გაჭირვებული, რომელსაცა არა უხვებით მიჰფინა წყალობა.

რა კურთხევის დღეობა დასრულდა, თამარი მშვიდად, სიბრძნითა და მეცნიერებით შეუდგა სახელმწიფოს საქმეებს და „უზესთაეს ყოველთა მეფეთა და ბრძენთა და ფილასოფოსთა კეთილად განაგო და შეამკო და წარმართა“. პირველ ყოვლისა მოუწოდა იერუსალიმით ნიკოლოზ გულაბრისძეს, კაცსა განსწავლულსა და წიგნთა შემთხზველსა, „რომელსა სიმდაბლისა ძლით ეჯმნა ქართლისა კათალიკოზობისაგან“, და მისისა და ანტონი ქუთათელის წინამძღოლობით შემოკრიბა ყოველნი მღვდელთმთავარნი, მონაზონნი და მეუდაბნოენი, კაცნი მეცნიერნი სჯულისა საღრმთოსა, რათა აღმოფხვრან ბოროტნი თესლნი, მართლმადიდებლობაში შემოთესლილნი.

მერმე განაგო წესნი საერონი. დაამშვიდა ვიეთნიმე დიდ-აზნაურნი, რომელთა ფიცი ჰყვეს და ითხოვდენ ყუბასარის, აფრიდონის და სხვათა უაზნოთა გადაყენებას: მხოლოდ ჩამოართვა ამირსპასალარობა ყუბასარს — სხვა პატივი არა დააკლო რა — და აფრიდონს მსახურთ-უხუცესობა; და თუმცა ღა არა შეიწყნარა ყუთლუ არსლანი და მასთან შეფიცულნი, მოწადენი „კარავისა“, მაგრამ ეზრახა ერსა, და „თანა-

* ესე იგი, მოულოდნელად ქმრად რაღაც (რამე) შეგრთესო. რამედ — ირონიით ნაგულისხმევია თამარის პირველი ქმარი, რუსი.

დგომითა და ერთნებაობითა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთა“ განაჩინა ამირსპასალრად სარგის მხარგრძელი და უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო, მანდატურთ-უხუცესად ჭიაბერი და მისცა არგანი ოქროსა ხელთა მისთა, მეჭურჭლეთ-უხუცესად კახაბერი ვარდანისძე, მსახურთ-უხუცესად — ვარდან დადიანი, ამირახორად — გამრეკელი თორელი და ჩუნჩერახად — მარუშიანი. დაადგინა ერისთავნი ყოვლისა მხარისა და ესე უბრძანა ხელისუფალთა:

„გქონდეთ გონება ვრცელი და ცნობა მახვილი, გიძღოდეთ სიბრძნე და არა უმეცრება, ყოველი კეთილად გამოიძიეთ და დაამტკიცეთ მართალი; ნუ თვალ-ახვამთ მთავართა სიდიდისათვის, ნუცა გლახაკთა დაამცირებთ სიმდაბლისათვის და სამართალი და წყალობა სწორად გახაფინეთ ყოველთა ზედა; არად დამზარნი, საურავსა დღეისა ხვალისათვის ნუ მიაგდებთ; იყავით მშვიდობისმყოფელნი, იმოქმედეთ უმეტეს სიყვარულითა და სიკეთით, ვიდრე შიშით, მადლით და არა ბოროტით, სულგრძელობით და არა რისხვით; აღიღეთ ყოველი ჭირი დაჭირვებულ ერისაგან და შორს იყავით მესისხლეობისაგან და ნურავის ჰკადრებთ ტაჯგანაგსა*, თვალთა დაბნელებას და ასოთ-მოღებას“...

ესე მშვიდობით დაიპყრო საზღვარი მამაპაპური, მოწრთვნა კაცნი ქედ-ფიცხელნი და გონება-ურჩნი და განამტკიცა მეფობა და ტახტი.

მაშინ შეიკრიბენ ვაზირნი და დიდებულნი, კათალიკოზი და ეპისკოპოზნი, რათა აღვაწონ მოყვანებად ქმრისა თამარისათვის. საჭირო იყო მემკვიდრე სამეფოსა და ეგრედვე წინამძღოლი ლაშქრისა. დიდი თათბირი და გამორჩევა ჰქონდათ და ვერავის ჰპოვებდენ საკადრისად, თუმცა-ღა თამარის სიმშვენიერით მოხიბლული და ხელქმნილი ბევრი იყო ქრისტიანე და მუსულმანი ბატონიშვილი. საქართველოს მეფეები ცოლებს საბერძნეთსა, სომხეთსა და ოსეთში თხოულობდენ, ხოლო ახლა მოსაყვანი იყო ქმარი, რომელი არა იმეფებდა, მაგრამ თანამოზიარე იქნებოდა მეფისა, და ფრიად საზრუნავი იყო, რათა არა ევნო რა ქვეყნისა მთლიანობისა და შინაურ მშვიდობიანობისათვის.

წარმოსდგა თავადი ერთი, ამირა ტფილისისა და ქართლისა, სახელად აბულ-ასან და მოახსენა დიდებულთა:

„ქალაქის ვაჭართა ბევრი უცხო ქვეყანა მოუვლიათ, უნახავთ ნაირ-ნაირი სჯული და ნათესავი, ბევრი ენა და ტომი, მაშრიყი და მაღრიბი, ინდნი და ჩინნი, ხვარაზმნი და სპარსნი, მეგვიპტელნი და არაბნი; ყოფილან ხაზარეთს, ატალას, ყივჩაყეთს, რუსეთში და მრავალი უცხო ამბავი იციან. მსმენია ვაჭართა უხუცესისაგან და ვიცი შვილი რუსთა ხელმწიფისა, ანდრია დიდისა მეფისა, რომელსა ცოლად ყვანდა ოვსთა

* გამათრახება.

ქალი, და იგი მცირე დარჩომილი ობლად და დევნილი ბიძისაგან ვსე-ვოლოდ წოდებულისა, გარდმოიხვეწა და აწ არს ყივჩაყთა მეფესთან, რუსთა მეზობელთან და უბნობს ყივჩაყურს ენასაც. ჩვენს ყივჩაყთა ლაშქარშიაც არიან ვიეთნი, რომელთა უხილავთ ეს რუსი, სახელით გიორგი, და დედისა მისისა თვისნი ოსნი არიან დღეს მკვიდრნი საქართველოსა. უწყით ყოველთა, რუსთა ერთისა მეფის ცოლი აფხაზეთის დიდებულის ასული იყო, და რუსეთი ქვეყანაა ვრცელი და რუსნი არიან ქრისტიანენი და მართლმადიდებელნი“...

დიდებულთა ამირას ნათქვამი მოიწონეს და წარავლინეს ტფილისელი დიდი ვაჭარი ზანქან ზორაბაბელ, რომ სწრაფად წარვიდეს ქარულად, ცხენების გამოცვლით, და მოიყვანოს რუსი იგი ანდრია მეფის შვილი. ხოლო არა კეთილად გონებდენ, რათა არცა კაცი, რომელი გაგზავნეს, იყო ღირსი საქმისა, არცა იმისა მეცნიერნი იყვენ, რომელსა მოიყვანებდენ.

ზორაბაბელ მცირე ჟამს დაბრუნდა და ჩამოიყვანა რუსი, კაცი დიდად გვარიანი, პირითა შვენიერი, ანაგებითა სრული, ახოვანი. ვინცა ნახა, ყველას მოეწონა, თუმცა-ღა არავინ იცოდა შინაგანი მისი თვისება, არცა ზნე და ჩვეულება.

მყისვე ეახლენ დედოფალს რუსუდანს პატრიარქი და დიდებულნი და მოახსენებდენ თამარის დაჩქარებით დაქორწინებას. ხოლო მშვიდი და ბრძენი იგი, თამარი გაკვირვებული ეტყოდა მათ:

„კაცნო, როგორ შეიძლება შეუტყობლად ესე ვითარისა საქმისა ქმნა. არა ვიცით კაცისა ამისა უცხოსა არცა ქცევა, არცა საქმე, არცა ბუნება, არცა მხედრობა და სიქველე; იტყვით უმეტეს, მართლმადიდებელ არს, მაგრამ არა ყოველი მართლმადიდებელი მართლიერად ადიდებს უფალსა და მართლმადიდებელი ბერძენნი ხშირად ბრძოდენ საზეფოსა და ერსა ჩვენსა. დამაცადეთ, ვიდრემდის განვიცადოთ და გავიცნოთ სრულად ყოველი სიკეთე თუ სიდრკვე რუსის“.

მთავარნი წინააღუდგებოდენ, დრტვინავდენ და სახლისა მეფისა უძღობასა ასახელებდენ და სპათა წინამძღოლსა ითხოვდენ. მძიმესა საქმეს მსუბუქად შეეხებოდენ და თამარი ვერ დაიყოლიეს. შორს ჰვრეტდა გონება-ვრცელი. არა ნებავდა მას პირადად არც ქმარი, არც თუ შვილი. არც ერთი საგრძნობელი მისდრეკდა საკუთარ სიამოვნებისათვის, არ მიიზიდავდა სახე-კეთილობა უცხოსა ყმისა და არ აღუძრავდა სურვილს. გული მისი არა იყო მოწადინე ქმროსნობისა და ქორწინებისა. არა გონებდა თავისთვის, მხოლოდ ერისთვის, რომელიც ღვთის მიერ ერწმუნა, და თუ სოფლისა წესი მოითხოვდა ქმრის მოყვანებას, იგი უნდა იყოს ღვთისნიერი, ერთგული ჩვენისა ნათესავისა და ქვეყნის ამის, მეომარი უებრო და გამძღოლი ლაშქრისა, კეთილი მო-

სამართლე და გონიერი თანამზრახველი. ხოლო შვილი საყვარელი იქნებოდა, ვითარცა საწინდარი და იმედი მომავალისა, ტახტისა სიმტკიცის და სამეფოს განდიდებისა. მაგრამ ვინღაა ეს რუსი გადმოხვეწილი? ვითარია მისი შინაგანი ბუნება? მისი გარეგანი სიშვენიერე შეეგვანება სულიერს კეთილობას, თუ უკეთურობის და სიავის საფარველია? და ვაი თუ სატანა ბუდობს მის გულში და დაუჯერებელსა სიბოროტეს განგვიმზადებს?

დიდებულნი და სპანი არა ისმენდენ თამარის განგულებულს და კვლავ არა მიუშვეს. დაიმოწმეს დედოფალი რუსუდან, შეავიწროებდენ სულსა თამარისა და აიძულებდენ. განამზადეს ქორწილი, „ვითარ იყო ხვედრი და რიგი ულუმპიანობისა და შარავანდედობისა მათისა, ეგრეთ ქმნეს ქორწილი, სახე-დაუდებელი და იგავ-მიუწდომელი: იყო სიმრავლენი სახიობათანი, ძღვენობანი და ნიჭებანი თვალთა და მარგალიტთანი, ოქროთა ჭედილთა და უჭედილთანი, სიმდიდრეთა და ლართა კერულთა და უკერულთანი. ესრეთ მსგეფსამდის იყო სიხარული, შვება, ძღვნობანი და გაცემანი“.

რა მეფე დააქორწინეს, ერი დამშვიდებული და დაიმედებული იყო. სპანი აამხედრეს და ზღვრები დასინჯეს: მტერმა ახლოს არ იბარგოს, საქართველოს საყდარზე ქალია მჯდომარეო და შეუტიოთო. დააბეს დროშა სვიანად ხმარებული და მეზობლებს ძლიერება უჩვენეს: ქართველნი ჯაბანნი არ არიან და მათი ციხენი უმაგრონიო.

შემოესიენ შავშეთს და კლარჯეთს კარნუ-ქალაქელნი, შამელნი და თურქნი გარმიანისნი. მიეგებენ სწრაფად გუზან ტაოელი და ბოცო ჯაყელი მესხთა რაზმითა, გააქციეს და მოიღეს მრავალი ტყვე და ცხენი. მოვიდენ ლაშქარნი არანისა და გელაქუნისა თურქთანი და მოარბიეს პალაკაციო. მოეწია გამრეკელი კახასძე მცირითა სპითა, სძლია და მოიღო არმაღანნი. ილაშქრეს მხარგრძელთა დვინს და ძლევამოსილნი დაბრუნდენ. კვლავად მეფემან შემოკრიბა სპა და ბრძანებითა თამარისა მოარბია ქვეყანა პართთა. შემდგომად ამისა წვევითა ასათ გრიგოლისძისა ლაშქრობა გადაიხადეს განძის ქვემოთ ბალყუნამდის. ლაშქრობდენ ესე და გამარჯვებულნი და აღვსებულნი ალაფითა შემოიქცევოდენ და მოვიდოდენ წინაშე პატრონისა ღვთივგანათლებულისა და ნათელბრწყინვალისა.

ოდეს მოისვენებდენ ლაშქრობათაგან, მოივლიდენ ქვეყანათა თვისთა იმერ-ამერთა, ზემო-ქვემოთა, ნადირობდენ და იშვებდენ.

ამა გამარჯვებასა და დალხინებაში რომ იყვნენ. აღსრულდა თამარის სიტყვანი და გამართლდა გაფრთხილება მისი: მოხდა საქმე გაუგონარი კაცთაგან, აღმოაჩნდა რუსს უწესო ნდომანი და გულისთქმანი, იწყო სკვითმა ბარბაროზებრივით გონებითა სიმთვრალე და სიმთვრალესა

შინა საძაგელთა და უმსგავსოთა საქმეთა ქმნა. ვერ მიმწდომელი დიდებასა და სიმაღლესა აღიძრა წყენად თამარისა, ქალთა მზისა და მეფეთა ელვა-ცისკროვნებისა. მიეცემოდა უგვანო საქციელთ, ცეკვავდა და სხვებსაც აცეკვებდა უშვერად, სამეძაოთა ტრფიალებათა აღსაძრავად, და სიტყვებს საგინებელს წარმოსთქვამდა. შეურაცხჰყო და წაბილწა წმინდა პალატი მეფეთა და ხშირად სიმთვრალით ცნობა-მიღებულს იხილავდენ ქალაქის გარე სანახებში უღირსად გდებულსა...

შეუძნდათ და სირცხვილეულ იქმნენ დიდებულნი, რომელნი აიძულებდენ თამარს რუსის შერთვასა, ხოლო იგი ჯერ კიდევ მოწყალე და განურისხებელი ეძიებდა მრავალსა ღონესა ქმრისა განკურნებისა. უბრძანა ცნობას მოსვლა და მიანდო სარწმუნოთა მონაზონთა წრთვნა მისი და განყენება უჯეროსაგან. რუსი ისევ უკურნებელი იყო და უმეტეს განძვინდებოდა. არა შეიგნო რა და უარესი ჰყო, კაცნი პატივცემულნი უბრალოდ გვემა და ასოთა ამოგდებითა ტანჯა. იწყო ვერაგობაც, რამეთუ ეზრახა განდრეკილ დიდებულთა, რათა წარუღონ ტახტი თამარს და იყოს იგი პატრონი ყოვლისა საქართველოს, ჰპირდებოდა მათ აღმატებას და მეფობისა თანაზიარობას.

განრისხდა თამარ, პირისპირ ამხილა რუსი და უთხრა:

„უკეთურო, არა დაიმკვიდრე და განფანტე ნიჭნი, რომელი ღმერთმა მოგფინა. გაძარცვე სული შენი, დაიბრმავე სახედველნი და დაახშე სასმენელნი და ფერხით გასთელე განძი, უძვირფასესი ყოველთა საჭურჭლეთა და ლართა. მოგიწოდეს სიძედ ქვეყნისა წალკოტის, სამოთხის დარის და თვით ღვთის მშობლის საყვარელის, მოგენდო ერი ღვთივ-მოსილი, გულმართალი, მარტივი, ღირსისა პატივის დამდები, მოყვარე ერთგული თავის მოყვრის, და შენს ხელთ იყო ბედნიერება შენი და სიკეთე ერისა ამის. შენ ეს დაამხე და წარწყმიდე. დაინახე მხოლოდ სოფლისა ნივთნი შენი უძღები ხორცისათვის და სულმა შენმა მკვდარმა ვერ განიცადა აქ ღვთის მიერ დათესილი მადლი“.

მერმე მოუწოდა დარბაზის ერთა და ჰრქვა მათ:

„არა ძალ-მიცს გამართვა აჩრდილისა ხისა მრუდისა და აჰა, განვიყარი მტვერსაცა, რომელი აღმეკრა ამის მიერ“.

აღსდგა და განვიდა.

ხოლო ვაზირთა, ეპისკოპოზთა და დიდებულთა განაძეს რუსი. ექსორია-ქმნილი ჩასვეს ნავში და ყოვლად მოწყალისა და შემბრალე თამარის ბრძანებით უბოძეს სიმდიდრენი და აღუკვეთეს ყოველს სიკვდილი და გაძარცვა მისი.

უბადრუკმა რუსმა დაჰკარგა მეფობა და მოაკლდა სიმშვენიერე მზისა; მიახწია კოსტანტინეპოლს და დაჰყო მუნ.

კვლავ გამოჩნდნენ მიჯნურნი, მთხოვნელნი თამარის, საწადელის

და საშვებელის სულისა და ხორცთა, შვილნი ხელმწიფეთა და სულტანთა — იონნი, თურქნი და სპარსნი. ქართველთა არა ინებეს მოყვანება უცხოსა თესლისა და აღირჩიეს ახლობელი დავით სოსლანი, ოვსთა მეფის შვილი, დედით ბაგრატოვანი, აღზრდილი სამეფო კარზე დედოფალ რუსუდანის მიერ. იყო იგი მოყმე ნაკვთად კარგი, ბეჭბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი, ზრდილობით კეთილად წრთვნილი, მხნე და ძლიერი, რაინდობითა და მშვილდოსნობით უსწორო. მოვიდენ სრასა დიდუბისასა და ქმნეს ქორწილი შესატყვისი ხელმწიფობისა და შარავანდედობისა მათისა.

ხოლო რუსი იგი ძნელ-ბედი და სვე-უსვეო მოვიდა კონსტანტინოპოლით კარნუ-ქალაქს და განამზადა ბრძოლა თამარის წინააღმდეგ დახმარებითა ორგულთა, რომელნი მოწადინე იყვნენ ძველ დიდებათა და პატივთა დაბრუნების, ერთმეფობისა დამხობის და სამეფოს დანაწილების მსგავსად რუსეთისა, ვითარცა იტყოდა რუსი. მიერთნენ კლარჯეთ-შავშეთის ერისთავი გუზან, სამცხის სპასალარი ბოცო და სხვანი მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი, რომელმა მიიმხრო „ყოველი სვანეთი და აფხაზეთი, საეგრო, გურია და რაჭა და აფიცა რუსისა გამეფებისათვის დიდებულნი და ლაშქარნი ქვეყნისანი". ცრუ იქმნა მათი იმედი და ერთგულთა სპათა მიერ, თამარის ხელმძღვანელობით, იძლივნენ სასტიკად, მოვიდენ ყელ-საბელ მობმულნი და ითხოვეს შებრალება.

ამას შემდეგ უმტეს და უმეტეს წარემატებოდენ საქმენი თამარისნი. კვლავ გასცა წყალობა და ორგული და მოღალატე ნამსახურევს დაამსგავსა. „ლომი ბრჭყალთაგან საცნაურ არს და თამარი საქმეთაგან. იხილეთ ქალაქნი, ციხენი და თემნი, სულტანთა სასხდომნი, მისგან ახმულნი და საზღვარნი სამეფოსა ორად გაფართოებულნი. და სცანით ერაყამდის ქვემოდ მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარალამდის და თვით იგი ხალიფა შეშინებული და მოაჯე".

3. მიჯნური

მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი

იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა.

რუსთაველი

თამარის ხელის მსურველი შამს-ედ-დინიც იყო, ათაბაგის შვილი, სამხრეთ სპარსეთიდან. იცოდა დიდება საქართველოსი და რა ესმა სიმშვენიერე თამარის, სურვილითა ძლეული ეურჩა მშობელთ და დააგდო

სამკვიდრო და ტახტი, რათა ეძიოს და ღირს გახდეს ბედისა საზესთა-ოსი. მოვიდა წინაშე ნათელთა ნათლისა თვისთა ლაშქართა აკაზმულო-ბითა და მრავლითა დიდებულით, ხოჯითა, საჭურისითა, მონითა და მხევლითა, ბარგითა და სიმდიდრითა, ძღვნითა დიდითა, თვალ-მარგა-ლიტითა, საჭურჭლითა და ლარითა აურაცხველითა, ავაზებისა და ტა-იჭებისა სიმრავლით. ვითარ წესი იყო სამეფოსა კარისა, პატივითა მი-იღეს პალატში. ხოლო თამარის სიტურფემ გული წაუღო და ისე გა-არეტიანა, რომ ცნობა დაჰკარგა და ძლივს-ღა იტყოდა რასმე და ვერა შეიტკბო ნადიმი მეფური, სახიობანი და ასპარეზობანი.

დაემხო ქედ-მაღლილობა ტრფიალისა მისისა და ვერ ეწია თავის გულისთქმას. არა ინებეს შამს-ედ-დინის სიძობა დიდებულთა და თა-მარსაც უცხო უჩნდა საქმე ესე. სიყვარულის ცეცხლი უფროსად მო-ედვა ათაბაგის შვილს, რომე ვერა წვიმა დაავსებდა. გასცა საბოძვარი ყოველი უთვალავი და ქრთამსაც არ დაერიდა. უქმ იქმნა ყოველი ზაკ-ვა და მანქანება, დარჩა გაწბილებული და მას აქეთ სწვავდა სახმილი დაუშრეტელი.

გაგულისდა სპარსი, გაფიცხდა და განიგულა შურისძიება დამცირე-ბისათვის. რომ ჩამოვიდა, გამზადებულ იყო მაჰმადის სჯულის დასატე-ვებლად. ახლა შეიძაგა სახსენებელი ყოველი ქრისტიანესა და საქარ-თველოს მკვიდრისა და თვით თამარსაც თავის გულში აუგს ჰკადრებდა და ყოველთა უბოროტესად დაისახავდა. იყო ტანადი, ყოვლისა სა-ხელმწიფო ქცევისა აღზრდილი, სახელ მოხვეჭილი სიმხნითა და ჭაბუ-კობით, მქონებელი დიდისა სიმდიდრისა, კარგი მოისარი და მოასპა-რეზე. მაშ რისთვის დამიწუნესო? ეკითხებოდა თავის თავს, და მხო-ლოდ თამარს აბრალებდა თავის სვე-უბედობას:

„მეზღაპრენი და მელექსენი ჩმახავენ ქალისა სიკეთეს, თორემ ხორ-ციელს არავის უნახავს დედაკაცი საქმისა შემეცნებული, და საქართვე-ლოს, თამარი რომ პატრონობს, შეუბრუნდება ეტლი და ამ ურწმუნო-თა ქვეყანას ისმაიტელთა ხრმალი სისხლით გადარეცხავს და მიწასთან გაასწორებს ყოველს ანაგებს. მაშინ ჩემი ხარაჭანი გახდებიან აქაურ დიდებულთა ასულები და თამარსაც ისე გავსრესავ ვითა ლომი კან-ჯარს. ქალი მხოლოდ სიძვისთვისაა გაჩენილი, მისი ტანი უნდა მარად თრთოლავდეს, თვალები ბოზობდენ, მუშკსა და ამბრს ამოსუნთქავდეს აღგზნებულ გულიდან, დაუცხრომელი ნდომით გვათრობდეს და სიძ-ვად წარგვიტაცებდეს. დიაცი დიაცია, თუნდ მეფე იყოს, ცრუ მეფე!“.

ასე გონებდა შამს-ედ-დინ და იძიებდა გზას თავის რისხვის ასას-რულებლად. მიავლენდა ფარულად იჩქითებს ყოველ კიდისკენ და წიგ-ნებიც მიუწერა ხალიფას ნასერ-ედ-დინს, სპარსეთის სულტანს ტოღ-რულს და მუჰამედ გურს, მამასაც შერიგება სთხოვა და ლამობდა სა-

ქართველოს საბრძოლველად მთელი მუსლემობის შემოკრებას ინდოეთიდან დარუბანდამდე და სამარყანიდან დამასკომდე.

ხოლო მას ჟამს მოაკლდებოდა ისმაილს და წარიმართებოდა სამეფო თამარისა.

ხალიფა, სულტანნი, ათაბაგნი და ამირანი ერთმანეთს ებრძოდენ და არა იყო მათ შორის თანხმობა და სიყვარული; ხვარაზმელები სპარსელებს უტევდენ და გურები ინდოეთს იპყრობდენ, ადარბაგანის ათაბაგი ერანს სულტნობას ეცილებოდა; რუმი, ხლათი, შამი, კარნუ ცალ-ცალკე იდგენ და უღონო ქმნილი ხალიფა ხან ერთს ეევედრებოდა მოწყალებას, ხან მეორეს. აღარ გაუმართლდა ცდა შამს-ედ-დინს — ქართველნი კვლავ გამარჯვებულნი იყვნენ — და მძიმე ნაღველმა მთლად დაიმონა. იწყო ღვინის სმა, მუტრიბთა და მგოსანთა შემოისხამდა, ნადიმობდა და ესრე იქარვებდა ჭირს. იყო მონა-მხევალთა თანა და მათ ხვევნა-ტრფობაში სწადდა სურვილთა ჩაკვლა და განკურნება უკურნებელ სენისაგან.

ვერ განიკურნა და რაც უმეტეს ერთობოდა და სიამოვნებას იდიადებდა, მით უმეტეს პატიჟნი უათკეცდებოდა და გზნების წამალი არსად მოიპოვებოდა. უცბად გაშმაგდებოდა და ცნობა დაკარგული სცემდა და სტანჯავდა უწყალოდ ახლობელთა, დაშნით დასჭრიდა და სასიკვდილოთაც გაიმეტებდა. სტკბებოდა სისხლისა დაღვრით და ამღვრეული თვალებით შესცქეროდა მოკვდავის სულის ამოხდომას.

ხან გახელებული თავში იცემდა ხელებს და ცრემლთა ნაკადს გადმოადენდა. ხან აიღებდა ჩანგს და მილეული ხმით დაამღერებდა, თავის მამეულს იგონებდა, თავის სიყრმეს, სიჩაუქეს და ნავარდობას; ხან ცას შესჭვრეტდა, ციერ მნათობთ თვალს აყოლებდა და მისი გონება და გული შორს მიფრინავდა.

გახმა, დადნა, ძოწისა მსგავსი ზაფრანას დაედარა და აჩრდილი ღა იყო წინანდელის თვალადის და ახოვანის მამაცის.

ყავდა ერთი თანგაზრდილი, ერთგული ყმა, სწვავდა ამას პატრონის სიშლეგე და წყლულობა და უთხრა ესე:

„გონიერსა მამაცურად ჰმართებს ჭირთა თმენა. ვის უქმნია ეშმაური საქმე და თავი ნებით ვის მოუკლავს. უსაზომო არა ვარგა, ჩაკეტილხარ ამ სერაჲში კაც-მიუკარებელი და არც ვისმე იახლებ, არც თუ სადმე მიხვალ სასაუბროდ და შესაქცევად. ქალაქი დიდია, გავიდეთ, ვნახოთ — შენი სთქვი, სხვისი გაიგონე. დიდი ლხინია კაცისათვის ჭირისთქმა, კაცის წამალი კაციაო, ბრძენთ უთქვამთ“.

ეკეთა ათაბაგის შვილს გაზრდილის ნავაზირევი, დაუდასტურა და მეორე დღეს მოიკაზმა მდიდრულად, შეჯდა ტაიჭზე, გაიყოლია ერთგული ყმა და მონები და ინახულა ზოგიერთი ძველი მეგობარი სპარსი,

ოურჭი, არაბი. ეამათ მისი მოსვლა, დიდის პატივით მიიღეს, ტკბილად უმასპინძლეს და გაართვეს. ქვეყნის ამბები იუბნეს — აქაური, იქაური, სახლეულნიც მოიგონეს.

საღამოს შამს-ედ-დინი კმაყოფილი დაბრუნდა შინ. მერმე ხშირად დაიწყო გარეთ გამოსვლა, თავის სასახლეშიაც მოიწვევდა სტუმრებს: ნამეტურ თუ ვინმე მოციქული ჩამოვიდოდა სულტნისა ან ათაბაგისა რომლისამე, ქართველთა მეფის კარზე წარსადგომად, უთუოდ შამს-ედ-დინს ესტუმრებოდა. ხედვიდა, რა მოკრძალება და რიდი ჰქონდა ყველას საქართველოსი და როგორ ადიდებდენ მის მეფეს. მოსწონდათ ქართველთა სიმამაცე, რაინდობა, კეთილშობილება, ერთგულება, და ხშირად იტყოდენ: ქართველი ღირსეული მტერია, ებრძვის გარეთ მუსულმანებს, ხოლო ტფილისში და ერთობ საქართველოში მრავალია ისმაილი და ქართველებს მათთან ძმობა და სიყვარული აქვთ; ჩვენს მიზგითებშიც კი შემოდიან და ჩვენს ლოცვას მოისმენენ. ჩვენს ბრძენთა და განსწავლულთა და მოშაირეთა სასახლეები აუგეს და ბევრს საზრდელიც დაუდვეს, სპარსნი და ქართველნი მელექსენი ძმობილები გახდენ; ერთად პაექრობენ და შაირობენო.

შამს-ედ-დინი ქართველებსაც დაუახლოვდა, ბევრ წარჩინებულ სახლთან ჰქონდა მისვლა-მოსვლა. მოიწონეს და თვითონაც მათი სიყვარული ჩაუვარდა გულში. ქართული საკმაოდ შეისწავლა, ნადირობასა თუ ასპარეზობას ესწრებოდა, ხშირად ძველს დროს გაიხსენებდა და გაინავარდებდა კიდეც. შეეთვისა ქართულს ცხოვრებას, ქართულს სმა-ჭამას, ლხინს, ზნეს, ჩვევას, ქართულადაც დაამღერდა ჩანგზე.

ორჯელ-სამჯერ თამარსაც შეხვდა, შორიდან დაინახა. ახლა სულ სხვა იგრძნო, გული სხვანაირად აუტოკდა. ცეცხლი განუახლდა და წყლული უფრო დაუწყლულდა. ცხოვლად განიცადა მისი სიმშვენიერე, მის სახის შუქნი ვით დილის მზის სხივნი მოხვდენ და ნეტარებამ მთელ ტანში დაუარა. ხოლო ამ განცდას თან დაჰყვა სხვა განცდაც, იგრძნო სხვა რაღაც არა მიწიერი სიტურფეც. თამარი მეტად დიდი, სათნო, მადლით აღსავსე მოეჩვენა, ბრწყინვალებით მჯდომარე ზეციურ ტახტზე. თავის თავს მასთან უღირსად გონებდა, და განშორდა ყოველს წყენას და სამდურავს და მოკრძალებით უჭვრეტდა სოფლისა დამამშვენებელს.

გამოიცვალა. სიყვარულის სიმძიმილი არ შეუნელდა. მიჯნურობის ალი სწვავდა და ადნობდა, — ტკბილიც იყო, საამო და დამამშვიდებელი. იტანჯებოდა და ხარობდა, ილევოდა და უმეტეს ლმობიერი, კეთილი, მოყვარე ხდებოდა. არავის ენახა ახლა მისი გაწყრომა და გაშიშრება. მხლებლებს სიყვარულით ეპყრობოდა, მხევლები დაითხოვა და უხვი მზითევი გაატანა, მონები გაანთავისუფლა და საჭურჭლე ბევ-

რი გლახაკთა მისცა. გაახარებდა ქართველთა სტუმრობა — გამოიკითხავდა სპათა გამარჯვებებს, ტაძრეულთა ცხოვრებას და სწყუროდა, ვით ირემს წყარო, მოსმენა საქმეთა თამარისა. შეუყვარდა სამეფო, რომლისა საყდარს თამარი ამშვენებდა, ქვეყანა, რომელსა ზედა იგი სიკეთეს მოაფრქვევდა. მიაცქერდებოდა ისანის იმ ადგილს, სადაც პალატის ცანი ელვარებდენ და ღმერთს დღეგრძელობას შესთხოვდა მისი პატრონისათვის.

ბედნიერი იყო და თან იწვოდა, თავდებოდა.

ყავდა ქართველთა შორის ერთი მეგობარი ყრმა, ძმასავით შეთვისებული, მემნა მიქელასძე და მოიწვევდა მას თავის სეფე-დარბაზში. ჰქონდათ ტკბილი საუბარი, მოგონება მიჯნურთა ამბებისა, თქმა შაირობის, ფილასოფოსთა ბრძნობა და მეცნიერთა გაკამათება. ხან ჭადრაკსაც მოუსხდებოდენ, მუტრიბთა და მგოსანთა ხმითა გაერთობოდენ.

მემნა მიქელასძე, წარჩინებული მამის შვილი, და უკვე დარბაზის ყმად დალოცვილი, ფრიად პატივსაცემ ახალგაზრდად ითვლებოდა. პირხმელს და ჩაფსკვნილს კუნთები ლომისას უგვანდა, თან მისი რხევა და მოძრაობა ისეთი ნაზი იყო, ვით ნორჩი ქალისა. თვალად ტურფა, კენარის ტანის, სხივოსანი თვალებით ყველა მნახველს უნებურად მიიზიდავდა და ვინც ერთხელ შეხვდებოდა, კვლავ მის შეყრას მოინდომებდა. ზრდილი ყოვლითა კეთილითა ქცევითა, ენა-მჭევრი და ტკბილი მოუბარი, ლხინსა და ნადიმს დაამშვენებდა სიმღერითა და ჩანგის სირინოზის ხმით. ნადირობაში არავის ჩამორჩებოდა — მისი ნატყორცნი ისარი ნადირს არ აცდენია; ბურთაობაში ჩოგანს მარჯვედ სცემდა; უცხო მცურავი იყო და ვით მოშაითი ისე თამაშობდა ცხენზე. ომში, როგორცა ქორი გნოლის ჯოგსა, ისე დაერევოდა მტრებს, და კაფავდა ბასრისა ხრმლით.

პირველი წიგნი დედამ დაასწავლა, ექვსი წლისა რომ იქნებოდა. ზღაპრებსაც მოუყვებოდა — ამირანის, როსტომის და მზეჭაბუკის; ლექსებსაც დაუმღერდა ჩანგურზე. მერმე მღვდელი იყო მისი მასწავლელი: წმინდა წერილი ისწავლა, ქართული კარგად გაიკვეთა და სოფლიოთა წიგნთაცა იკითხვიდა. აქედან მშობლებმა გელათში გაგზავნეს სიბრძნის სასწავლელად და მიუწერეს ახლისა ათინის, მეორე იერუსალიმის მოძღვართა მოძღვარს და დაევედრენ შვილისათვის, რათა კეთილად გაიწრთვნას. მემნა მხურვალედ დაეწაფა სწავლას და მასწავლელთა საყვარელი გახდა. შეიგნო და შეიტკბო ყოველი სიბრძნე როგორც საღვთო, ისე საერო — მეტყველებანი და რიტორებანი პლატონისა, არისტოტელისა, დიენოს არეოპაგელის, კირილე ალექსანდრიელის, პლოტინის, ბასილ დიდის, გრიგოლ ნოსელის, ნემესიოს ემესელის, პროკლე დიოდოხოსის, იოანე დამასკელის და მათი თარგმანებანი

და განმარტებანი ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, მეარისტოტელე, იოანე პეტრიწის, რომელსა ბევრი წიგნი იქ გელათში დაეწერა. არაბთა სწავლულთა და მეცნიერთა დაწერილი წვრილად გაიცნო; უმიროსის გმირთა სიმამაცენი გაიზეპირა, არც თუ ბერძენთა სხვა მელექსენი, არაბ-სპარსელი მოშაირენი დასტოვა. გელათის საწიგნეში მრავალი წიგნი მოიპოვებოდა და ზოგსა ქართულად გადმოღებულს ჰკითხულობდა და ზოგს დედანში ეცნობოდა, რამეთუ დიდი ნიჭი აქვნდა ენათა დასწავლის. ვით საზრდელს და საჭმელს ისე ეტანებოდა საქართველოსა ისტორიათა და მატიანეთ და სხვა ქვეყნის ამბებს, ძველსა და ახალს.

კარგად განსწავლული გახდა და მეცნიერი სახელმწიფოთა საქმეთა. მეფის კარზედაც ბევრი რამ ქცევა და ზნე შეითვისა, საყმო წესები ისწავლა და დარბაზის ყმადაც დალოცეს. უყვარდა ფილასოფოსნი, რიტორნი და მელექსენი და მათი ხშირი მხლებელი და სტუმარი იყო. თვითონაც სწერდა ხანდახან მოკლე ლექსებს და მისი ნათლია დიდი შოთა სიყვარულით „ცოტა მელექსეს“ ეძახოდა და მის შაირობას ყმაწვილთა მონადირობას ადარებდა.

თამარმა რომ ძღვენი გაუგზავნა მონასტრებს საბერძნეთსა და პალესტინაში, მეძღვნეთ მემნა გააყოლეს, როგორც სადუნი (სხვა და სხვა ენის მცოდნე). ნახა ათონი, რომელმა იმდენი შესძინა ქართველთა განათლებას, თაყვანი სცა მთაწმიდელთა საფლავებს; ნახა კოსტანტინეპოლი და უტურფესი სრა-პალატები; ნახა ელადა და უხმობდა აქილევს, პატროკლეს, ღეკტორსა და ეძიებდა საკრატისა და პლატონის აჩრდილებს.

მემნამ შამს-ედ-დინი ნადიმზე გაიცნო, რომელი განძელ მოშაირეს ნიზამს გაუმართეს. ამის ახლად თხზული „ლეილ-მეჯნუნიანი“ უკვე გავრცელებული იყო ქართველებში სპარსულ ენაზე და ქართულადაც ნათარგმანები. დავით აღმაშენებელის ასულის შვილის შვილმა შარვანშაჰმ აღსართანმა უბრძანა ნიზამს „ლეილის“ თქმა, როცა თამარს გაუმიჯნურდა და ამაოდ ესწრაფოდა მის შერთვას; და ლამობდა, რათა კაისის-მეჯნუნის გახელებასა და ველად გაჭრაში შეემკო მელექსეს აღსართანის სიყვარულის გზნებანი.

ნადიმზე ვიეთნი უმეტეს აღტაცებით შეაქებდენ ლეილ-მეჯნუნის შაირს. შამ-ედ-დინიც დიდად მოიწონებდა და მემნას ჰკითხა, თუ რას ჰგონებდა. იმან უპასუხა:

„ნიზამის შაირი მარგალიტია წყობილი, ყველას ცრემლს მოადენს ლეილის და კაისის სიყვარული და გაამიჯნურებს მიჯნურობის უმეცარსაც, მაგრამ მე მაინც ვამჯობინებდი იმ სიყვარულს, ხორციელ ტრფობას რომ აღემატება“.

შამს-ედ-დინს მაშინ ეს სიტყვები ეოცა და კარგადაც ვერ მიხვდა. მერმე არა ერთხელ გაიხსენა, ჩაუკვირდა, თითქოს რაღაც ენიშნა და მემნასაც დაუმადლა თავის გულში.

ნადიმის შემდეგ კიდევ შეხვდენ ერთმანეთს და დაუახლოვდენ.

მემნამ იცოდა შამს-ედ-დინის გულდაკოდილობა და არ უკვირდა — ვინ არ იყო თამარის მიჯნური, რამდენი ლოცულობდა მის სახეზე, რამდენი ფიცულობდა მის სახელს, და თვითონ მემნაც გამიჯნურებული არ იყო? როგორც ღმერთს, ღვთის მშობელს ისე უპვრეტდა თამარს — გონება მარად მისკენ მიისწრაფოდა, სულსა და გულს მიართმევდა და თავის სიცოცხლეს ათჯერ გასწირავდა მის წამიერ სიამისათვის.

გარნა მემნა სხვისი მიჯნურიც იყო, ყვანდა საკუთარი სატრფიალოც — თინა, გურამ მახატელისძის ასული, სახიერი, სასახლის დამამშვენებელი, თანამხლებელი თვით თამარისა დარბაზობათა და ასპარეზობათა დროს. კარგად გაზრდილი ყოვლითა სიბრძნითა, იშვიათი ცხენოსანი და მოისარიც, თინა დედის მუდმივი მწე იყო შინაურობაში და მამისაც ხშირი ვაზირი. თამარი რომ დიდებულთა ცოლთა და ასულთა შემოიკრებდა პალატში და ხელსაქმობდა ქვრივ-ობოლთა შესამოსად, ფრიად გაახარებდა თინას საქმიანობა, სიმშვიდე, სათნოება, გონიერება, უყვარდა და სანატრელ საძლოდ მიაჩნდა ყველასათვის.

მემნა სასახლეში შეხვდა პირველად თინას და მყისვე აინთენ ურთიერთის სიყვარულით. დარეტიანებულებს ხმა არ ამოუღიათ, ხოლო ოდნავად გაუღიმა ერთმა მეორეს და ამ ღიმილში ფიცი იყო მათი სამუდამო შეერთების და განუყრელობის.

მემნამ მალე დაწინდა თინა და ქორწილიც არ უნდა დახანებულიყო. რომ ერთს ამბავს არ დაებრკოლებია. თინას ძმა ყვანდა — ბოცო. მემნას ძმად ნაფიცი. უცხოთა მხარეთა მოსავლელად წავიდა, მიჯნურობით დამწვარი და დევ-გმირთა ამბებით გატაცებული, სპარსეთს გაემგზავრა, იქიდან ინდოეთს უნდა გადასულიყო. მისი უკანასკნელი წიგნი ქირმანიდან მიიღეს, შემდეგ რამდენიმე თვე შესრულდა და მისგან არც ავი იყო, არც კარგი. ყველა მწარე საგონებელში ჩავარდა. მშობლები ვაებდნენ. თინა დამწუხრდა, ურვა შეექმნა. უმეტეს მემნა იტანჯებოდა — თუმცა არა გამოაჩენდა — რომ ძმობილს უღალატა, მარტოდ გაუშვა შორეულ ქვეყანას, თან არ ეახლა. ასე იტყოდა: ფიცის გამტეხს, ღმერთი არ მიწაღმართებსო. დაასკვნა მის საძებრად წასვლა — ცას მოვლახავ კიდით კიდე — ცოცხალია. მოვნახავ. სადაც უნდა იყოსო, თუ მკვდარია, მეც მასთან მოვკვდებიო. ამცნო თინას თავის გულისნადები და სატრფომ დასტური უთხრა.

მეორე დღეს მემნა თამარ მეფეს ეთაყვანა, ყოველი აუწყა და დათხოვნის ფარმანი გამოთხოვა. ნათესავები და ახლობლები ინახულა გა-

მოსამშვიდებლად. შამს-ედ-დინიც არ დაივიწყა, იგი ბოლო დროს უმეტეს დაავადებული იყო და მისი დიდი სიბრალული ჰქონდა.

ბინდდებოდა, მასთან რომ მივიდა. ნახა, ხელში თეთრი ტრედი ეჭირა, ეალერსებოდა, მარჯვენა ფრთაზე ფრთხილად ხელს უსვამდა. ესალამა და ჰკითხა:

— „სად შეგმთხვევია ეგ ბაზანდა? ინდოეთიდან მოგზაურობდა თუ არაბეთიდან?

— „არც ბაზანდაა, არც ნაზვანდა*. სარკმელში ვიცქირებოდი, რომ ხაფად ეს ტრედი შემოვარდა და ზედ ელვასავით შავარდენი ეკვეთა. შევუტიე და შავარდენი უკუვაქციე, ეს ტრედი კი გულზე მეცა. ხელი წავავლე, თრთოდა, ფრთის ძირიდან ოდნავ სისხლიც მოსდიოდა, შავარდენს მოესწრო კლანჭების ჩასობა. მოვეფერე, სისხლი მოვბანე, ეამა და თითქოს მომეთვისა. ხვალამდის არსად გავუშვებ, გამომრთელდეს.

მემნა დააცქერდა მეგობარს: მარტო ტყავი და ძვალი იყო. ხედავდა, რომ ვეღარ უშველიდა ვერც იპოკრატი**, ვერც ღალინოს*** და ვერც თვით ასკლეპიოსი****. მაგრამ არასოდეს უნახავს შამს-ედ-დინის სახე ასე ცხოველი და მიმზიდველი და თვალები გაცისკროვნებული.

— როგორ ხარ? — დაეკითხა.

— რა გიპასუხო? სხეულისა გითხრა — ამ სოფლიდან გავაბიჯე, სიკვდილს მივეახლე. სული კი ჩემი არასოდეს ყოფილა ასე მრთელი. განვიცადე სიყვარული უმშვენიერესი, რომელი ოდესმე კაცთა ტომის შვილს განუცდია. განვიბანე და განვიწმინდე ყოველ სიბილწისა და ხრწნილებისაგან, თვალნი გავახილე, ყურთა ისმინეს და ცნობამან ჩემმან განსჭვრიტა წყვდიადი. შევიგნე ჩვენი ცხოვრება — მარტოოდენ სიყვარულია მყარი და მარადი, იგი წარმოშობს და აცოცხლებს ყოველს, სიყვარული და სიკეთე. დაივიწყე თავი შენი, სიყვარულში განქარდი და იყავ კეთილი, კეთილი ყველასათვის, მხოლოდ მაშინ არსებობ — აი რა ვისწავლე, რატომ ვარ ბედნიერი. რას ვაქნევ დღეს მე სიკვდილს, სოფლის წესია — მოკვდება სხეული ჩემი, სული კი უკვდავია, მზის მოცემული მზესვე დაუბრუნდება, მზეს თუ ღმერთს, სულ ერთია — და კვლავ მიეფრქვევა სხვა მიწიერს და თუ მე ვერა ვყავ რა, მან გაკაფოს უკეთესად საწუთოს გზა.

ემცნო მემნას შამს-ედ-დინის სიტყვები, ემცნო და ეთვისა. „სუ-

---

* ქილილა და დამანას არაკების ტრედებია.
** ჰიპოკრატე (ბოღრატი).
*** გალიენი (ჯანაოზი) — გამოჩენილი აქიმები ელადაში.
**** ესკულაპოს, აპოლონის შვილი. ღმერთი აქიმობის.

ფი გახდა, თუ როგორც არაბები იტყვიან, ჯინნს შეუპყრია და მისი პირით ზეციერი უბნობს?“, იკითხა გულში.

მოაგონდა ბრძენი პლატონი და უპასუხა თავის თავს: „იქ უმჯობესია; სიყვარული დაიმონია, რომელი მიწიერს ზეციერთან აერთებს. სილამაზე, სიყვარული, სიკეთე — სამებაა ერთარსი და განუკვეთელი. შეყვარება ერთის შვენიერის, შეყვარება ყოველი მშვენიერის, მერმე გარეგნული სილამაზის განცდა ჰბადებს სულიერი სიშვენიერის სიყვარულს, სიკეთის და სიბრძნის წადილს, სულის ამაღლებას და ღვთაებასთან დაახლოვებას, უკვდავებას“...

თანალმობით შეხედა შამს-ედ-დინს, ხელში ხელი ჩასჭიდა და ჰრქვა:

— შემიგნია, რაც გითქვამს.

დადუმდენ. ორთავეს ცხოვლად დაესახა თვალწინ თამარი, ტურფად საჭვრეტი, მარად სანატრი, მადლ-მოსილი და სიკეთე-დაულეველი.

მემნამ სიჩუმე დაარღვია:

— მე ასე ვგულობ, რომ თამარი ღმერთმა იმ დღეს ჩასახა, როდეს შექმნა ეს ქვეყანა, და რაც აქამდის მომხდარა — საქმენი საგმირონი და სამეფონი, სიბრძნენი და მოქალაქობანი, — ეს იყო სამზადისი თამარის მოსვლის. რამდენი დიდი კაცი ყოფილა, რამდენი ქალიც ამ ცას ქვეშ, არც ერთი აღმატებულა ესრედ და არ შემკულა ღვთის სახიერებით. ვით ვარდი ახლად-გაშლილი და ცვარ-განბანილი ისე ახარებს თვალს და მისი მოხედვის კამკამება კაეშანს განაქარვებს, სიავეს სრავს და გულს სიკეთესა და შვებას მიაშუქებს. ცებრი სიმაღლით, მომზე გონებით, აღსავსე სიბრძნით მხოლოდ-ღა იმას გონებს, რომ სხვას ეკეთოს და ესალბუნოს.

შამს-ედ-დინ გატაცებული უსმენდა მემნას და დაეკითხა:

— თამარი მიწიერია?

— მიწიერია ზეციერი, ღვთაებაა განკაცებული.

— მემნა, შენ ხომ მოშაირე ხარ და რატომ არ გამოთქვამ ერთს კარგს შაირს თამარის საქებარს, არ შესთხზავ შენც ერთს „თამარ-ნამეს“?

— მე რა ღირსი ვარ, ბრგვნილი; არიან სხვები, რომელთა ძალუძთ გრძელი შაირი და იტყვიან თამარის ქებას, საღმრთოს საღრმთოდ გასაგონს. აქ საჭიროა, — ელადს და რომს იყვნენ, — ენამზე უმიროს და სიტყვამარჯვე ვირგილიოს, ან დაუშრეტელი ფირდოუსი, სოკრატი ბრძენი და თვით პლატონი, არისტოტელი...

დიდხანს ისაუბრეს კიდევ. მემნას უმძიმდა მეგობრის დატოვება, ვაი თუ მობრუნებულს ცოცხალი აღარ დამხვდესო. მაგრამ თინა დროებდა და მის სანახავად მიისწრაფოდა. მეგობრები გაიყარნენ, ერთმანეთი დალოცეს. შამს-ედ-დინმა წვრილად აუწერა, თუ რა გზებით უნ-

და ევლო, თან წიგნები გაატანა თავისიანებთან რჩევისა და დახმარებისათვის.

თინასთან მემნამ გვიანამდის დაჰყო. იალერსეს, ისიამეს. სიყვარული სიყვარულსა შეუცვალეს. ერთმა მეორეს გული მისცა და მისი თავისად დაიჭირა, სულიცა მას მიაბარა. თინამ მიჯნურს ყელს ძოწეული რიდე მოახვია, ესე გქონდეს ჩემად ნიშნადო და დაეეედრა: სიშორეს ნუ გამიგრძელებ, სალამი არ დამიძვიროო.

დილით, ჯერ ფრინველი ბუდიდან არ ამოფრენილიყო, მემნა თავის გზას გაუდგა. უხაროდა, რომ ძმობილის საშველად მიეშურებოდა, თან გული უწყლულდებოდა და უკან ხშირად მოიხედავდა: თვალებს რეტად მიდამოს აყოლებდა, დილის ბინდში თინა ესახებოდა...

4. დარბაზობა

განისმა ზარი და შიში ყოველთა კიდეთა.
და ყოველნი მორჩილებდნენ და ძღვნითა
მრავლითა მოიკითხიან.
ქართლის ცხოვრება

წყნარი და მკრთალი, მოყმეთა ძალი,
მეფეთა სკიპტრა-პორფირთა მცველი.
ჩახრუხაძე

ვინ არის აღმოსავლეთით
დასავლეთს ზართა მარებლად.
რუსთაველი

განდიდდა ათაბაგი ადარბაგანისა ყიზილ-არსლან, შვილი ელდიგუზისა, წარუღო მრავალი კიდე სპარსეთის სულტანს ტოღრულს და გამოაცხადა თავისი თავი სულტნად. მოიკლა მულიდთა მიერ და რა შვილები არა ესხა, სამეფო მისი განიყვნეს მისი ძმის მუჰამედის წულებმა: უხუცესმა ყუთლუღ-ინანჩიმ მიიღო ერაყი, ხვარასანი და ბაბილოვანი, შემდეგმა აბუ-ბექრმა — ადარბაგანი და სომხითი და უმცროსმა ამირ-მირან (უზბეგმა) — არანი გურგანის ზღვიდან გელაქუნამდე. ვითარცა წესია მრავალმთავრობისა, შეიქმნა შური და ბრძოლა ძმათა შორის. სძლია შუალმან აბუ-ბექრ უმფროსი ინანჩი, აოტა და თვით დაჯდა ათაბაგად. ძმისაგან დევნილი ამირ-მირან შეესიძა საქართველოს მეფის ნათესავს და შემოფიცულ ყმას შარვან-შაჰს აღსართანს და მოელოდა შველას. ხოლო უღონო იყო შარვანი, საშინელმა მიწისძღვრამ წარყვნა ყოველი ციხენი და ზღუდენი და იმსხვერპლა თვით შარვან-შაჰის ცოლი და შვილები. აბუ-ბექრ შეესია აღსართანს და ამირ-მირანს, დაამარცხა და დარჩა განდიდებული და გალაღებული.

არსად გონებდენ ხსნის სასოებას კიდეგან საქართველოსა და ამირ-მირან და აღსართან წარმოაგზავნეს მოციქულნი წინაშე თამარისა და დავითის შემოსახვეწლად ძღვნითა ურიცხვითა, თვალითა და მარგალიტითა ფასდაუდებელითა; იაჯნენ და მოახსენებდენ:

— ვინათგან ძალი აქვს ხელმწიფობასა თქვენსა და სიბრძნით ვანგებასა თქვენსა მორჩილებს ყოველი — სვესა ალექსანდრიანსა, თქვენ თამარ ღვთივ განბრძნობილისასა, და სიმხნესა და სიქველესა თქვენ დავით დავითიანისასა, და უებრობასა ლაშქართა თქვენთასა, — ინებეთ აღება ყოვლისა სპარსეთისა.

და ითხოვეს დაწინდვა მათისა ჩჩვილის ასულის რუსუდანის და დასვა დედოფლად და პატრონად ერანისა.

მეფეთა სიძობა მათი არ იკადრეს, ხოლო უბრძანეს იმედი შეწევნისა. მოიწვიეს აღსართან და ამირ-მირან და მიიღეს დიდითა პატივითა. ხვდებოდენ გზაზე ერისთავნი, ქალაქპეტნი, მანდატორები და მესტუმრენი, მიესალმებოდენ და წარმოუძღვებოდენ. რა მოუახლოვდენ ტფილისს, შემოეგებენ მესტუმრეთ-უხუცესი, ამირა ქალაქისა, ჩუნჩერახი, სპასალარნი და იდგენ მარჯულ და მარცხულ სპანი: წინა ოვსნი და ყივჩაყნი ძველნი და ახალნი, შემდგომად ჰერნი და კახნი, ქართველნი და კვალად მესხნი, თორელნი, შავშ-კლარჯელნი ტაოელითურთ, სომხითარნი, აფხაზნი, სვანნი, მეგრელნი და გურიელნი და ბოლოს რაჭა-თაკვერ-მარგველნი. პალატის ეზოს მოოქრულ ბჭესთან მოეგება მანდატურთ-უხუცესი. გაიარეს ხეივანი, გზა ნოხებით დაფარული; იქითაქეთ ფარეშნი ჩამწკრივებულიყვნენ, კოხტად მოკაზმულნი, სანახავად სასურველნი; დაჰკრეს ნობათსა, გაისმა წინწილი. შევიდენ ტაძარში, ეივანი სავსე იყო ტაძრეულებით; გაუღეს კარი, გადასწიეს კრეტ-საბმელი და დარბაზის მორთულობამ და ბრწყინვალებამ თვალები დააბნელა. კედლები მოყვითანო მარმარილოსი, ოქროთი და ძვირფას ქვებით ამოწყობილი და სხვა და სხვა ქვეყნის ქსოვილებით მოფარდაგებული; ოქროში დაფერილი სტოვანი ყვითელ იაგუნდისა თავებით; ჭერი ბადახშური ლალებით მოჭედილი, ვით ცა ვარსკვლავებით და იატაკი ფერად-ფერად მოხატულ ლბილ ოქსინოთი დაფენილი; ლიბანის ნაძვის კარები და სარკმლები უცხოდ გამოხარატებული და ბექას და ბეშქენის ნაჭედ ოქრო-ვერცხლით მოქანდაკებული. წინ აღიმართებოდა ძოწეული ატლასის კარავი წითელი თვლებით ამოქარგული და შიგ ოქროჭედილთა და წითელ-ყვითელ ქვათა დაფრქვეულ ტახტთა ზედ ისხდენ თამარი, დავით და ძე მათი, მცირე ყრმა გიორგი, ყოველთა შარავანდედთა მპყრობელნი. შესამოსელნი მათი და სამკობელნი, ბისონ-მიტრანი, გვირგვინ-სკიპტრანი და პორფირნი კამკამებდენ და ელვარებდენ ვით მზის სხივები.

მეფეთა წინაშე იყვენ ყოველნი ვაზირნი, დიდებულნი და სამღვდელონი, ჰაბუკნი და ყმანი, დიდებულთა ცოლები და ასულები, სეფე-ქალები, ტაძრეულები. მათ უცხო-უცხო ქსოვილის საცმელთ უხვად ამშვენებდენ ოქროს და ზურმუხტ-იაგუნდის, ფირუზ-ლალების, მარგალიტების მორთულობანი.

პირველად შეიყვანეს შარვან-შაჰ აღსართან, ვითარცა თვისი და შინაური, ითაყვანეს მეფეთ, მოიკითხეს და დასვეს თვისსა ადგილსა. შემდგომად წარსდგა ამირ-მირან, მოიკითხეს და დასვეს პატივითა და შეიტკბეს ვითარცა შვილი და კარგი მოყმე. მოასხნეს დიდებულნი, მხლებელნი აღსართანისა და ამირ-მირანისა, ზოგნი სულტანთა დაზრდილნი, ზოგნი — ელდიგუზისა და ზოგნი შვილთა მათთა, და მოიკითხეს შესატყვისითა პატივითა.

კვირობდენ და იხარებდენ სტუმრები; მოეწონათ თამარის სიშვენიერე, ყოფაქცევა, საუბარი და ზრდილობა და იტყოდენ:

„არაოდეს ნახულა კაცთა თვალთაგან და არცა წარგვიკითხავს ძველთა წერილთა შინა გინა ახალთა თამარის სახისა და ქცევისა მსგავსი“.

მოეწონათ დავით სოსლანიც, დიდებულნი და მოყმენი მათნი, წარიხოცეს მწუხარება და დაიჯერეს გული, რომ ქართველებს ძალუძთ ჭეშმარიტად ხსნა მათი და კვალადგება მამულად.

გავიდნენ დარბაზიდან თამარ და დავით, სტუმრები და ყოველი ერი და იქმნა პურობა. დასხდენ მეფენი და მოისხეს გვერდით აღსართან და ამირ-მირან, მერმე კათალიკოზი, მოძღვართ-მოძღვარი, ჭყონდიდელი და სხვა ვაზირნი და დიდებულნი საქართველოსა, შარვანისა და ადარბაგანისა. თამარმა უბრძანა და მოიღეს პური და საჭამადი მრავალფერ ოქროს ტაბაკებითა, გობებით, ლანკანებით და ლანკანაკებით, იაგუნდისა ჯამებით და პინაკებით. მოართვეს ღვინო ყოველი კუთხის — ტკბილი, მაგარი, ძველი და ახალი, ნაირი ფერის და სასმელი საგრილებელი ხილისა, მყინვარითა გაცივებული, ოქროსა საღვინოებსა, ბროლისა და ჩინური ფაიფურის საწდეებში. თვითოეულ საჭმელისათვის მსახურნი ახალ ჯამებს მოიღებდენ, თვითოეულ სასმელისათვის ახალ სასმისებს — იაგუნდის, ლალის და ფეროზის ჭიქებს, თასებს და დოსატაქნებს.

შემდგომად პურობისა დაიდვეს ნადიმი, სიკეთე და სიტურფე გამოუთქმელი. სცემდენ ბუკსა და ტაბლაკსა, ბარბითსა და ჩანგს აჟღერებდენ. მგოსნები იმღერდენ ვით იადონნი. ცეკვავდენ ქალნი და ვაჟნი უტურფესნი, მათ ფერხთა როკვა და წერწეტ ტანთა ნაზი რხევა გულის წამღები იყო და ისე დაქროლავდენ, თითქოს უსხეულონი ჰაერში დაცურავდენო. მოდგენ მელექსენი მეფისანი, სიტყვამზეობდენ და ქებათა შეასხამდენ ზეცისა და ქვეყნის დამამშვენებელს, ვინც ღმერ-

თმა თავის სწორად ჰყო, ზევსმა მზედ იცნო, ვისი სახელი მოსემ თავის ფიცარზე დაიწერა, ვისთვის როკვიდა დავით, ვის სოლომონი უხმობდა თავის ასულს და ვის წინაშე გაცუდდენ საქმენი ალექსანდრესი და აქილევის, როსტომის და ხოსროსი.

ახლა წარმოსდგენ აღსართანის მოშაირენი და შეაქეს სპარსულ შაირებით თამარ, ტან-ალვა, თმა-გიშერ, ღაწვ-ბროლი და ვარდი. მაისის მზე, მთვარე პირგავსებული. მყის გადაუთარგმნეს ქართულად მეფეებს, თუმცა-ღა იცოდენ მცირედ სპარხული. დიდად მოუწონეს, უხვითა საბოძვარითა დაასაჩუქრეს მელექსენი.

გაგრძელდა ნადიმი დღისა და ღამის გაყრამდე.

ერთი დღე დაასვენეს სტუმრები და მერმე უჩვენეს ყოველი მოკაზმულობა, სიმდიდრე და სიძლიერე სამეფოსა. წარუძღვენ ვაზირი მანდატურთ-უხუცესი და მსახურთ-უხუცესი და გასინჯეს მეფის ნატიფად ნაგები პალატნი, სეფე-დარბაზნი, ეშმის, ამარტის და ფაზარის მოქარგულობა და უცხოდ შენათხზარ ფერთა მოხატულობა, საჯდომნი, მისაყრდნობელნი, ტაბლანი უდ-სუზისა და სანდლისა ხისანი სარდიონითა და სამარგადონით მოკაშკაშენი, კედელ ყურენი, ფიქლით მოძერწილნი, ბივრილიონით და ლიგვირიონით შთათხრილნი; გალავანი მინანქრითა შეწყობილი და მშვენიერი სახეებითა გამოყვანილი; სამეფო მტილ-სამოთხენი ყოველი ხითა და მცენარით, ვარდებითა და ყვავილებით, ხილნარებით, ავაზანებით და სურნელოვან წყლისა სარაჯებით. ნახეს ბაღი, სადა იხილვებოდა ყოველი ფრინველი დედამიწისა, სირინოზის უამესად მგალობელი და მოჭიკჭიკე, ტბა სავსე მრავალი გვარის თევზითა, ფილოპატი — დასამწყვდეველი ნადირთა მთისა და ტყისა.

ეახლენ ვაზირი ამირსპასალარი, ამილახორი, მეაბჯრეთ-უხუცესი, და მეჯინიბეთ-უხუცესი და გაუღეს კარები ზარდახნისა. იყო რიგ-რიგად დალაგებული და ჩამოკიდებული აბჯარი მრავალ ფერი და უთვალავი, შესამოსელი და საბრძოლველი იარაღი: ჯავშნები რკინისა და რვალისა, მუზარად-ზუჩნი და ჩაბალახები, საბარკულები და ქაფები, ლახტები და ფარები, კაპარჭები და ისრები: პირწვრილი ყივჩაყური, მობრტყე სარჩანი, გრძელი ქეიბურნი, წვერმრგვალი ყოდალები, წვეტმწვეტი ღრჯანი, ფრთემაღალი სეფქანი, უპირო გეზნი და ორპირი ბოძალები; ლახვარნი — ოროლხი, სათხედნი, გეონხი, შუბნი, ზუფანნი და გმურნი, დაშნანი და ხრმალნი გამოცდილი—საბარკალნი, გრძელნი, განხრილნი, მკვეთელნი: გლუნი — ხრმალნი არაბული, სპარსული, ინდოური, ბერძნული, ფრანგული და ქართული. იყო აბჯარი ინდოეთიდან, ხვარაზმიდან, სალმასიდან, მისრეთიდან, იამანიდან და საქართველოში ნაჭედი. გაკვირვებულნი სინჯავდენ სტუმრები მანქანებს ქვის სატყორცელად და ლოდისა მსროლელ ფილაკავანებს ციხეთა შესანგრევად. ზარდახნის შუა

თეთრ ბუნზე აბმული იყო შვინდის ფერის დიდი სახელმწიფო დროშა; ცალკე სახლში გვერდით იხილეს ცხენთა საკაზმავი — უნაგირები ოქრონაჭედნი და ხამნი, ჯავშნები, მანჯუვები, ყელსაბამები, კაჯრის კუდები.

უჩვენეს საჯინიბო, მრავალ რიგად დაყოფილი მაღალი სვეტებით. თითოეულ რიგში ერთი ფერის ცხენები ება — შავი, წითელი, ლურჯი, თეთრი, ოქროსფერი, ჭრელი. ერთგან ერთი მოდგმის ცხენები იყო, მეორეგან — მეორესი, ყველა აბრეშუმის თოკით დაბმული და ტანზე ქსოვილ-გადაფარებული. საჯინიბო წმინდა და მოლამაზებული იყო, მნახველი იტყოდა: სრა-დარბაზი არისო.

მოეგებენ ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი და მოლარეთ-უხუცესი საჭურჭლესა და სალაროში. უჭვრეტდენ სტუმრები და არ უჯერებდენ თვალს. სად იყო და ვინ მოიტანა ამდენი სიმდიდრე: რა ოქროვერცხლი, რა თვალ-მარგალიტი, რა სამკაული და ჭურჭელი ფასდაუდებელი! დედამიწაზე თუ რამე ძვირფასი ქვა ნახულა კაცისა თვალისაგან, აქ მოეღოთ. იდგა რიყე ღარიბი მარგალიტებისა, ზოგნი ოდენი ტრედის და ბატის კვერცხისა, ზოგი — საბურთალი ბურთისა; ლალები ერთობილი, იაგუნდები მრთელი, წითელი და იისფერი ამეთვისტომი, იასპი, მოწითალო, გამსჭვირვალე ყვითელი ტაპაზიონი, იაკინთი ლურჯი, აკატი მრავალფერი, ფრცხილი ინდოური, ფეროზი, ზურმუხტი ტაბაკებზე და გოდრებში ვერ ეტეოდა; ნაკვერცხალის მსგავს ანთრაკს თითქოს ცეცხლი ეკიდებოდა. ოქროს დიდრონ• ზოდები ერთმეორეზე ეწყო და ქართული ფული, ბერძნული დუკატი და ბოტინატი და ხალიაფაური იყო ანგარიშ-მიუწდომელი. ცალკე ელაგა ოქროსა და ვერცხლისა ჭურჭლები, ჩინური და ქაშანური, ძვირფასი მორთულობა და მოკაზმულობა, ნაჭედი, გამოქანდაკებული და ნახატი და იქით კიდევ გორი ლარისა, ატლასისა, ოქსინოსა, საფენისა ნაირის.

დაათვალიერეს სხვა სამეფო პალატები დიდუბეში და ტაბახმელაზე, სასახლენი სააგარაკონი, დიდებულთა პატიოსანი სახლები, შემკობილი ბაღები. აღსართანის და ამირ-მირანის ხასები უცქერდენ ქალაქის ტურფა ნაშენებს, ფერად-ფერადი თლილი ქვით მოფენილ ფორებს და წმინდად მოკირწყლულს გზებს და ფოლორცებს, ყველგან ყვავილნარებს და სარაჯებს, და გაოცებულნი მოწონების ნიშნად მალმალ გაიძახოდენ: შაბა, შიბა!

უჩვენეს აღლუმი. თამარის ბრძანებით ამირსპასალარმა სარგისის შვილმა, ზაქარია მხარგრძელმა მოასხნა ლაშქარი — სამეფოს სპანი ყოველი კიდისა და თემის, ყივჩაყნი „წყობად განმავალნი“, ოვსნი, ყივჩაყნი ახალნი და მთიელნი კავკასიისა, მონა-სპანი რჩეულნი და მისანდონი. თვით თამარმა განახვნა ლაშქარი და იხილეს აბჯრითა კეთილი-

თა და პატიოსნითა, მოიწონეს სიჩაუქე და სიმხნე, კეკლუცი დარაზმულობა, ცხენთ კეთილობა და სიმალე.

შემდგომად ამისა მოაწყვეს ასპარეზობა იპოდრომზე, ქალაქის სანახებში ისეთი ზეიმითა და ზარით, რომ სტუმრებს არა ენახათ რა მისთანა. დიდი სტადიონი, წითელ და თეთრ ფიქალით მოწყობილი ირგვლივ და მრავალფერ კენჭებით მოქარგული, გარშემორტყმული იყო ზედიზედ ამაღლებულ საჯდომებით. შუა ალაგი ისე მაგრად მიეტკებნათ, რომ ქვა გეგონებოდათ, მერმე ქვიშა მოეყარათ. სამხრეთის მხარეზე ოქრონაქსოვი კარავი აღიმართებოდა თამარისა და დავითისათვის და აღსართან-ამირ-მირანისათვის. აქეთ-იქით მოკაზმული ინახები დიდებულთათვის. იპოდრომის ერთ ბოლოში მაღალი სვეტი ესო ყვითელი მარმარილოსა, თავი მოზურმუხტებული ჰქონდა და ზედ ოფაზის ჯამი იდგა.

იპოდრომი მალე გაივსო. ვინ არ ისწრაფოდა უცხო სანახაობისათვის — დიდებულები, აზნაურები, ვაჭარნი, ტაძრეულნი, მოყმენი და სპანი, ცოლები და ასულნი, დიდი და მცირე, აქაური თუ შორიდან მოსული. იპოდრომის გარშემო ფერდობებზე ურიცხვ ერს მოეყარა თავი და სარანგნი წეს-რიგს ძლივს იცავდენ.

მობრძანდა თამარი ქმრითა და სტუმრებით. პირველ დაიწყეს ჭიდება. გამოვიდენ ქართველი მოჭიდავენი, გამოიწვიეს განთქმული სპარსელი ფალავნები. იყო დიდი დაძგერება, ფეხ-მკლავთა სიმაგრე, ხერხი და სისწრაფე ორგანვე. იძლივნენ სპარსელნი, იძლივნენ ქართველნიც, მერმე მაინც გამარჯვება თამარის მოყმეთ ერგო.

მოჰყვა ბურთაობა. შერჩეულ იყვნენ საუკეთესო მობურთალნი; კოხტად მოსილნი, ბედაურ ტაიჭებზე. ლაგამსა და უნაგირს მარგალიტი ესხა უხვად, ოქროთ მოჭედილი იყო. მახლობლად მეჯინიბენი უდგენ მარქაფა ცხენებით. მოართვეს მოოჭვილი ჩოგნები, ისროლეს ბურთი და შეიქმნა ცხენთ რბევა, ჩოგანთა ხელმარჯვედ მოქნევა, მართლად ცემა. გახურდენ მობურთალნი, გაამალეს ხელი, ბურთი წუთუმალ გახტოდა და გამოხტოდა, ხან მარცხად მაღლა ავარდებოდა და ჩოგანი მყის ჰაერში შემოაბრუნებდა და მჭვრეტელთა გულს სიხარულით ავსებდა.

პირველმა რიგმა რომ ბურთაობა გაათავა, დავით სოსლანმა თამარის ნება ითხოვა და ბურთაობისთვის ამირ-მირანი გამოიწვია. თან იახლა ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, ამის ძმა იოანე მსახურთ-უხუცესი, ჰერეთის ერისთავი გრიგოლ და სხვა მოყმენი. ამირ-მირანსაც გამოყვენ მისი დიდებულნი, ადარბაგანი და ერაყის განთქმული მობურთალნი. ჩამოვიდენ მოედანზე, დაიწყეს ბურთობა ღონიერი, მარდი, საამო-სანახავი. ენება დავითს თავის გულში სტუმართა გამარჯვე-

ბა, ჭიდებისა სირცხვილისა წარსახოცად, ხოლო ქართველთ მოყმეთა არა ქმნეს თავის სახელის დამცირება და სპარსნი შეიქნენ ძლეულნი და დაჭმუნებულნი.

ახლა გამოვიდენ და შეიბნენ ჭაბუკნი, სრულად შეჭურვილნი ჯავშნებით, ბასრისა პოლიტიკებით, მუზარადებით, საბარკულებით და ქაფებით, თავით ფეხამდე შეჭურვილსავე ცხენებზე. აბჯარი ყოველი რვალისა იყო მეტისა სიკეთისათვის. დაატაკეს ერთმანეთს ცხენები, იხმარეს უმკვეთო შუბები. უტევენ ცხენს, უტევენ მხედარს და ცდილობენ გადმოგდებას, იარაღის წართმევას. ხან ხრმალს მიწვდებოდენ, ხან ლახტსაც არ დაზოგავდენ. ფიცხად იბრძოდენ, ცხენებისა ტერფითა მიწა დაიხია, ისმოდა ჭექასავით ხმა იარაღთა და საჭურველთა და ტაიჭთა ჭიხვინისა. მარდად სცემდა მტერი მტერს, იგიც სწრაფად იგერიებდა, ფარი ფხიზლობდა, ლახტი ლახტს ეგებებოდა, ცხენი მხედარს მოეშველებოდა. ხანი გადახდა. დაღლილმა ცხენებმა ქოშინი იწყეს. მჯობნი არავინ სჩანდა. ბრძანა მაშინ თამარმა მათი გაყრა და ორთავე მხარეს გამარჯვება მიულოცა.

მოვიდა რიგი მოისართა და ესროდენ შორიდან სვეტზე დადგმულ ოქროს ჯამს. ბევრმა სცადა ბედი და იღვაწა ფრიად. ვინაითგან ჯამი იგი თამარის წარმოგზავნილი იყო და ზედ მისი სახელი ხვეულად ამოხატული. გაიშუვლა ისრებმა ჯამს ახლო, ზოგი ფრთითაც შეეხო, ზოგი სვეტს შეასკდა მის ძირს, ერთმა-ორმა თითქოს შეარხია კიდეც, ხოლო ვერავინ ქმნა მისი გადმოგდება. იყვენ ქალებიც მოისარნი, გაცუდდა მათი საწადელიც. უცბად გამოვიდა ერთი ყრმა, სულ ახალგაზრდა, მეტად თვალადი; დადგა ახოვნად, მომართა შვილდი, დაუმიზნა, გასტყორცნა ისარი და შუაგულში მოახვედრა ოფაზს. გაისმა აღტაცება და გაკვირვება. მიიხედ-მოიხედეს, მოიკითხეს, ვინ არისო.

ამ ძიება-გამოკითხვის დროს თამარს მსახურთ-უხუცესი ეახლა და რაღაც მოახსენა. თამარმა მყისვე კარავი დასტოვა და იპოდრომიდან გავიდა, მსახურთ-უხუცესისა და სხვათა თანხლებით. ერი გაოცდა, შეწუხდა. ხოლო მალე გაიგეს, რაც იყო, და არავის ეუცხოვა.

ერთხელ თამარ მეფის სანახავად ვინმე გაჭირვებული დედაკაცი მოსულიყო. თამარი სადღესასწაულოდ თავს ირთავდა და იკაზმავდა. ტაძრეულს უთხრა, მომიცადოსო, კაზმვა რომ გაათავა, დედაკაცი იხმო, მაგრამ იგი ვეღარსად ჰპოვეს. ეწყინა მეფეს, დაღონდა ფრიად, მოიხსნა ყოველი ძვირფასი სამკაული და გელათში ღვთისმშობელს წარუგზავნა ძღვნად, მე ამის ღირსი არა ვარო. ამის შემდეგ ნაბრძანები ჰქონდა ერთ მისანდობ დიასახლისს, ერთგულსა ნაერთგულევს, თუ ვინ მოვიდოდა სათხოვნელად, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებია, რა ჟამიც არ იქნებოდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო.

ახლაც ერთი უღონო ქვრივი მოსულიყო შორი ადგილიდან სასახლეში, ჩჩვილი ავადმყოფი ვაჟითა და ეთქვა: პატრონმა მიშველოს, სხვა არა მეწამლება რაო. დიასახლისმა მაშინვე ჩქარი მანდატორი მეფესთან აფრინა, ქვრივი და მისი შვილიც თან მიადევნა.

თამარ რომ იპოდრომიდან გამობრძანდა, ქვრივი იქვე შეხვდა, ცხარე ცრემლებით მტირალი, ხელში შვილი ეჭირა, ძლივს იკავებდა. ბავშვი ამღვრეული თვალებით გამოიცქირებოდა, იღვლანჭებოდა, იგრიხებოდა, ყვიროდა, პირიდან დორბლი გადმოსდიოდა. დედაკაცი მიწაზე დავარდა, პატრონის ფეხთა კოცნას ლამობდა. თამარმა გულმტკივნეულად ხელი მოკიდა, ზე წამოაყენა და სიტკბოებით პირზე ეამბორა. ჰკითხა:

— რა არის, დედა? რა ჭირი მოგსვლია. რა სენს შეუპყრია შენი შვილი და ესოდენ სატანჯველს მიუცია?

— არა ვუწყი, ცისა მანათობელო და ქვეყნის იმედო, წელიწადზე მეტია ასეა, ვერაფრით გავკურნე. მითხრეს, თუ არა ზღვისა და ხმელეთის ხელმწიფის მადლიანი ხელი, სხვა არა უშველის რაო. შემიხვეწე, შემიბრალე, ყოვლისა შემბრალეო, გამიმრთელე ვაჟი, ესაა ჩემი ნუგეში, მეტი არავინ მივის.

ქვრივს ტირილ მოერია, დაღლილობისა და მღელვარებისაგან თავს ძლივს იმაგრებდა. თამარმა ბავში ხელში აიყვანა, ფარეშს მანდილი გამოართვა, სნეულს დორბლი მოაშორა, თვალები გადაუწმინდა, მოეალერსა, თავზე ხელი გადაუსვა, ყოველი სხეული გაუსინჯა. თვალებში ჩააცქერდა და ბავშვიც მას უჭვრეტდა. სდუმდა თამარი, თითქოს ლოცვას იტყოდა თავის გულშიო.

სულგანაბულნი იდგნენ მხლებელნი. მცირე ხანი გავიდა.

— შენი სახელი? —დაეკითხა ბავშს თამარი და ალერსით გულზე მიიკრა.

— გიორგი, ჩვენო მზეო, — დაასწრო დედამ.

— არა, მე გოგი მქვია, — გაუსწორა შვილმა მკაფიოდ და თავის აქიმს ყელზე მოეხვია. ყველს ეოცა, დააკვირდენ. ბავშს სახე დაწმენდოდა, დორბლი გამქრალიყო, თვალები ნათლად გამოიყურებოდენ, ხელფეხსაც წესიერად ამოძრავებდა.

— აბა, ერთი გამიშვი, იქით გავიქცე! — წამოიძახა ბავშმა, ხელიდან გაუსხლტა თამარს და მინდვრისაკენ ცქვიტად გაირბინა. წითელი ყაყაჩო დაინახა, მოსწყვიტა, თამარს მორიდებით შეხედა: ყაყაჩო მისთვის ენება, თან რცხვენოდა, ყაყაჩო რაა, როგორ შევკადროო...

ყველა კვირობდა და გაიხარებდა ბავშვისთვის. დედა ბედნიერებისაგან იცრემლებოდა, თამარი ზეციერს მადლობდა მხურვალედ...

მეფე უკან გამობრუნდა და კვლავ კარავში თავის საჯდომზე წყნა-

რად და კრძალვით დაბრძანდა. მთელმა ერმა იცოდა უკვე ბავშვის განკურნების ამბავი, სიხარული მოემატათ და თამარის შუქთა მკრთომელ პირს შეფრფინვით უჰვრეტდენ.

ასპარეზობა გაგრძელდა.

გამოვიდა სამი წყობა ტაიჭოსანი, ცხრა-ცხრა მოყმე; თითო წყობას ერთნაირი ტანისამოსი ემოსა, თეთრი, შავი თუ წითელი, ცხენები თავის ფერისა ყვანდათ. იწყეს ნავარდობა. შეჰკრეს დიდი წრე, ფერარეული, ცხენი ცხენს ზრდილად მისდევდა, წრე რგოლივით ტრიალებდა. სამ წრედ შეჯგუფდენ, სამ ფერად, ჯერ ერთი მეორის გვერდით, მერმე წრე წრეში მოექცა და ასე ირბენდენ მრგვლად. კვლავ ცხრა-ცხრად გაიყარეს. შავნი და თეთრნი ერთ წყებად დამწკრივდენ, ცხენები შორი-შორ დააყენეს, წითლებმა მიდევნით, მათ სათითაოდ აუარ-შემოუარეს ხვეულად და ბოლომდის გავიდენ ისე, რომ ცხენი ცხენს არ შეხებია. ახლად სამ რაზმად დალაგდენ ერთიმეორის უკან, პირველმა ტანი წინ დახარა, მეორე გამართული ისხდა, მესამე ფეხებით უნაგირებზე შესდგა. ცხენები გაარბიეს და ასე მარმარილოს სვეტის ძირს ისრები დააყარეს. მყის შემოტრიალდენ შუაგულს, სამფეროვანი ვარსკვლავი გააწყვეს და ალმები ააფრიალეს. ამ დროს იპოდრომზე შავი ტაიჭი შემოვარდა, ტანხმელი, წელწვრილი, წვივმაგარი, ძუა-სქელი, თვალთაგან ცეცხლის მფრქვეველი — არაბული ტაიჭი, სიპსავით გადალესილ ზურგზე უნაგირი არ ედგა, არც ლაგამი ჰქონდა. მორბოდა, მიწას ფეხს არ აკარებდა, თითქოს მოფრინავდა, ოდნავ მტვერს არ აყენებდა. შემოირბინა იპოდრომი და მეორედ დიდებულთა საჯდომებს რომ მოუახლოვდა, სწრაფად ყრმა-ქალი გამოვიდა, ცქრიალა, საამოდ მოცინარი, ვარდ-ღაწვებიანი. ტანს თეთრი კაბა ემოსა, ყელზე წითელი რიდე ეხვია. შეახტა არაბულს ტაიჭს, ფაფარში ხელი ჩაავლო და ქარსავით გააქროლა, იპოდრომს შემოუარა. მოყმეთა ვარსკვლავი დაშალეს, დიდი წრე შეკრეს, ტაიჭოსანს ქალს შემოარტყეს, მის წინ ცხენები დააჩოქეს და თვითონაც თავები დახარეს.

მერმე სწრაფ ყველანი ცხენებიდან ჩამოსხდენ, ქალის წინამძღოლობით მწყობრად სამეფო კარავს მიუახლოვდენ, მუხლები მოიყარეს და თამარ მეფეს ეთაყვანეს.

თამარმა ნარნარი ღიმილი მოაგება ყველას, ხელოვნება მოუწონა, ხოლო ქალი ზევით აიხმო და სიყვარულით გადაკოცნა.

5. ომი

ჰკრეს სპერიმერთა და ბუკთა საომართა და სცეს ზარი და შეიქმნა ზეიმი, განაწყვეს რაზმი წესისაებრ, ვითარც განჩენილ არს თემთა და თემთა.

ქართლის ცხოვრება

ერთობ ლაშქრითა აივსო
მინდორი, კლდე, კაპანია.

რუსთაველი

თქვენგანმან ოცმან, ბევრისა მხოცმან
სძლო მათთა სპათა დამატებულად.

შავთელი

ელტვის ხალიფა, იტყვის შარიფა:
აწ გაგვიცუდდა სჯულის დებახი.

ჩახრუხაძე

საქართველოს ლაშქარმა რომ აბუ-ბექრის და მის მიმდგომ ხელმწიფეთა ურიცხვი სპანი სასტიკად დაამარცხა შანქორთან და ბაღდადის ხალიფას წარმოგზავნილი დროშა წარუღო, მთელი მუსულმანობა — სპარსნი, არაბნი და თურქნი მოდრკენ და ქართველების წინააღმდეგ ვეღარაფერს ბედავდენ. თამარის და მის მხნე მეომართა სახელი შორს გავიდა და მწუხარება და უსასოება იყო ყოველთა სულტანთა. ყოვლითურთ უღონონი ეძებდენ, რათა წყალობად მოიზიდონ წყალობის მოყვარე თამარ. მივიდენ ხალიფასთან და შესახვეწელი სიტყვითა მოახსენებდენ: ევედრე თამარს, აიღოს ხარკი მარტო და დააყენოს მახვილი მსვრელი და ჯაჭვი შემკვრელიო.

ისმინა ხალიფამ თხოვნა მათი, წარმოავლინა მოციქული წინაშე თამარისა, მრავალნი ძღვენნი უცხონი წარმოუგზავნა და დიდითა სიმდაბლითა შემოეხვეწნა: აღიღე ხარკი და ბრძოლა შეაჩერეო. თამარმა პასუხი მისცა: აღმისრულებია ვედრება შენი, და რომელთაც ინებონ მშვიდობა და მოიღონ ხარკი წინაშე ჩემსა, მათთვის მომინიჭებია მეცა მშვიდობა და ცხოვრება.

იყო სულტანი ნუქარდინ (როკნ-ედ-დინ), ძე ყილიჯ-არსლანისა, უდიდესი სხვათა სულტანთა, რომელთა ეპყრა ეგვიპტიდან პონტის ზღვამდე. იგიცა სიყვარულსა და მორჩილებას უცხადებდა თამარს, მშვიდობისა მოციქულს უგზავნიდა მშვენიერითა ძღვნითა, ხოლო ზაკგასაფარავდა — მოციქულებს მზირთა და მსტოვართა გამოაყოლებდა, ლაშქართა დგომისა ამხილველთა, და სპასა ურიცხვსა მალულად შემოიკრებდა და თამარის წინააღმდეგ განამზადებდა. გახსნა შამა-პაპათა საგანძურნი, გადმოყარა ოქრო აურაცხველი, წარავლინა ყოველთა სა-

ზღვართ მისთა: მესოპოტამიას, გალატიას, ისავრიას, კაპადუკიას, დიდსა სომხეთს და ბითვინიას, აღუთქვა ყველას ორკეცი გაჩენილისა როქისა და არავინ დასტოვა სოფლად თვინიერ დედაკაცისა. მოირთო ძალით ეზინკელნი, ხალფერდელნი და კარნუ-ქალაქელნი; ოთხასი ათასი ლაშქრითა მოიწია ქალაქად სევასტიად და იწყო გამზადება საომართა მანქანათა.

მაშინ წარმოავლინა მოციქული და ესე მოუწერა თამარს:

„მე ნუქარდინ, სულტანი ყოვლისა ცასა-ქვეშისა, უმაღლესი, მიმსგავსებული ანგელოზთა, თანამდგომი ღვთისა, მოვლინებული დიდისა მოჰმედისაგან, მოგიმცნობ მეფესა ქართველთასა თამარს, რომ ყოველი დიაცი რეგვენია. შენ გიბრძანებია ქართველებისათვის ხრმლის აღება, ღვთის საყვარელ ისლემთა ერის დახოცა და თავისუფალ მუსულმანთა ნათესავსა ზედა ხარკის დადება. აწ მე მოვალ, რათა ვსაჯო სამართალი და გასწავლო შენ და ერსა შენსა, არაოდეს აიღოთ ხრმალი, რომელი ღმერთს ჩვენდა უბოძებია. ხოლო ცხოვრებას მივანიჭებ იმას, ვინც თაყვანის-მცეს წინაშე კარვისა ჩემისა, აღიაროს ქადაგება მოჰმედ მოციქულისა, უარჰყოს სჯული შენი და დალეწოს ჯვარი. აწ მოვალ და მოელოდე იმის ნაცვალს, რომელი შეამთხვიე აბუ-ბექრს და სპარსთა ყოველთა“.

მოციქული ვაზირთა თამარს წინაშე შეიყვანეს და რო მოყავდათ, უკადრებელი სიტყვა თქვა:

— უკეთუ მეფემან თქვენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმა ცოლად, და უკეთუ არა დაუტეოს. იყოს ხარჭად სულტანისა.

ამის გამგონე ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი გაფიცხდა და ისე მაგრად სცა ხელითა პირსა მოციქულს, რომ იქვე წააქცია. წამოაყენეს და რა ცნობას მოვიდა, ზაქარიამ უთხრა:

— თუ მოციქული არ იყო, პირველად ენისა მოკვეთაა სამართალი შენი და მერმე თავისა, კადნიერად კადნიერებისათვის.

წარუდგა ნუქარდინის მოციქული მეფეს და მიართვა წიგნი. თამარმა დამშვიდებით მოისმინა, არ აღელდა, არ აჩქარდა. სივრცითა გონებისა და ცნობისა სიმახვილითა განიცადა და განიხილა, რაცა იყო, და მოუწოდა თანამზრახავთა საქმისა გამოსარჩევად.

უბრძანა ვაზირთა უპირველეს ანტონ ჭყონდიდელს ვაზირობა და დასხდენ მეფისა მარჯვნით და მარცხნით მწიგნობართ-უხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთ-უხუცესი და მეჭურჭლეთ-უხუცესი — ოთხნი ვაზირნი, და ამილახორი ვაზირთა უკანით, რომელ არა იტყოდა, რასაცა არა ჰკითხავდენ. ჭყონდიდელის ახლოს საწოლის მწიგნობარი იდგა ქაღალდითა და საწერელით, ხოლო გამოსავალ კართან მოლარეთ-უხუცესი. გარეთ იცდიდენ მეაბჯრეთ-უხუცესი, მეჯინიბეთ-უხუცესი, სხვა

უხუცესნი, მწიგნობარნი, მანდატორნი, მცველნი და ელოდებოდენ ბრძანებას.

თქვა მწიგნობართ-უხუცესმა, ჭყონდიდელმა, წვრილად მოიგონა უკანასკნელი ამბები, მშვიდობა და კეთილმოყვრობა, რომელი ენება თამარს მეზობელ სულტანთა, ათაბაგთა და ამირათათვის, და ვითარ ხალიფაც ეაჯა მეფეს და დაეზავა ყოვლისა მუსულმანობის სახელით. ელმოდა ეს მზაკვარს ნუქარდინს, რომელსა არა სთნდა საქართველოს განდიდება და თვით მოსწრაფე აღზევებასა, განმზადებულა აწ საომრად ჩვენდა.

მოახსენა მეფეს ამირსპასალარმა სალაშქრონი საქმენი, სააბჯროთა და საჯინიბოთა, სპათა დაწყობათა ღონენი, დრო ლაშქრის შეყრისა და განკაზმვისა და ადგილი, სადა უმჯობეს არს შებრძოლება მტერთან.

ივაზირეს მანდატურთ-უხუცესმა და მეჭურჭლეთ-უხუცესმაც, და გონებდენ ყველანი, ქართველ ლაშქრისა სიძლიერის და სიქველის მოსავნი, არ დაყოვნებასა და ნუქარდინის წინ მიგებებასა.

თვით თამარს ემძიმებოდა კვალად ომი და სისხლის ღვრა. თვისი სამეფო კმა ჰყო და არ ენება შერთვა სხვისა სახლისა სახლსა ზედა, არცა აგარაკისა უცხოსა აგარაკსა ზედა, რათა არა ჰგონონ უსამართლო, მიმხვეჭელი და მსგავსად წურბლის ვერ-გამაძღარი. არა შინებით ემუქრებოდა მეზობელთ, არამედ უფროს-ღა იცავდა მაშინებელთაგან. რაოდენნი დაგლახაკებული მეფენი გაამდიდრა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნსცა სამეფო თვისი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თვისად კვალად დააბრუნა. ბრუე იყო თვისა და მეზობელ მეფეთა შორის, რათა არა იქმნას ბრძოლა და უღლისა მძლავრებისა ერთმანეთზე დადება. ხოლო აწ ნუქარდინ უსამართლოდ ემუქრება საქართველოს, მოვალს შესამუსრავად სამკვიდრებელისა ქართველთა და სჯულისა ჩვენისა...

თამარმა დაადასტურა ვაზირთა ნავაზირევი.

მოიწვიეს დარბაზის ერი და მეფეს წინაშე შეიკრიბენ ვაზირნი, კათალიკოზი, მღვდელთ-მთავარნი, დიდებულნი ხელისუფალნი და უხელონი, დიდ-ვაჭართა და მოქალაქეთა უხუცესნი და აზნაურნი-მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი.

თამარმა ყოველივე აუწყა დარბაზის ერს და ითხოვა რჩევა. ითათბირეს, გამოარჩიეს და დაასკვნეს ომი. მაშინ უბრძანა ჭყონდიდელს ანტონის არა ავითა გულითა, არცა დედაკაცურითა სიტყვითა: — „ისწრაფეთ დაწერად და მამაცურითა სიტყვით დასდევით ბრძანება, რათა მსწრაფლ შემოკრბეს მხედრობა, და კვალად მიუმცენით ეკლესიათა და მონასტერთა, რათა დაუცადებელი ღამისთევანი და ლიტანიობანი აღსრულდებოდეს ყოველთა ადგილთა“.

ესე უბრძანა და ბრძანება საქმე იქმნა. წიგნები ქროდა და მალე-

მსრბოლთა ცოტათა დღეთა შინა შემოკრიბეს სპანი იმერთა და ამერთა, ნიკოფსიით დარუბანდამდე, ვითარცა ვეფხნი სიკისკასითა, ვითარცა ლომნი გულითა.

შეიკრიბენ ჯავახეთს, არღარა ჰყოვნეს და მიმართეს ვარძიას და იქ თამარმა ღვთის მშობლის ტაძარში ღმერთს შეავედრა სოსლანი დავით, სპანი და დროშა ბედნიერად ხმარებული. მყისვე მიმართა ლაშქარი ბასიანისაკენ და თვით მიუძღოდა წინ. მიიწევნენ კარის მახლობლად და დადგენ ერთისა დღისა სავალზე.

მაშინ წარავლინა მოციქული ნუქარდინისა, წარატანა თანა მოციქული თვისი და მიუწერა:

„ძალსა ღვთისა მპყრობელისასა მინდობილმან და მარადის ქალწულისა მვედრებელმან და პატიოსნისა ჯვარისა მოსავმან, წარვიკითხე ღვთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ჰოი, ნუქარდინ, და ვსცან სიცრუენი შენნი. შენ ოქროსა შეკრებულთა მეომართა სიმრავლესა მინდობილხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრეთა, არც სპათა ჩემთა სიმრავლესა მინდობილვარ, არამედ სიმართლესა ჩემსა და შეწევნასა ჯვარისა მაცხოვრისა, რომელსა შენ გმობ. წარმომივლენია მხედრობა ქრისტეს მოსახელე არა შენდა თაყვანის-ცემად, არამედ დამხობად ზვავისა და ამპარტავანის გულისა შენის. მე ვიცი დახსნილობა მსახურთა შენთა, ამისათვის წარმომივლენია მსახური ჩემი, რათა წიგნისა შენისა პასუხი ადრე მოგართვას და განკრძალოს, რომ ჩემ მიერ წარმოგზავნილ სპათა ფეხნი კართა შენთა ზედა დგანან“.

მისცეს წიგნი ნუქარდინის მოციქულს, შემოსეს და უბოძეს ნიჭნი მრავალნი.

უბრძანა თამარმა სპათა ყოველთა შესხდომა, თვით აღვიდა უმაღლესსა ადგილს, ილოცა მუხლმოდრეკით, ცხარე-ცრემლთა მფრქვეველმა, და მერმე ჰრქვა:

„ძმანო ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისათვის მტერთა და სიმცირისათვის თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩვენთანაა, და გსმენიათ, ვით გედეონმა სამასითა მხედარითა მოწყვიტა ურიცხვნი მადიანელი და ეზეკიამ მცირითა ძალით წარყვნა უკეთურისა და ღვთის მბრძოლის სენაქერიმის ასურისტანელთა ბანაკი. მიენდვენით ღმერთსა, სიქველესა და სიმტკიცესა თქვენსა და წარემართენით წინამძღოლობით ძელისა ცხოვრებისა, მცველისა ჯაჭვისა ჩვენის“.

ერთის ხელითა თვით ეპყრა ძელი ჯვარისა და ერთითა ჯვარის მტვირთველსა ეზოს მოძღვარს ბასილის. მოიყვანა წინაშე თვისსა ყოველნი წარჩინებულნი და უბრძანა თაყვანის-ცემა ჯვარისა. მოვიდოდა თვითოეული, თაყვანის-ცემდენ და ემთხვეოდენ ძელსა ტირილითა და

ვედრებით და ამბორს-ყოფდენ ხელსა თამარისა. მერმე გულზე მიიკონა პატიოსანი ჯვარი და ამხედრებულთა სპათა ნიში ჯვარისა გადასახა სამგზის და დალოცა.

მოიქცა სამცხეს და დაივანა ოძრხეს, ხოლო სპანი წარემართენ ბასიანისა კერძოსა. განამხნევებდენ ერთმანეთს, მოიგონებდენ მოწამეთ, რომელთა ფერად-ფერადი სატანჯველნი დაითმინეს სჯულისათვის და არ დაერიდენ ცეცხლსა და მახვილსა, ეგრედვე მამა-პაპათა სიმხნეთა და გამარჯვებულობათა, ვახტანგის, დავითის და გიორგის ლომგულობას და მკლავ-ბუმბერაზობას, და იტყოდენ:

„აჰა, ჩვენცა ხელნი ხრმალსა და სულნი ღმერთსა და ნუ დავრიდებთ თავთა ჩვენთა თამარისათვის! ვინც მეფისათვის მოკვდეს, მისი სული საიკიოს განათლდეს!“.

ჩავიდენ ბასიანის მხარესა. მუნ იყო დაბანაკებული სულტანი ნუქარდინ ადგილსა ბოლოსიტეკად წოდებულს. რა მიახლოვდენ ბანაკს, იხილეს: არა იყო რიცხვი ცხენისა, ჯორისა და აქლემისა, კარვებისა და სრა-ფარდაგებისა, მინდორი ძლივს იტევდა. იდგენ ნებიერად სულტანისანი და არა უდგათ დარაჯნი. გააწყვეს ქართველთა ლაშქარი დასდასად და თემ-თემად. დაირაზმენ წინამბრძოლნი მესხნი სამცხისა, ჯავახეთისა, არტაანისა და კლარჯეთისა; მარჯვნით აფხაზ-იმერნი და მარცხნით ამერნი ქართლ-კახელ-ჰერნი, და მაშველი — სამეფო სპა და მის გვერდით ნაწილი ამერთა. წინამბრძოლთ უძღვებოდა ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი და მასთან იყვენ იოანე მსახურთუხუცესი, ახალციხელი შალვა და ივანე და სხვანი თორელნი, ხოლო მთავარსა ლაშქარსა თავში უდგა დავით სოსლანი. მიაშურეს მტრის ბანაკს. თურქთა რომ დაინახეს, სადგომი დააგდეს და სიმაგრეთა მიმართეს. მიეტევენ წინამბრძოლნი ქართველნი და აღარ გაუშვეს. მობრუნდენ ოსინი და შეიქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი. დიდხანს გაგრძელდა და მოწყდა ორგნით ურიცხვი, ხოლო უმეტეს სულტნისა სპანი. მოუკლეს ცხენი მსახურთ-უხუცესს ივანეს, ზაქარია გაგელს, ახალციხელთ შალვას და ივანეს და სხვათა თავადთა. ქართველნი კინაღამ უკან დასახევად განემზადენ. ლაშქართა რა პატრონნი უცხენოდ ნახეს, გადმოხდენ ცხენიდან, ამოუდგენ ქვეითნი ქვეითთა და გამწარებულად ომობდენ.

მაშინ დავით სოსლანი რაზმებით მარცხენა მხრისკენ გავიდა, ამირსპასალარმაც ნაწილი მხედართა მესხთა მარჯვენა მხარსა მიჰრიდა, ორგნით შემოუარეს და ვითარცა მგელნი ცხოვართა, ეგრე შეუტიეს ნუქარდინის სპათა და დაქვეითებულნი ქართველნიც ასხდენ და მიესიენ. შედრკენ ისმაიტელნი, მაგრამ იბრძოდენ მხნედ. ჰქროდა ისარი სულისა წამღები, დაუნდობლად ჰკვეთდა ხრმალი, ლეწდა ყველაფერს ლახტი, გულსა გმირავდა ლახვარი, დიოდა ღვარი სისხლისა. მოახ-

ლოვდა მწუხრი და გასქდა სიმრავლე მტრისა, ვეღარ გაუძლო თამარის ლაშქარს, იწყო ლტოლვა და გაფანტვა, ხოლო სიმრავლისაგან ვეღარც ივლტოდენ და ერთმანეთსა დასთრგუნვიდენ...

თამარი ომის ამბავს ოძრხეში ელოდებოდა. მარხულობდა, დღე-ღამ ლოცულობდა და სხვათაცა უბრძანა ლიტანიობა და ვედრება ღვთისა ლაშქართა გამარჯვებისათვის. მასთან იყო თევდორე კათალიკოზი, კაცი წმინდა და სახიერი, იოანე შავთელი, ყოვლად განთქმული და საკვირველი მოღვაწეობათა შინა და ლექსთა გამომთქმელი, და ევლოგი „ქრისტესთვის სულელი", რომელსა მიეღო მადლი წინასწარცნობელობისა.

განვიდა მარტოდ ევლოგი. იყო ლოცვად და უჭმელად დღე რამდენიმე. მოუწოდა მერმე იოანე შავთელსა და აღვიდენ მთასა მაღალსა. ევლოგიმ თვალნი ბასიანისაკენ მიაქცია და იდგა გაქვავებული, ვით უგრძნეულო. მახლობლად არაფერს ხედვიდა და განიცდიდა. მისი სული და გრძნობა ვითომც შორს სადმე გაფრენილაო და აქ მხოლოდ მკვდარი სხეული დაშთენილიყო. იოანე შავთელი გაკვირვებული უცქერდა მის სახეს და ვერარას ეტყოდა. უცბად ევლოგის ძარღვები აუკანკალდა, ზე ავარდა, დაეცა ძირს და საშინლად დაიყვირა: „ნუ იქნების, მეუფეო!"

შემდეგ ისევ აღიმართა და დადგა კვალად ბასიანისაკენ თვალმიპყრობილი და უძრავი. შორს ესმა უცნაური და ეჩვენა სანახავი. სახე აუმოძრავდა, თვალები გაუნათლდა, ხელები მაღლა აღაპყრა და ღალად ჰყო: „აჰა, დიდება ღმერთსა, განიხარებდეთ და იშვებდეთ, რამეთუ დაემხო მტერი!".

მიხვდა იოანე შავთელი, რომ იყო გამარჯვება ნუქარდინსა ზედა. ენება ყოვლისა წვრილად გაგება. მაგრამ ევლოგი ისევ უსულო და გაშეშებული გამხდარიყო, ხოლო აწ თვალნი სხვა მხარეს მიიქცევოდა — ერანისა და ხვარაზმეთისაკენ. მოისმა საკვირველი ხმა, რომელი ევლოგისას არა გვანდა: „ზეციერო, ზეციერო, შემიბრალე!". შეწყდა ხმა და მერმე კვლავ იტყოდა: „დედა ღვთისაო, ნუ ააღებ ხელს შენს წილხდომილ ქვეყანას ამას!".

იოანემ ევლოგის შეხედა, ერთიან გამოცვლილი, ოცი წლით სწრაფდაბერებული, მიწიერად აღარ სჩანდა. შეშინებული დაეკითხა:

— რა შიგან ვართ, ევლოგი? მაცნე ყოველი წაღმართი და უკუღმართი.

— ნუ გეშინის. უღამოა დღე თამარის — იყოს იგი გრძელი — და მზე მისი მადლით აღავსებს ჩვენს ნათესავს. პირველად რომ დაეცი — ეს იყო კნინღა სივლტოლად მიდრკენ ქართველნი. მერე მოხედა

ღმერთმა და იძლივენ ნუქარდინის სპანი და აწ გარბიან უკუქცეულნი და დაფრთხალნი.

— მერმე რა მოხდა?..

ევლოგიმ თავი დახარა. ვერა უპასუხა რა. საგონებელს მიეცა. შემდეგ თხოვა იოანეს: ეახელ პატრონს და ახარე ძლევამოსილობა მისი ლაშქრისაო. — თვითონ განშორდა, მიიმალა და მას მერმე იგი არავის უნახავს კაცთაგან*.

იოანე შავთელმა მყის შეატყობინა თამარს ევლოგისაგან წინასწარცნობილი დამარცხება სულტნისა; გაიკვირვებდნენ და იხარებდენ ყოველნი, და დასწერეს ჟამი იგი...

სპანი თამარისანი დიდხანს სდევნიდენ ნუქარდინის ძლეულ ლაშქარს და სადაც თვალი მიწვდებოდა, ტყეთა მსგავსად იხილვებოდენ ლტოლვილნი. მიუხდენ ბარგსა მათსა და ჰპოვეს სიდიდე ოქროსა და ვერცხლისა ჭურჭელთა, სიმრავლე აურაცხელი ნაქსოვთა, ოქროს სასმურნი, თვალმარგალიტნი, ლანკნები, პანაკები ლიგვინებისა; იყო ანგარიშ-მიუწდომელი ცხენი, ჯორი და აქლემი, კარავი და საფენელი.

წამოიღეს ალაფი უთვალავი, წამოასხეს ტყვენი მრავალნი, წარჩინებულნი და დიდებულნი, მოიღეს დროშა ნუქარდინისა და გამოგზავნეს მახარობელნი წინაშე თამარისა. მოეგება მათ მზისა შარავანდედი და წარმოუძღვა ტფილისისაკენ. გამოვიდა შესახვედრად მთელი ქალაქი, იყო ზეიმი და ღვთისა მადლის მიცემა, დღეობა და დიდება მეფისა — ერისა მადიდებელის.

ტყვენი თამარმა დიდი პატივით მიიღო, ნუგეშინისცა და ყოველთა შესატყვისად უწყალობა. ალაფითა აღავსო საგანძურნი სამეფონი — ოქროსა მიწისა მსგავსად შეასხმიდენ და თვალმარგალიტთა წყვით დასდებდენ — და გასცა მრავალი საბოძვარი გლახაკთა, ქვრივთა, ობოლთა და მიჰირვებულთა, შეამკო საქართველოს ეკლესიანი და მონასტრები, უბოძა უხვად ქსენონთა და სასწავლოთა სახლთა და წარგზავნა სიმდიდრე ქართველთა მონასტრებისათვის საბერძნეთსა, პალესტინესა და სირიაში, და სხვათაცა არა დააკლო რა.

---

* თამარის საქართველოს თანდათან უახლოვდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან გაძლიერებული ხვარაზმეთი, რომელმაც მე-12 საუკუნის ბოლოს უკვე მთელი ერანი დაიკავა. იმდროინდელი ქართველობა ალბათ ჰგრძნობდა ამის საფრთხეს. ევლოგის უკანასკნელი ჩვენება მისტიურად გამოხატავს იმ უბედურების განცდას, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს ხვარაზმელებისაგან თამარის გარდაცვალების ათი წლის შემდეგ.

6. მიცვალება

> არა თუ ოდენ საქართველო, არამედ ყოველი ქვეყანა ღირს იყო მეფობასა თამარისასა.
>
> ქართლის ცხოვრება

ტომნი და ერნი... ადიდებდიან.

—

ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა,
სად რომ დაკრძალვენ წმიდათ სხეულთა.

შავთელი

რუკნ-ედ-დინის დამარცხების შემდეგ მალე გარდაიცვალა დავით სოსლანი, ომთა შიგან მხნე, უხვი, მდაბალი, და სხვითა ყოვლითა სიკეთე-აღმატებული. ქართველთა კვლავ ილაშქრეს ხლათსა, სასტიკად დასაჯეს სულტანი არდებილისა ანისზე თავდასხმისა და იქაურ ქრისტიანეთა ამოწყვეტისათვის და ამხედრდენ რომ-გურსა, რომელი არს ხორასანი, გაიარეს მარანდა, თავრეჟი, ზანგანი, ყაზმინი და მიიწევნენ გურგანის ქალაქამდე. დაბრუნდენ გამარჯვებულნი და მოიღეს არმაღანი ურიცხვი და დასდვეს მეფესა წინაშე.

იყო მშვიდობა და წარმატება. თამარი დვინს იყო, ზაფხულ კოლას და ცელის ტბას, ზოგჯერ აფხაზეთს და გეგუთს და ცხუმს გარდავიდოდა. ამასა ესეთსა გაზეებასა და ამაღლებასა, სვე-სვიანობასა მოიწია ჟამი ვაებისა და იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა.

მეფე თამარ იმყოფებოდა ნაჭარმაგევს და წინაშე მისა იყვენ დიდებულნი, იურვოდა განაგებდა საქმეთა სამეფოსა. მუნ დგომის დროს გამოაჩნდა სენი გამაოხრებელი, რომელი დღითი დღე დამძიმდებოდა. დიდხანს ფარავდა, რათა არავინ შეაწუხოს, მაგრამ ვერა რა კურნება მიუდგა ჭირს და ვერცა ფრიადით რუდუნებითა დაუძლურებული დედობრივი აგებულება წინააღუდგა, მაშინ ღა განაცხადა, და შეწუხდენ ერთგულნი მისნი, რომ უგულებელ ჰყვეს ეგოდენი ტკივნეულობა. წამოიყვანეს კუბოთი ტფილისს და შემდგომად მცირედთა დღეთა, აქიმთა გამორჩევით, განვიდენ მაღნარს ჰაერისა სიკეთისათვის. გზები ყოველი ერით გაჭედილი იყო, მუხლმოდრეკილნი პირჯვარს იწერდენ, თამარს ღმერთს შეავედრებდენ და მის მიმკრთალს ჰაეროვან სახეს თვალებს ვერ მოაშორებდენ.

სენი უწყალო დიდად გაძნელდა და მოიყვანეს ისევ აგარაკთა ციხესა. შემოკრბენ ქვეყნისა უკეთესი მკურნალნი, ყოველთა აქიმობათა შინა განსწავლულნი, ხოლო უქმ იქმნა გამომძიებლობა მათისა ხელოვნებისა.

უღონოებამან მოიცვა ერნი და არა უწყოდენ, რა ქმნან. მოუთხრო-

ბელი მწუხარება იყო ყოველსა კიდესა, ლიტანიობა და ღამისთევა ეკლესიებსა და მონასტრებში, ცრემლთა დინება მდიდართა და გლახაკთა, სწორებით. მთავარნი იცემდენ პირსა, გლახაკნი იტყებდენ თავთა, ისხმიდიან ნაცარსა და მტვერსა, მოვიდოდენ და ევედრებოდენ ღმერთსა: მიიღე თავი ჩემი და შვილი ჩემი, ხოლო თამარი იქმნეს მშვიდობითო. მოჰქონდათ საკურნებელად ცოცხალი ლომის გულიდან ამოგლეჯილი ნაღველი, ვეფხის კბილი, გველეშაპის ძვალი, მიუვალ კლდეზე ამოსული ყვავილი, სხვა და სხვა უნახავი ბალახი, ციდან ჩამოვარდნილი კვიმატის ნატეხი, ძველი ხატი, წმიდათა ნაწილი, ზღვის შუაგულიდან ამოღებული კენჭი, უკვდავების წყაროს წყალი, ნოეს დარგული ვაზის ყურძნის წვენი. ეკითხებოდენ მკითხავებს, სალოსებს, განდეგილებს და დაყუდებულებს და ეძიებდენ სახსარს თამარის განკურნებისათვის. კაცი კაცს, მგზავრი მგზავრს რომ შეხვდებოდა, გამარჯვების ნაცვლად თამარის გამრთელებას ეტყოდა. თუ ვიეთნი შეიყრებოდენ, იმასა არჩევდენ, სნეულს რით ეშველებისო. თავის ჭირისათვის ტირილს არავინ ბედავდა, საკუთარი სიხარული არავის გაახარებდა.

ესრეთი ძიება იყო ყოვლისა ღონისა და ვაება უსაზომო. ვერაფერმა არგო მეფეს და ვერ მოიკეთა. დღემან იწყო მიდრეკა, მზემან დასვლა და იცვალა ფერი ჰაერმა. საქართველოს ცას გადმოადგენ ღრუბელნი. ღაწვთა ვარდოვანთა დაეტყო დაჭკნობა და თვალთა ტბაებრ მზისა შემცხრომელთა სიმრუდე დააჩნდა. მოუძლურდენ ხელნი, რომელნი გლახაკთა მსახურებისაგან აროდეს დაცხრომილა და შედრკენ ფერხნი, მარად კეთილისათვის მაშვრალნი.

ხედვიდა თამარ, რომ მოახლოვდა უკანასკნელი ჟამი მისი ამ სოფლიური ცხოვრებისა, მოუწოდა სამეფოსა ყოველთა ერთა, განიმტკიცა თავისი თავი და მხნედ მჯდომარე ესრედ ეტყოდა:

„— ძმანო ჩემნო და შვილნო, აწ აღესრულება განჩინება უზენაესი და წარვსდგები წინაშე მსაჯულისა საშინელისა, უსაშინელეს მეფეთა ქვეყნისათა. თქვენ ყოველნი თვით მოწამენი ხართ, რამეთუ მქონდა სიყვარული თქვენი ვით თავისა ჩემისა და სარგებელსა და სათნოსა თქვენსა არა დავაკლე, არა ვაუქმე გონება ჩემი საქმისათვის, არცა სიტკბოებამან ჟამიერმა მიმიზიდა და თქვენსა სიკეთესა და შემატებასა ვემსახურე, ვიდრე ვიყავ, განგებითა ღვთისათა, მეფე თქვენზედა. აწ წარვალ მამათა ჩემთა თანა, გზასა ჩემგან უცხოსა, ბრძანებითა საშინელითა და განყოფით საკვირველით, და გევედრები ყოველთა, მარადის კეთილად მახსენებელნი იყვნეთ ჩემი. მკვიდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებთ შვილთა გიორგის და რუსუდანს, რომელნი მომცა ღმერთმა. ეგენი მიიღეთ ჩემ წილ და მაგათ აღმოგივსონ დაკლებული ჩემი“.

მოუხმო ძესა გიორგის და უთხრა:

— „შვილო ჩემო საყვარელო, აწ განმზადებულ არს შენთვის ტახტი, რომელი აღაგეს და შეამკეს შენთა წინაპართა, მეფეთა სახელოვანთა და დიდებულთა. იყოს იგი შენთვის ძვირფასი არა ოდენ იმ სიმაღლისა და ძლიერებისათვის, რომელსა მოგანიჭებს, არამედ ღვაწლისათვის, რომელსა შენგან მოითხოვს. იყოს წმინდა და აღვედ ზედ აღსავსე სიმდაბლით უზომოთი, სულისა სიდიადით შეუსწორებელით, ლმობიერებით და მოწყალებით, უმანკოებით და უსიცრუო სიწრფოებით, და შეიმოსე სამართალი და მადლი და სიყვარული ერისა, რომელი მოგანდო ღმერთმა.

არის ტახტი ორი: ერთი სოფლიური, ხილული და მეორე უხილავი, ზეციური. პირველსა დაემკვიდრება ყოველი მეფე, კეთილი და ბოროტიც, ღირსი და უღირსიც. და მოიხვეჭს ამ ქვეყნიურს სიმდიდრეს და პატივს. ხოლო მეორესა ზედა აღვალს მეფე გონიერი, სულით წმიდა, ღვთის მოშიში, წყნარი, ცნობილი, ქვეყნის ერთგული, რომელი განადიდებს სხვას, გასცემს და არა თავისთვის მიითვლის. შვილო ჩემო, აღვედ ამ ტახტზე და მით იუფლე ტახტსა მიწიერსა ზედა“...

თამარი დადუმდა, ძალა შეუსუსტდა. ყველანი მწარედ იცრემლებოდენ.

მერე უკანასკნელი ხმა ამოიღო, ყოველთა მშვიდობა მისცა და ესრედ ჰრქვა:

— „ქრისტე, ღმერთო ჩემო, მხოლო დაუსრულებელო მეფეო ცათა და ქვეყნისაო, შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომეც, და მერმე სულსა ჩემსა“.

თქვა და დაიძინა თამარ ძილი მართალთა, თვესა იანვარსა თვრამეტსა, დღესა ოთხშაბათსა, და აღესრულა მზე საქართველოსა.

ელვის სისწრაფით გავიდა ამბავი ვაებისა და მოეფინა სამეფოს. იყო გლოვა უნუგეშინისცემო, რამეთუ ვინაა ნუგეშინის-მცემელი, ოდეს მწუხარება ზოგად იყოს ყოველთათვის. ფლასი და ძაძა იქმნა სამოსელი დიდთა და მცირეთა. საჭმელს გემო დაეკარგა და წყალი წყურვილს აღარა ჰკლავდა. ვაებდა ცა და სოფელი. სტიროდენ მოხუცნი, რომელთა თამარი იყო კანონ, სტიროდენ ჭაბუკნი, რომელთა იყო ქვერთხი რკინისა, გლოვობდენ კეთილ-მავალნი სიბრძნითა დამცველსა, გონიერნი — განმანათლებელსა და უგუნურნი — მწრთვნელსა, უწესონი და დეზ-უდებნი — გზისა მაჩვენებელსა. ვაებდენ მთავარნი, რომელთა ასწავლა სიმართლით სვლა, ერნი, რომელნი განამტკიცა, და მონაზონნი, რომელთა მოიღეს წესიერი მოქალაქობა. მოსთქვამდენ ქვრივ-ობოლნი და გლახაკნი, რომელთა იყო მამა შემწყნარებელი და გამკითხველი.

ერთი მეორეს სხვას არრას ეტყოდა, თუ არა თამარის სიბრძნის და კეთილობის ამბავს. სახლთა ზედა თამარის ქებას დასწერდენ აკროსტიხულად; ბეჭედსა, დანასა და არგანს მისი სახელის ამოჭრით შეამკობდენ, მელექსენი თამარის შესხმას გამოთქმიდენ და მგალობელნი საგალობელს შესთხზავდენ. ყანის მუშა, სანამ თოხს ხელში აიღებდა, ჯერ თამარის სახელს ახსენებდა, მწყემსი სალამურზე მის საქმეთ დაამღერებდა და მენავენი ზღვაზე გზას მისი ამბებით შეიმოკლებდენ.

თამარის მიცვალების ხმა ჩავიდა მაშრიყს და მაღრიბს. ხვარაზმელი და ხორასნელი, ინდოელი და სპარს-ერაყელი დიდი მეფენი შერცხვენილად რაცხდენ თავს, რომ არ ეღირსათ ბედკეთილობა მისი ხილვისა... მეებნენი და მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკობდენ. ეცნო ამბავი ტრაპიზონის მეფეს ალექსის და ფრიად დაუმძიმდა; მიწვდა კოსტანტინეპოლს ლათინთა კეისარს ანრის დიდისა საქრისტიანო ქვეყნის საქართველოს გლოვიარება; გაიგეს იერუსალემს და ანტიოქიას, შეწუხდენ ჯვაროსანნი და ტრუბადურები ფრანგისტანისა ლამაზს ლექსებს წარმოსთქვამდენ სევდიანი ხმით სარკინოზთა შემმუსვრელის თამარ ქალისათვის.

ესრედ ყოველი კიდე სავსე იყო თამარის ქებითა და ყოველი ენა ადიდებდა მას...

მიცვალებულის გვამი მცირეთა დღეთა მცხეთას დაასვენეს და მერმე დაამკვიდრეს გელათს, დიდებად მუნ დამკვიდრებულთა პაპათა და მამათა მისთა. ხოლო მას ჟამს ჩამოვიდა მთიდან მოხუცი ვინმე განდეგილი, რომელი ვიდოდა სოფლიდან სოფლად და იტყოდა:

— თამარი არ მომკვდარა, იგი ამაღლდა ზეცად, ვით მაცხოვარი, და აწ მჯდომარე არს მამისა ღვთისა თანა, მარად მეოხი საქართველოსათვის.

VIII

ჯალალედინ

მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეში შექმნილი ძლიერი საქართველო, რომელიც თამარის დროს უდიდესად ამაღლდა პოლიტიკურად და კულტურულად, მონგოლთა შემოსევამ ერთიან დაამსხვრია და კატასთროფულ მდგომარეობამდე მიიყვანა. ხოლო მონგოლთა წინამორბედი იყო ჯალალედინი (ჯელალ-ედ-დინ), ხორასანის სულტანი,

ხვარაზმშას შვილი, რომელმაც საშინლად ააოხრა ჩვენი ქვეყანა.

. მონგოლთაგან ძლეულმა სულტანმა დასტოვა თავისი სამეფო და აურიცხველი ჯარით მოადგა საქართველოს და ქართველთა ლაშქრის ამირსპასალარს, ავაქ ათაბაგს, იოანე მხარგძელის შვილს, ასე აუწყა: „საქართველოს დასარბევად არ მოვსულვარ, არამედ ზავისა და მშვიდობისათვის. მაგრამ თქვენ მსწრაფლ საომრად აღიჭურვენით და ფიცხლად შემებენით და არ იქმნა მშვიდობა. გსმენია გვარი და ნათესაი ჩემი, სიდიდე სამეფოსა ჩემისა და სიმრავლე. მე ვარ მაღლისა და დიდისა ხვარაზმშას ძე და ჩემსა ქვეშე იყო სპარსეთი, ადარბადაგანი, თურანი, ხატაეთი და ყოველი აღმოსავლეთი. ხოლო გამოჩნდენ ქვეყანასა ჩინეთისასა, ადგილსა ყარაყურუმად წოდებულსა, კაცნი ვინმე საკვირველნი, უცხო ენისა და ცხოვრებისა, რომელთა ყოველი აღმოსავლეთი დაიმორჩილეს და მრავალნი ხელმწიფენი დაამხეს, და ჰყავთ ბრძანებლად კაცი მხნე და მეცნიერი ბრძოლისა და ჰრქვია სახელად ჩინგიზ-ყაენი. ამან რა ხელთ იგდო ხატაეთი, წარვემართე დიდითა ლაშქრითა და მრავალჯერ შევიბენით. მაგრამ იქმნა ცვალება ხვარაზმშას სახლის სიმხნე-ქველობისა და ვიძლიენით. ვცან, რომ არღა იყო ღონე, დავტოვე ქვეყანა და სამეფო ჩემი, სიმდიდრე დაულეველი და წარმოვედ საქართველოსკენ. გამიგონია სიმაგრე საქართველოს ნათესავისა (ერისა) და მნებავს, რათა შევერთდეთ და შევითქვნეთ ფიცითა მტკიცით და ვებრძოლოთ ჩვენს მტრებს. მეფე თქვენი დედა-კაცია, იყოს იგი ცოლად ჩემად და მე ქმარი მისი და მეფედ თქვენზედა; და თუ ესე არ ჰყოთ, მოოხრდეს სამეფო თქვენი!“

ავაქ ათაბაგმა ყოველივე რუსუდან მეფეს* შეატყობინა, ხოლო მან გაგონებაც არ ინება.

მაშინ ჯალალედინ აიყარა სრულითა ლაშქრითა და წარმოემართა ტფილისის ასაღებად. რუსუდანი ქუთაისს გადავიდა და ტფილისის მცველად დასტოვა ჯარი და ორნი თავადნი ძმანი მემნა და ბოცო. ქართველებმა ბრწყინვალე ბრძოლა აჩვენეს მტერს და უიმედო იყო ქალაქის აღება. ხოლო ერთს ღამეს ტფილისში მყოფთა სპარსთა იდუმლად მოკლეს მემნა და ღალატით კარი გაუღეს სულტანს.

ტფილისში შევარდნილმა ჯალალედინის ლაშქარმა (1226) დაიწყო უწყალოთ ხოცვა და ჟლეტა. „ცრემლთა მიერ აღვივსები, სწერს მემატიანე: რამეთუ ესოდენ მძვინვარედ ხოცდეს, რომ ჩჩვილნიცა დედისა ძუძუთაგან აღიტაციან და წინაშე დედისა დაანარცხიან; რომელსამე თვალნი წარსცვივდიან, რომელსამე ტვინი დაითხის, და მერმე დედანი მოიკვლოდიან. ბერნი უწყალოთ ფოლორცთა (მოედანთა) შინა

* თამარის შემდეგ მეფობდა მისი ძე გიორგი ლაშა, ხოლო ამის შემდგომ თამარის ქალი რუსუდანი (1223-47).

ცხენითა მიერ დაითრგუნებოდეს და ჭაბუკნი დაეკვეთებოდეს. სისხლისა მდინარენი დიოდეს. თავი ტანისაგან შორებული და თმა ნაწლევთა შიგან აღრეული, და დედაკაცი და მამაკაცი ურთერთს აღრეული მტვერში ცხენისა ფეხითა იზილებოდეს. რომელნიმე დანითა ილლიასა დასობილი, სხვანი მკერდსა დაცემითა და სხვანი მუცელსა — ზურგსა განიგმირებოდეს!..

„იყო ტირილი, ტკივილი და ზახილი და უზენარო ვაება და საზარელთა ხმათაგან იძროდა ქალაქი ყოველი, რამეთუ უმრავლესსა ერსა ვითა ცხოვართა შეკრებდენ და ხოცდენ; და ხედვიდეს ზოგნი საყვარელთა შვილთა და ზოგნი ძმათა და მამათა, და ქმარნი ცოლთა, უპატიოთ მკვდრად მდებარეთა, ცხენთა მიერ დათრგუნვილთა და ძაღლთა მიერ ზიდულთა. და მღვდელნი და დიაკონნი და მონაზონნი ეკლესიებში, თვით ხატთა და ჯვართა თანა შეიმუსვროდეს და დაიკვლოდეს“.

„სავსე იყო ფოლორცნი, ხრამნი და ხნარცვნი მოკლულთაგან და უმთავრესთა მკვდართა მტკვარსა შთაუტოვებდეს“.

ესე არ იკმარა სულტანმა, გადმოანგრია გუმბათი სიონისა, გამოიტანა ხატნი ქრისტესი და ღვთის მშობლისა, დაადებინა ხიდისა შუა ალაგას პირაღმართ და უბრძანა ქართველთა დედათა და მამათა შეგინება ხატთა, და ვინც წინააღუდგებოდა, წარკვეთდენ თავსა და გარდაისროდენ მდინარეში. მრავალნი შედრკნენ და განუდგენ მამა-პაპათა რჯულს, ხოლო მრავალთა მოიპოვეს სიმხნევე და მიიღეს გვირგვინი წამებისა, და რიცხვი მოკლულთა იყო არა ნაკლებ ასი ათასისა. და შეიღება წითლად მტკვარი და ნაპირნი მისნი...

ხუთ წელს ბატონობდა ჯალალედინი საქართველოში, არბევდა და აოხრებდა. არ დასცხრნენ ქართველნი, შეიკრიბნენ სპანი იმერთა და ამერთა, ჰერთა, კახთა, სომხითართა, ჯავახთა, მესხთა, ტაოელთა, აფხაზთა, ჯიქთა, მოირთეს ოვსნი და დურძუკნი და ჰქმნეს კვლავ ბრძოლა სასტიკი და პირველსა ბრძოლასა სძლიეს, ხოლო იძლივნენ მეორედ.

მცირესა ჟამსა მოიწივნენ მონგოლნი და მთავარნი მათნი, ნოინნი — ჭარმაღან, ჩაღატარ, იოსერ და ბინჩვის გადმოვიდენ რახზე (არაქსი) და მოადგნენ განძას (განჯას).

რა სცნა ესე სულტანმა, გაიქცა საბერძნეთისკენ და მიაწია ბასიანს. განიბნა და დაიფანტა ლაშქარი მისი და დარჩა ჯალალედინ მარტო ერთ სოფელში და მიიძინა ხის ძირს. მოვიდა მეცხვარე ვინმე და მოკლა, წაიღო ყოველი სამკაული და დააგდო მძორი დიდისა ხელმწიფისა ვითარცა რამ ნადირისა.

„ამაო იქმნეს სპანი მისნი და სიმტკიცე ქედისა მათისა და წყობათა შინა მძლეობა და გარდარეული სიმდიდრე მათი“.

ასე თავდება მატიანე.

IX

ცოტნე დადიანი

მრავალი ბრძოლა გადახდათ ქართველებს, მაგრამ ვერ გაუმკლავდენ მონგოლთა მოზღვავებულ ლაშქარს და იძლივნენ. მეფე რუსუდანი* ქუთაისს გადაიხიზნა, სადაც ვერ მიწვდნენ მტერნი, ხოლო მოედვენ ამერეთს, ვითა მკალნი საოხრებლად და ხოცვად: ჰერეთი, კახეთი, სომხეთი, ქართლი, სამცხე და ჯავახეთი კარნუ-ქალაქამდე (არზრუმი) ტყვეობასა და ოხრებასა მწარესა შინა იყო. არბევდენ, ხოცდენ მამათა და დედათა და უტურფესთა ვაჟთა და ქალთა ტყვედ წაასხმიდენ და არსად იყო ლხინება, შეწევნა და ნუგეშინის ცემა. სრულიად გადამწვარი ტფილისი მტერთ დაიკავეს და ახლად აშენებდენ, და ზამთარს ბარდავს დაბანაკდებოდენ, მტკვრის პირთა გაგამდის. გააწერეს უზომო გადასახადი ყოველსა უძრავსა და მოძრავსა და თვითეულს ცხრა მოსახლეს აიძულებდენ ერთი მეომრის მოცემას. და იბრძოდენ ქართველნი განუწყვეტლივ მონგოლთა ლაშქარში შორეულ სამეფოთა დასაპყრობად.

ამა ულხინებელ ჭირთაგან შევიწროებულნი თავადნი ამერისანი დანებდენ მონგოლთა და დაუზავდა რუსუდანიც. გადმოვიდა ტფილისს და წარუვლინა მთავართა ნოინთა ძე თვისი დავით და ითხოვა დამტკიცება მეფედ. ნოინთა კეთილად შეიწყნარეს, პატივი სცეს და უწოდეს ნარინ (გონიერი). რამდენიმე ხნის შემდგომად ბათუ ყაენს მიუვლინეს, სადაც ორი წელი დაჰყო, და იმან კიდევ ყარაყურუმს გაგზავნა დიდ მანგუ ყაენთან.

მეფე რუსუდანი ფრიად დაღონდა და მწარე საგონებელს მიეცა შვილისა დაკარგვისათვის უცხოთა ნათესავთა შორის და უცნაურთა და შორთა ქვეყანათა. ტკივილთა და მწუხარებათა მოიცვეს და დაუშრეტელთა ცრემლთა მოადინებდა, რომ უღალატა საყვარელი ძმის ანდერძსა და საკუთარი შვილის გამეფებისათვის ძმისწული დასაღუპად გაუგზავნა სულტანს გაიათ-ედ-დინს, თავის სიძეს. დარდისაგან დაავადმყოფდა და მალე გარდაიცვალა.

სცნეს თურქთა ქართველთა უმეფობა და ლაშქართა საქართველოსათა შორს ყოფნა მონგოლთა ჯარში, შემოესიენ ვალაშქერთს და იქმნა ომი ძლიერი და განდევნეს ქართველებმა. ხოლო აღიძრენ სხვანიცა ნათესავნი საოხრებლად ქვეყნისა ჩვენისა...

---

* გიორგი ლაშას მცირეწლოვანი შვილი დავითი დარჩა და თავის დას რუსუდანს უანდერძა, ტახტი მისთვის გადაეცა, როცა წამოიზრდებოდა. ხოლო რუსუდანს რომ საკუთარი შვილი ეყოლა — მასაც დავითი დაარქვეს — ძმისწულს დაღუპვა მოუნდომა და თავისი ძე მემკვიდრედ გამოაცხადა.

ამა შფოთსა და გაჭირვებაში რომ იყო საქართველო, შეიკრიბნენ კოხტისა თავსა ყოველნი მთავარნი იმერნი და ამერნი: მანდატურთა უხუცესი, დიდი და პატივოსანი შანშე, ეგარსლან — კაცი საკვირველი და მხედრობისა ცოდნითა აღსავსე, რომელსა კნინღა სახელი მეფობისა მიეღო, დადიანი ცოტნე — კაცი პატივოსანი და სათნოებიანი და ბრძოლათა შინა სახელოვანი, შოთა ერისთავი ჰერეთისა, რომელსა მანისა ფერობისათვის კუპრობით უხმობდენ*, ვარამ გაგელი, სარგის თმოგველი — კაცი სწავლული და რიტორი, ფილოსოფოსი და მრავალღონე, თორელი გამრეკელი, ყვარყვარე ჯაყელი და ყოველნი ჰერ-კახნი, ქართველნი, მესხნი, ტაოელნი, და იტყოდენ:

„რამე ვყოთ, რამეთუ არღარა არს ნათესავი მეფეთა, რათა წინამძღვარ გვექმნას და ვებრძოლოთ თათართა (მონგოლთა). ჩვენ ერთ-ერთისაგან განდგომილ ვართ და ვერ ძალგვიძს წინააღმდგომად მტერთა და იგინი ბოროტად გვაჭირვებენ და ყოველთა წელთა ომში წაგვასხმენ, ყოველთა ჭირთა და სიავეთა შესამთხვეველად. არღა არს ღონე ჩვენი და ჩვენ უმეფონი ვართ — ერთი დავით, ძე გიორგისა, დაკარგულია და არავინ უწყის, ცოცხალია თუ მკვდარი. მეორე დავითი, ძე რუსუდანისა, ყარაყურუმსაა ყაენთან დაკავებული. შევერთდეთ და შევითქვნეთ, ვებრძოლოთ მონგოლთა და დავიხსნათ ქვეყანა ჩვენი“.

გადასწყვიტეს ომი, დადვეს ფიცი და დანიშნეს პაემანი. ამაზე გაიყარნენ, და იმერნი, რომელნი შორიდან იყვნენ, დადიანი ცოტნე, ბედიანი და რაჭის ერისთავი მყისვე წავიდენ მოსამზადებლად.

ხოლო მსტოვარმა (ჯაშუში, მზვერავი) ქართველთა შეკრებულება მონგოლთა შეატყობინა. მოვიდენ ესენი კოხტისა თავს და შეთქმულნი ამერნი ჯერ კიდევ იქ იყვნენ. ლაშქარი არ შეეყარათ და ვერ წინააღუდგენ. შეიპყრეს ქართველნი დიდებულნი და წაასხეს ანისისაკენ ჩარმაღან ნოინის წინაშე.

ჰკითხა ნოინმა: „რა არს მიზეზი შეკრებისა თქვენისა, თუ არა განდგომილება?“ ქართველთა მიუგეს: „არგანდგომად შევიკრიბენით, არამედ რათა განვაგოთ საქმე თქვენი და ხარკი გაგიჩინოთ“.

ნოინმა არ ირწმუნა. ბრძანა მათი განძარცვა, მხართ გაკვრა და შიშველთა თაფლის წაცხება და სიცხეში დასხდომა. ყოველ დღე დაჰკითხეთ მიზეზი შეკრებისა და თუ არ აღიარონ, სიკვდილს მიეცით ყველანიო. ამა ჭირსა და სატანჯველსა იყვნენ რამდენიმე დღე: არცა ირწმუნებდენ მათ სიტყვას, არცა განათავისუფლებდენ.

ხოლო რადგან პაემანი მოეახლა, მოვიდა დადიანი ცოტნე დანიშნულს ადგილს ლაშქრით. შეიტყო წასხმა თავადთა საქართველოსათა

* სხვა ვარიანტში სწერია: „რომელსა სიშავისათვის კოპრობით უხმობდენ“.

ანისად და მათი სატანჯველში ყოფნა და მწუხარე იქმნა უზომოთ. დაბრუნა ლაშქარი უკან და ორითა კაცითა წავიდა ანისს თავის დასადებად მეგობართათვის.

რომ იხილა წარჩინებულნი ქართველნი უპატიოთ მსხდომარენი და სასიკვდილოდ განწირულნი, გარდახტა ცხენიდან, გაშიშვლდა, შეიკრა მზარნი და დაჯდა მეგობართა თანა.

მცველთა რა ესე ნახეს, მსწრაფლ ნოინთა შეატყობინეს. მათ დაუზახნეს ცოტნე დადიანს და ჰკითხეს მისი მოსვლის მიზეზი.

დადიანი ეტყოდა: „ჩვენ ყოველნი შევიკრიბენით, რათა განვაგოთ ხარაჯა თქვენი და ბრძანება თქვენი აღვასრულოთ. გამოიკითხეთ: თუ რამე სასიკვდილო ჩავიდინეთ, მეცა მოვკვდე ჩემთა მეგობართა თანა და თუ ეგვნი უბრალონი არიან, მეცა უბრალოდ შევირაცხო“.

გაკვირდენ ნოინნი და სთქვეს: „ვინაიდგან ნათესავნი ქართველნი ესოდენ კეთილ არიან და არა ეცრუებიან ერთ-ერთსა და კაცი ესე დიდებული აფხაზეთით მოვიდა, რათა დადვას სიცოცხლე თვისი მოყვასთათვის და თავი გასწიროს სასიკვდილოდ, არა არს სიცრუე მათ შორის. ამიტომ განუტეოთ ყოველნი და ნურღარა ვსჯით“.

და გაუშვეს წარჩინებულნი საქართველოსანი და წარვიდენ თვისთვისად.

X

დიმიტრი თავდადებული

მეფე დიმიტრი, შვილისშვილი გიორგი ლაშასი, იყო ტანითა ახოვანი, ჰაეროვანი, შესახედავად ტურფა, სრული ცხენოსანი და მშვილდოსანი რჩეული; იყო უხვი, გლახაკთა, ქვრივთა და დავრდომილთა მოწყალე: ღამე დაივლიდა ქალაქს და საკუთარი ხელით განიკითხავდა ყოველთა.

მსახურებდა იგიცა მონგოლთა ყაინს და ეახლებოდა თავის ჯარით, ვითარცა წინამბრძოლი ხან ეგვიპტეს, ხან ხორასანს, ხან საბერძნეთში, და იყო დიდსა შევიწროებასა.

თანდათან ვრცელდებოდა უცხოთა ჩვეულებანი ქართველთა შორის: გაირყვნა ერი, დასტოვეს ძველი ზნე, გახშირდა მრავალცოლიანობა და თვით მეფე დიმიტრიც მიდრკა და ჰყავდა სამი ცოლი: ტრაპიზონის

მეფის ქალი, ბექა ჯაყელისა და ერთიც მონგოლის. თვისი ასული რუსუდანიც ნოინის ბუღას შვილს მიათხოვა. ამაოდ წინააღუდგებოდენ ესეთს განდგომილებას კათალიკოზი და სხვანი მოძღვარნი ეკლესიისანი...

მოხდა დიდი აღრევა მონგოლთა შორის. იყო ყაინი არღუნ; შესწამა ღალატი ნოინთა და გასცა ბრძანება მათი დახოცვისა. შეიპყრეს და მოაკვდინეს განუკითხავად უფროსი ნოინი ბუღა და ყოველნი ნათესავნი მისნი, წარვიდენ ყაინის კაცნი ყოველსა მის საბრძანებელს და შეიქნა მოსვრა და კვლა ნოინთა.

განრისხებულმა არღუნმა დიმიტრისთანაც წარმოავლინა ელჩი და ურდოში გაიწვია. მეფემ რომ ნოინთა ამბავი სცნა და ნამეტურ თავის მზახლის და მფარველის ბუღასი, დიდად დაუმძიმდა.

მოუწოდა კათალიკოზსა, ეპისკოპოზთა და ყოველთა მთავართა და ბრძანა: „აწ განრისხებულ არს ყაინი და მთავარნი მისნი მოუწყვედიან და მეც მიწოდს წინაშე მისსა. ვგონებ ბოროტისა ყოფასა: თუ არ წარვიდე ურდოსა და გარდავიმალო მთიულეთს სიმაგრეთა შინა და დავიცვა თავი ჩემი, მთელი სამეფო ხელთ დარჩება და რამდენი ქართველი სიკვდილს მიეცემა — ტყვე იქნება, რამდენი ეკლესია შეიგინება და მოოხრდება! და უკეთუ წარვიდე ყაინთან, დასტურად ვიცი, მომკლავს. აწ სიბრძნითა თქვენითა განაგეთ... მე ესრეთ ვგონებ: რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკვდეს, და ტვირთმძიმე განვიდე სოფლისა ამისგან. მნებავს, რათა წარვიდე წინაშე ყაინისა და იყოს ნება ღვთისა. უკეთუ მე მომკლან, ვგონებ ქვეყანა უვნებლად დარჩეს“.

ვითარ ესმათ ესე კათალიკოზსა, მოძღვართა და წარჩინებულთა, შეწუხდენ ფრიად და ესრეთ პასუხი უგეს:

„გაშოროს ღმერთმან მოკვლა თათართაგან: მოოხრდეს ქვეყანა, შვილნი შენნი მიმოდაიბნევიან. თუ ქვეყანაცა დაშთების, ვინ არს ნაცვალი შენი! ჩვენ გირჩევთ, წარვიდეთ სიმაგრეთა მთიულეთისათა ან აფხაზთასა, ვით ქმნა მამამან შენმა და არა საჭირო არს განწირვა თავისა შენისა და ჩვენ ყოველნი მტკიცედ ვართ ერთგულებასა“.

მეფემ ჰრქვა: „ერთგულებისა და სიყვარულისათვის ჩემისა იტყვით ამას. ხოლო მე მეწყალვის ერი უბრალო, ვითარცა ცხოვარი უღონო, რომლისთვის არსადაა ნუგეშინისცემა. მე დავდებ თავსა ჩემსა ერისათვის ჩემისა და არ დავიშლი ურდოსა წასვლას“.

მაშინ გაკვირვებულნი ყოველნი ზეადგენ, თაყვანი სცეს მეფესა და ვერა უპასუხეს რა.

წავიდა მეფე ურდოს და წარიტანა კათალიკოზი და ვიეთნიმე დიდებულნი. დარჩენილთა შეავედრა შვილნი მისი, ხოლო ძე დავით წა-

რიყვანა, რათა ყაინი უეჭველ იქნეს და ირწმუნოს ერთგულობა მისი. გზაში შემოხვდა ნოინი ერთი, ყაინის წარმოგზავნილი, რომელმაც შეიპყრო და ეგრე მიიყვანა არღუნის წინაშე.

და როდესაც შეპყრობილი იყო, ღამე ფარულად მოვიდნენ მთავარნი საქართველოსანი და ამცნეს: „მზად არიან ცხენნი მარბენალნი და გავიქცეთ ხელთაგან ამათთა". მეფემ კვლავ უპასუხა: „პირველვე ვუწყოდი სიკვდილი ჩემი, ხოლო დავდე თავი ჩემი ერისათვის ჩემისა".

რა გათენდა, ჰგვემეს კვერთხითა და წარიყვანეს სამსჯავროსა სახლსა, ჰკითხვიდენ და ვერა ბრალი ჰპოვეს. მაგრამ ყაინმა ბრძანა სიკვდილი და მოვიდენ თორმეტნი მხედარნი, რათა წარიყვანონ და სიკვდილსა მისცენ.

მეფე არ შეკრთა ოდნავად, სიკვდილისა მომლოდინე და მოღიმარითა სახითა მოიკითხა და გამოეთხოვა მთავართა, რომელნი მოსულიყვნენ მის სანუგეშებლად. შეევედრა ერთგულთ: „იღვაწეთ, რათა არა მოიკლას ძე ჩემი მცირე დავით გულისწყრომითა აღსავსე ყაინისაგან". და უნებლიედ ცრემლი მოადგა თვალებზე. დიდებულთა ტირილი იწყეს და გამოვიდენ გარედ.

ილოცა მეფემ და ეზიარა კათოლიკოზისაგან. შემდგომად შესვეს ცხენზე და მიიყვანეს ადგილსა სიკვდილისა. ევედრა მტარვალთა, რათა ილოცოს მცირედ კიდევ და ილოცვიდა ცრემლითა ცხარითა. და რა დაასრულა ლოცვა, წარუპყრა ქედი მტარვალთ და მოკვეთეს თავი (1289 წ.).

მის გვამს მონგოლთა მცველნი მიუყენეს, რათა არა წარიღონ ქართველებმა. ხოლო კათალიკოზმა და მეფის მოძღვარმა მოისყიდეს კაცნი, მოიპარეს გვამი და მალულად გამოატანეს ტფილისელთა მეთევზეთ, რომელთა დატვირთეს თევზთან ერთად. მოასვენეს და დაკრძალეს მცხეთას სამარხოსა მეფეთასა.

XI

ბ ე ჭ ა ჯ ა ყ ე ლ ი

მონგოლებმა რომ დიმიტრი მეფე მოჰკლეს, აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე იმერეთიდან გადმოყვანილი, დავით ნარინის შვილი, ვახტანგი დასვეს. იგი მალე გარდაიცვალა და მეფობა დიმიტრის ძეს დავითს დაუმტკიცეს. დავითი თავში ერთგულად მსახურებდა მონგოლთ, ხოლო შემდეგ განუდგა და რამდენჯერ არ მიიწვია ყაინმა, რამ-

დენი მოციქული არ მიუგზავნა, ურდოში არ ეახლა და წინააღმდეგობასაც უწევდა. მაშინ ყაინმა ჯერ მის მცირეწლოვან ძმას გიორგის მისცა მეფობა და მერე მის მეორე ძმას ვახტანგსაც დაუმტკიცა. ამას დიდი აღრევა მოჰყვა. ზოგნი დიდებულნი ერთ მეფესთან იყვნენ, ზოგნი მეორესთან და ზოგნი კიდევ ყაინს მსახურებდენ. მონგოლნი ურჩი დავითის დამორჩილებას ცდილობდენ და ქვეყანას არბევდენ, აოხრებდენ. ერის ყოფა აუტანელი შეიქნა. არც რა ითესებოდა, არც რა შენდებოდა და ისეთი სიმშილობა ჩამოვარდა, რომ „მძორსა არაწმინდასა ურიდად ჭამდეს; სავსე იყვნეს უბანნი და ფოლორცნი, გზანი და მინდორნი, ქალაქნი და სოფელნი მკვდრებითა, და უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდეს სამცხეს, სადაც იგი იპოვებოდა პური საყიდლად“.

სამცხე ფრიად განდიდებული იყო იმ დროს (მე-14 ს. დამდეგს), შეიცავდა თვით სამცხეს, აჭარას, შავშეთს, კლარჯეთს, ჭანეთს, ტაოს, არტანს, კოლას, კარს (ყარსს). ათაბეგი ბექა ჯაყელი თითქმის დამოუკიდებელი იყო და არ ეახლებოდა არც ყაინს, არც მეფესა. მისი ერთი ქალი ტრაპიზონის მეფის ალექსი კომნიანოსის ცოლი იყო, მეორე, ნათელა, დიმიტრი მეფეს ჰყავდა. ბექას სამფლობელოში შედარებით მეტი მყუდროება და წესიერება სუფევდა, თუმცაღა არც იგი განთავისუფლებულიყო სრულიად მონგოლთა რბევისაგან.

ხოლო სამცხეს დიდი განსაცდელი დაატყდა მეორე მხრიდან. სამხრეთიდან მოულოდნელად შემოესიენ თურქნი, მოაწიეს ბასიანსა და ტაომდე, ყველაფერი გაანადგურეს და მრავალი ერი ამოსწყვიტეს. თორთომის ციხის ძირს ერისთავმა თაყა ფანასკერტელმა დიდი ბრძოლა უყო და შეაჩერა მტერი. ბექამ რა ამბავი გაიგო, სწრაფად სპანი შეკრიფა, მაგრამ თურქნი უკან გაბრუნდენ. მაშინ ბექა შეუდგა მტკიცე სამზადისს, რათა მკაცრად დაესაჯა თავდამსხმელნი. მოუწოდა სამცხისა ყოველთა წარჩინებულთა და ესე ჰრქვა:

„ისმინეთ, მთავარნო საქართველოსანო, ძმანო და თანამონათესავნო ჩემნო, სიტყვა ჩემი. რამეთუ დიდმან და სახელოვანმან, სკიპტრისა და პორფირისა მქონებელთა შორის უმეტეს განთქმულმან მეფემან დავით (აღმაშენებელმა) დასცა და დაამხო ძლიერება თურქთა ნათესავისა და აოტნა სამეფოსაგან მისისა, მიერ ჟამითგან აქამომდე არღარა ჩენილ არიან თურქნი. აწ კვალად აღიძრენ მძვინვარედ და მოაოხრეს ტაო და ურიცხვი სული ტყვე ჰყვეს და მოსწყვიდეს, და კვალად გამზადებულ არიან ბოროტის ყოფად და მოოხრებად. ვინაითგან მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართა (მონგოლთა) და კვალად პირნი და თავნი საქართველოსანი განდგომილან, და არავინ არს წინააღმდგომ თურქთა, ისმინეთ ჩემი, ტომნო და ერთნებანო:

„შეეკრბეთ ყოვლითა ძალითა ჩვენითა და მივმართოთ თურქთა და

არა მივსცნეთ თავნი და შვილნი ჩვენნი, და ღმერთმან მოგვცეს ძლევა მათზედა, ვითარცა მისცა მამათა ჩვენთა. დავსდვათ თავი ჩვენი სჯულისა შეუგინებელობისათვის და ძმათა ჩვენთათვის“,

ვითარ ესმათ ესე მთავართა და სპათა ბექასათა, სიხარულით დაემოწმენ და დააპირეს ლაშქრობა თურქთა ზედა.

მოახლოვდა ზაფხული და იწყეს თურქთა შემოსევა. ამოვიდენ ჰარხალის მთამდე და მუნ დაბანაკდენ. მათმა მთავარმა აზატ-მოსემ (მუსახანმა) წარავლინა მხედრობა ვაშლოვანს ტყვევნად და თვით განიზრახავდა ტაოსა და ქართლს გადასვლას. ვაშლოვანში თურქებს ბექას განწყობილნი მეომარნი დახვდენ სიმაგრეთა შინა. იქნა ომი ძლიერი, უკუაქციეს თურქნი და მოსწყვიტეს მრავალი. ფრიად განიხარა ბექამ თურქთა ვაშლოვანიდან გაქცევით და წარისწრაფა მათ მთავარ ბანაკისაკენ. ხოლო განრისხებულმა აზატ-მოსემ გამოარჩია ოცდაათი ათასი კაცი და პირადად მიმართა ვაშლოვანს: „ძებნად სისხლთა ტაოს, მოსწყვიდეთ ყოველი და დამხვედით ბანასო, გამასპეთა მისათა“, და დანარჩენს ლაშქარს უბრძანა: მიდით, რჯვებული მეც შემოვიქცევი მუნ და იქიდან შევესიოთ ყოველსა საქართველოსა.

თურქთა ბანაკისაკენ გამგზავრებულ ბექას ოთხი თურქი ტყვედ ჩაუვარდა ხელში. ცალ-ცალკე დაჰკითხეს და ოთხთავე ერთი სთქვეს: აზატ-მოსეს ვაშლოვანს წასვლა და სხვათა ტაოს ასაოხრებლად გამზადება. მაშინ ბექამ თვისი სპანი ორად გაჰყო: უმთავრესი თავის შვილს სარგისს ჩააბარა და ვაშლოვანისაკენ გაგზავნა აზატ-მოსეს წინააღმდეგ. მიეწივნენ გზაზე ქართველნი თურქთა. ესენი შემობრუნდენ და გაეხარდათ, რამეთუ მცირე იყო სარგისის ლაშქარი. ხოლო მესხთა მხნედ შემოუტიეს. იქნა ომი სასტიკი, შედრკენ თურქნი, იელტოდენ და სარგისი სდევნიდა და შემუსრავდა მათ.

ბექაცა თავის ჯარითა წინ შეემთხვია ტაოსკენ მიმავალ თურქთა, რომელნიც გაოცდენ მოულოდნელობით და თუმცა ღა ცხარედ იბრძოდენ, მაინც ვერ გაუმკლავდენ ბექას და იძლივნენ. გაიქცენ და სიმაგრეთ თავი შეაფარეს. საღამოს შეერთდენ სარგისის და ბექას სპანი. გარე მოადგენ სიმაგრეებს და პირველსავე ბრძოლას აიღეს და გამარჯვებულთ დარჩათ ალაფი უთვალავი, ყველანი აღივსენ ოქროთა და ვერცხლითა, ლარითა და ჯოგითა...

და მიერითგან ვერღარა იკადრეს თურქთა მოსვლა.

XII

ლანგ-თემურ

მეთოთხმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში მონგოლთა ბატონობისაგან განთავისუფლებული და კვლავ გაერთიანებული საქართველო — გიორგი ბრწყინვალის დროიდან — ისე გამომთელდა და მოღონიერდა მალე, რომ როცა მონგოლები ლანგ-თემურის მეთაურობით ხელახლა შემოესიენ ჩვენს ქვეყანას 1387 წელს, ქართველებმა პირდაპირ გასაოცარი წინააღმდეგობა გაუწიეს მათ.

ჩვენი მატიანე ასე აგვიწერს თემურის შემოსვლას: „წარმოემართა ქართლსა ზედა, ვითარცა ღელვანი ზღვისანი განძვინებული, რამეთუ წადიერი იყო დაპყრობად საქართველოსა. გარდმოვლო აბოცი, წარმომტყვენელმან და სრულიად იავარმყოფელმან ყოვლისა სანახებისამან, არა ჰყოვნა მუნ, არამედ გარდმოვლო თრიალეთი და საბარათიანო, საშინელებითა და ზარითა დიდითა, რამეთუ ჰყვა ბანაკი და სიმრავლე სპათა ურიცხვი, რომელთა ვერ იტევდენ მთანი და ყოველნივე არენი და სანახები საქართველოსანი, და მოსრნა ყოველივე თრიალეთი და საბარათიანო და გარემონი მკვიდრნი მათ ადგილთანი წარმოსტყვენა და შემუსრნა ყოველნივე სიმაგრენი, ციხენი და გოდოლნი. და არა დაშთა დაბანი, რომელ სრულიად არა აღაოხრა. აროდეს მოწევნულ არს ჭირნი ესევითარნი საქართველოსა ზედა, რომელ მან მოაწია“.

მეფე ბაგრატ მეხუთე ტფილისის ციხეში გაუმაგრდა და დიდხანს უმკლავდებოდა. ბოლოს ძლეულ იქნა და ტყვედ ჩაუვარდა მტერს ცოლითურთ. უკან გაბრუნებულმა თემურმა მეფე თან წაიყვანა, და ჰპირდებოდა ყოველ სიკეთეს, ოღონდ მაჰმადიანობა მიეღო. ბაგრატი უარობდა. მერე დაეთანხმა გარეგნულად და სთხოვა: ჯარ გამატანე, წავალ საქართველოში და მთელს ერს შენს რჯულზე გადმოვიყვანო. გახარებულმა თემურმა თორმეტი ათასი საუკეთესო მეომარი მისცა და ძღვენიც ბევრი გამოაყოლა. წამოვიდა მეფე და ფარულად თავის შვილს გიორგის შეუთვალა: ამა და ამ ალაგას ჩასაფრებული დამხვდი და მონგოლები ამოვწყვიტოთო. მართლაც გიორგი დახვდა ქართველთა სპითა და ერთი მონგოლიც კი არ გაუშვეს ცოცხალი.

ზაშინ გაბრაზებული ლანგ-თემური მეორედ შემოესია საქართველოს, კიდევ უფრო დაარბია და ააოხრა, არ დაუტოვებია გაუძარცვავი და გადაუწვავი არც ერთი ეკლესია, და გასცა ბრძანება, საფუძვლამდე დაანგრიეთ ყველაფერიო.

ქართველები გამწარებით მიეგებენ და „მიეტევნენ ვითარცა ლომი

ჯოგდა მიმართ კაჯართასა და ვითარცა მგელი ფარათა მიმართ თხათასა". გააფთრებულნი იბრძოდენ, ვიდრე მთლად არ დაემსხვრათ იარაღები; ცხენნი და კაცნი სულ სისხლში სცურავდენ. სიმრავლისაგან ძლეულნი ქართველნი სიმაგრეთ მიაშურებდენ და იქიდან განაგრძობდენ თავდაცვას. გარემოცულნი ციხეშიც ვერ ისვენებდენ, გაარღვევდენ ალყას, შეიჭრებოდენ და მუსრს ავლებდენ მტრის ბანაკს. როცა თემური ყველაფერს მოსრავდა და გამარჯვებული უკან გაბრუნდებოდა, ქართველები კვლავ თავს ესხმოდენ, უხოცავდენ ჯარს და უნადგურებდენ საბარგულებს...

გარდაიცვალა ბაგრატი და მისმა შვილმა გიორგი მეშვიდემ „დაიპყრა ყოველი საქართველო, იმერნი და ამერნი, და მეფობდა ერთობით სულიად საქართველოსა ზედა". მისი გამეფება რომ თემურს ესმა, „კვალად აღივსო შურითა და რისხვითა დაუპყრობელითა, რამეთუ ესეოდენი ბოროტი და უკეთურება არა მოეწყინა და არცა დაიცხრო გულის წყრომა თვისი". დასცალა სალარონი და საჭურჭლენი თვისნი და ესრეთ დაიერთგულა სპანი და აღაზრზინა ისინი, ვითარცა მხეცნი გარყვნად საქართველოსა. წარმოემართა უთვალავითა სპითა, მოაწია საზღვართა და წარმოავლინა კაცი და მოუწერა გიორგის ესრეთ:

„მამა შენი, მეფე ბაგრატ არა იქმნა სარწმუნო მორჩილი ჩემი, ბოროტი იყო და ზაკვით განხეთქა ზოგი მეფობისა ჩემისა და ვითარცა ქურციკი გაიქცა მახეთაგან ჩემთა და მოსრა პირითა მახვილისათა სპანი ჩემნი რჩეულნი რიცხვით თორმეტი ათასი. და უკეთუ ამის შემდგომად ქმნილ იყო ერთგული და მორჩილი, არა მაძიებელ ვიყავ შურისა. ვინაითგან აწ შენ დაგიპყრია საქართველო თვინიერ ბრძანებისა ჩემისა, რამეთუ ქვეყანა ესე ბრძოლითა ჩემითა დამიპყრია და საბრძანებელსა ჩემსა ქვეშე არს, — მოვედ ჩემდა და იყავ მორჩილი ბრძანებისა, ვითარცა არს წესი მონათა, და მეცა კეთილის მომქმედ ვიყო შენდა. ხოლო უკეთუ არა ინებო მორჩილება ჩემი, ვყო მრავალი ბოროტი შენზედა და თემთა შენთა ზედა უარესი და ესრეთ სრულიად იავარ ვყო სამეფო შენი".

მეფე გიორგიმ განკიცხა ამპარტავნება და ქედმაღლობა თემურის და შეუთვალა პასუხად:

„სარკინოზ ხარ და ბარბაროს და არა უწყი, რომ უფალი ამპარტავანთა შემუსრავს და მდაბალთა მისცემს მადლსა. მე მეფობისა შენისა არა უმცირეს ვარ, არცა უდარეს, რათა ძირთაგან დავით წინასწარმეტყველისათა აღმოცენებულ ვართ და განგებითა ღვთისათა მეფედ დამკვიდრებულ ვართ საქართველოსა ზედა და სხვა მეფე არა უფლებულ არს ჩვენზედა...

„მზაკვრებითა და ხელოვნებითა ბელზებულთათა დაგიპყრია სულიად აღმოსავლეთი და გყავს სიმრავლე ბანაკთა და სპანი ურიცხვნი. სამ გზის მოსრულ ხარ და იავარ გიყოფიეს სამკვიდრებელი ესე. სამეფო ჩვენი. და არა განძეღ სისხლთა ჩვენთაგან და კვალად გნებავს შეჭმა ხორცთა ჩვენთა ძვალთა თანა. აწ ვინაითგან ეგეევითარითა სილაღითა მოქადულ ხარ, მოვედ, და თუ შენ არა მოხვალ, მე მოვალ რჩეულითა სპითა ჩემითა. შენცა გიხილავს და შენთა სპათაცა უწყიან სიმამაცე და გამოცღილება ომსა შინა ჭაბუკთა ქართველთა, და თუმცა სიმრავლითა ძალისა შენისათა მრავალი ბოროტი გიყოფიეს ჩვენდა ზიმართ, მაგრამ უვნებლად არცა ჩვენგან წარსულხარ“.

მოციქულმა რომ ეს სიტყვა მიუტანა, უფრო განძვინდა ლანგ-თემურ, ვითარცა მსეცი ბოროტი, აღიყარა სიმრავლითა და წარმოვიდა. „ფიცხად მიეტევნენ ქართველნი, ვითარცა ცეცხლი თივათა. და აჰა შეიქმნა ომი ძლიერი იმიერ და ამიერ და დიდად სახელოვნად გამოჩნდენ სპანი ქართველთანი. სვრიდენ და იპყრობდენ და გაგრძელდა ომი და შეაძრწუნეს სპანი ლანგ-თემურისანი. სპანი საქართველოსანი კისკასად შეიკრებოდენ შუა რაზმთა მათთა და ხრმალ წვდილი სვრიდენ და ეგრე გავიდოდენ ბოლომდე და უვნებელნი ეგრე მოიქცევოდენ. ასე გამარჯვებულნი მოვიდოდენ ღვთივ გვირგვინოსანისა მეფისა გიორგის წინაშე და მიულოცავდენ“...

რამდენჯერმე შემოესია ლანგ-თემურ კიდევ ამის შემდეგ საქართველოს, მაგრამ ვერ გასტეხა, ვერცა მეფე გიორგი ხელთ იგდო და ისე მოკვდა — „ბოროტი იგი ბოროტად წარწყმდა“, რომ თან წარიღო ნაღველი თვისი მწარე:

მთელი აღმოსავლეთი დავიპყარ, მხოლოდ საქართველოს საყმოდ თავი ვერ დავადებინეო!..

სამსონ ფირცხალავა

XX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს გამოჩენილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს, ცნობილ პუბლიცისტსა და ჟურნალისტს სამსონ ფირცხალავას (1872-1952).

...მათხოჯში დაბადებულმა ყმაწვილმა ხონის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის გიმნაზიაში, რომელიც დაასრულა 1893 წელს. უმაღლესი განათლების მისაღებად ს. ფირცხალავა პეტერბურგს გაეშურა, სადაც ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. აქ იგი მეგობრობდა მაშინდელ სტუდენტებთან—ივანე ჯავახიშვილთან, ზურაბ ავალიშვილთან, ლუარსაბ ანდრონიკაშვილთან, არჩილ ჯორჯაძესთან, გრიგოლ რცხილაძესთან... პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს სამსონ ფირცხალავა ედგა სათავეში. როგორც ირკვევა, მისი მონაწილეობით არის შედგენილი 1897 წელს, პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა ცნობილი წერილი ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთლისადმი საბერძნეთის განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობის განზრახვის თაობაზე.

1898 წელს ს. ფირცხალავამ დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და სამშობლოში დაბრუნდა. მსახურობდა ქუთაისსა და ჭიათურაში, ხოლო 1901 წელს თბილისში გადმოვიდა და „ივერიის“ რედაქციაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ მალე გადავიდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“. აქ იგი ფსევდონიმებით „კალამი“ და „სიტყვა“ წერდა საკვირაო ფელეტონებს და პუბლიცისტურ წერილებს.

სამსონ ფირცხალავა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთერთი დამფუძნებელი წევრი და ლიდერია. ამიტომაც იყო, რომ იგი ასე აქტიურად თანამშრომლობდა „ცნობის ფურცელში“, რომელიც 1902 წლიდან სოც-ფედერალისტთა პარტიის ორგანო გახდა. 1906 წელს დაარსდა გაზეთი „გლეხი“, რომლის ფაქტობრივი რედაქტორი ს. ფირცხალავა გახლდათ. მომდევნო წლებში გამოვიდა ახალი პერიოდული ორგანოები — „მიწა“, „მზე“ და „ფასკუნჯი“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი ასევე ს. ფირცხალავა იყო (დაწვრილებით იხ. ლ. ნანიტაშვილი, სამსონ ფირცხალავა-რედაქტორი და გამომცემელი 1906-1910 წწ., წიგნში: წერილები, თბ., 1981, გვ.53-70;

შდრ. გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947, №№ 33, 64, 69, 143, 212, 354).

1902 წლიდან ს. ფირცხალავა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრია და 1910 წლამდე მისი მდივანიც.

1907 წელს ს. ფირცხალავამ გ. სალარიძესთან ერთად შეადგინა და გამოსცა დიდად საინტერესო კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება". რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

1910-13 წლები ს. ფირცხალავამ ტვერში გადასახლებაში გაატარა. იქედან დაბრუნების შემდეგ გამოსცა კრებული „გვირგვინი", თანამშრომლობდა „სახალხო გაზეთში", ხოლო 1917-21 წლებში ხელმძღვანელობდა გაზეთ „სახალხო საქმეს".

ს. ფირცხალავას, როგორც რედაქტორ-გამომცემლის გვირგვინად სამართლიანად უნდა ჩაითვალოს ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემა, რომელმაც 1922 წელს იხილა მზის სინათლე (უფრო ვრცლად იხ. ლ. ნანიტაშვილი, სამსონ ფირცხალავა, წიგნში: ქართული წიგნის ამაგდარნი, თბ., 1985, გვ. 119-157).

ემიგრაციაში წასვლამდე ს. ფირცხალავამ საქართველოში რამდენიმე საკუთარი წიგნის გამოცემაც მოასწრო, კერძოდ, „სამაჰმადიანო საქართველო, ან ძველი მესხეთი", ტფ., 1915 და „ეროვნება და ეროვნული თავისუფლება", ტფ., 1918.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში სამსონ ფირცხალავა სხვადასხვა დროს იყო სოც.-ფედ. პარტიისაგან ეროვნული კრების წევრი, დამფუძნებელი კრების წევრი. მან სხვებთან ერთად ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს 1918 წლის 26 მაისს (შდრ. უ. სიდამონიძე, სამსონ ფირცხალავა, ქსე, X, თბ., 1986, გვ. 332).

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ს. ფირცხალავა საფრანგეთში გაიხიზნა, სადაც განაგრძობდა პუბლიცისტურ და პოლიტიკურ საქმიანობას. მის წერილებს ვხვდებით პარიზში გამომავალ გაზეთ „სახალხო საქმე"-ში (გამოცემა უცხოეთში მყოფ სოციალ-ფედერალისტების კომიტეტისა), რომელთაგან აღვნიშნავთ ზოგიერთს: წარსული და მომავალი, "სახალხო საქმე", პარიზი, 1927, თებერვალი; სიტყვა მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას მისი დაბადების 60 წლისთავზე წარმოთქმული, „სახალხო საქმე", 1928, მაისი; გიორგი ლასხიშვილი, „სახალხო საქმე", 1932, აპრილი; რისთვის ვიბრძოდით, რისთვის გვებრძოდნენ, „სახალხო საქმე", 1935, მაისი და სხვ. გარდა

წერილებისა, ს. ფირცხალავა უცხოეთში აქვეყნებდა პოლიტიკური და მეცნიერული ხასიათის წიგნებსაც: კერძოდ, „ამბავთა და საქმეთა მოლოდინში“, პარიზი, 1935; „ისტორიული ლანდები; პარიზი, 1934; „თამარ მეფე“, პარიზი 1939; „ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში“, პარიზში, 1947. და სხვა.

პარიზში 1920-30-იან წლებში გამოდიოდა საქართველოს პოლიტიკური პარტიების სოციალ-დემოკრატთა, ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატთა საერთო ორგანო- „დაძოუკიდებელი საქართველო“, რომელშიც დაბეჭდილია ს. ფირცხალავას წერილებიც:

1. ჩვენი სამი მცნება, „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1926, იანვარი, № 1.
2. სამშობლო უნდა დავიბრუნოთ, „დამ. საქ.“, 1926, თებერვალი, № 2.
3. ევროპისაკენ თუ რუსეთისაკენ? „დამ. საქ.“, 1926, აპრილი, № 4.
4. ბოლშევიზმი და ეროვნება, „დამ. საქ.“, 1926, მაისი, № 5.
5. კიდევ ერთი მსხვერპლი (კარლო ჩხეიძე), „დამ. საქ.“, 1926, იელისი № 7.
6. დემოკრატია, „დამ. საქ.“, 1926, სექტემბერი, № 9.
7. შრომა და ცოდნა, „დამ. საქ.“, 1926, დეკემბერი, № 12.
8. დიდი და პატარა ერები, „დამ. საქ.“, 1927, თებერვალი, № 14.
9. ჩვენ გავიმარჯვეთ, თქვენ დამარცხდით, „დამ. საქ.“, 1927, მაისი, № 17.
10. ტფილისის უნივერსიტეტი, „დამ. საქ.“, 1928, იანვარი, № 25.
11. მაისი და თებერვალი, „დამ. საქ.“, 1928, მაისი, № 29.
12. საფრანგეთის ქართველთა საზოგადოების კრებისათვის, „დამ. საქ.“, 1928, ნოემბერი, № 35.
13. სამი წელი, „დამ. საქ.“, 1929, იანვარი, № 37.
14. მომავალი საქართველო, „დამ. საქ.“, 1929, მაისი, № 41.
15. ეროვნული საკითხი და ბოლშევიზმი, „დამ. საქ.“, 1929, დეკემბერი, № 48.
16. ისტორიული ლანდები, „დამ. საქ.“, 1930, მაისი, № 53.
17. ჩვენი მოწინააღმდეგენი, „დამ. საქ.“, 1930, სექტემბერი, № 57.
18. რუსის სოც-დემოკრატები და ჩვენი დამოუკიდებლობა, „დამ. საქ.“, 1930, ოქტომბერი, № 58.
19. ჩვენი დამოუკიდებლობა და სოც. ინტერნაციონალი, „დამ. საქ.“, 1930, ნოემბერი, № 59.
20. ერთობისათვის, ერთობისათვის და კიდევ ერთობისათვის, „დამ. საქ.“, 1931, იანვარი, № 61.
21. გიორგი ლასხიშვილი, „დამ. საქ.“, 1931, აპრილი, № 64.
22. ისტორიული ლანდები, „დამ. საქ.“, 1931, მაისი, № 65.
23. ქართველ მშობლებს, „დამ. საქ.“, 1931, ოქტომბერი, № 70.
24. ერთი საშუალებათაგანი, „დამ. საქ.“, 1932, იანვარი, № 73.
25. ისტორიული ამბები, „დამ. საქ.“, 1932, თებერვალი, № 74, მარტი, № 75, აპრილი, № 76, მაისი, № 77, ივნისი, № 78, აგვისტო, № 80, 1933, მაისი, № 89.
26. სირცხვილია, „დამ. საქ.“, 1932, თებერვალი, № 74.
27. ბრძოლის კავშირი, „დამ. საქ.“, 1932, აპრილი, № 76.
28. ილია ჭავჭავაძე თავის პოეზიაში, „დამ. საქ.“, 1932, სექტემბერი, № 81.
29. კავკასიელთა ერთმანეთთან დაახლოება, „დამ. საქ.“, 1933, სექტემბერი, № 93.
30. ერების ურთიერთობა საქართველოში ძველად და ეხლა, „დამ. საქ.“, 1933, ნოემბერი, № 95.
31. კულტურულ საქმიანობისათვის, „დამ. საქ.“, 1934, ივნისი, № 102.
32. ქართველები და სომხები, „დამ. საქ.“, 1934, სექტემბერი, № 105.
33. გრიგოლ რცხილაძე, „დამ. საქ.“, 1934, დეკემბერი, № 108.
34. კალევალა, „დამ. საქ.“, 1935, აპრილი, № 112.
35. როგორ ვიდღესასწაულოთ, „დამ. საქ.“, 1935, მაისი, № 113.

36. მშობლებო შვილები გეღუპებათ! „დამ. საქ.“, 1935, ოქტომბერი, № 118.
37. ძვირფასი ღირსება (დ. შარაშიძის ხსოვნას), „დამ. საქ.“, 1935, დეკემ., № 119.
38. ჩვენი ეროვნული გამძლეობა, „დამ. საქ.“, 1935, დეკემბერი, № 120.
39. დედამიწა მაინც ბრუნავს! „დამ. საქ.“, 1936, მაისი, № 125.
40. 1924 წლის აჯანყება, „დამ. საქ“, 1936, აგვისტო, № 126.
41. „ქაოკასიური ცივილიზაცია“. „დამ. საქ.“, 1936, ნოემბერი, № 129.
42. წინოობა ბერლინში, „დამ. საქ.“, 1937, თებერვალი, № 132.
43. თამარ ბაბავას წიგნი, „დამ. საქ.“, 1937, ნოემბერი, № 140.
44. ეროვნული აზრი და ეროვნული გრძნობა, „დამ. საქ.“, 1938, თებერ., № 143.
45. ისტორია მეორდება, „დამ. საქ.“, 1938, აპრილი, № 145.
46. ერო�ia და დისციპლინა, „დამ. საქ.“, 1938, მაისი, № 146.
47. აგვისტის თვის, „დამ. საქ.“, 1938, აგვისტო, № 149.
48. ძვირფასი წიგნი (ექ. თაყაიშვილის „არქ. ექსპ. ლეჩხუმსა და სვანეთში 1910 წ.“), „დამ. საქ.“, 1938, ივნისი, № 147.
49. ბოლონეთი და საქართველო, „დამ. საქ.“, 1938, ოქტომბერი, № 150.
50. ყურადღება! „დამ. საქ.“, 1939, თებერვალი, № 154.
51. ბიბლიოგრაფია (ოლო-ოლთისში და ჩანგლში 1907 წ. არქ. ექსპ. — ექ. თაყაიშვილისა. პარიზი, 1938), „დამ. საქ.“, 1939, თებერვალი, № 154.
52. ბესლეთი (ეთნოგრაფიულ-ისტორიული მიმოხილვა), „დამ. საქ.“, 1939, მარტი, № 155; აპრილი, № 156; მაისი, № 157.

ამათგან მკითხველს ერთ წიგნად ვთავაზობთ ს. ფირცხალავას „ისტორიულ ლანდებს“, რომელშიც 1934 წელს, პარიზში გამოცემულ ამავე სახელწოდების წიგნის გარდა, შევიტანეთ 1939 წელს, პარიზში ცალკე დასტამბული „თამარ მეფე“, რადგან იგი მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს და ერთ მთლიანობად აღიქმება. ავტორის განზრახვა იყო „პატარ-პატარა ამბების სახით გავაცნოთ მკითხველებს საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მთავარი ეპიზოდები... ეხლანდელი ქართველების უდიდესი ნაკლია თავის ერის თავგადასავლის სრული უცოდინარობა და ამით მეტად შეფერხებულია, როგორც ჩვენი საზოგადოებრივი, ისე ყოველდღიური ცხოვრება“... ვფიქრობთ, ავტორმა მიაღწია ჩაფიქრებულ მიზანს და თანამედროვე მკითხველიც მას მადლიერების გრძნობით მიიღებს.

ემიგრაციაში ყოფნის წლებში სამსონ ფირცხალავა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა: იგი თავის ერთგულ პარტიულ ამხანაგთან— ფილიპე შარაძესთან ერთად, ქართულ ენასა და ლიტერატურას, მშობლიურ ისტორიას ასწავლიდა და აყვარებდა ხაფრანგეთში დაბადებულ ახალ ქართულ თაობას. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ სამშობლოში დაბრუნების წინ, 1948 წლის იანვარში, დაწერილი სამსონ ფირცხალავას „ჩემს მოწაფეებს!“, რომელიც მიმართულია უცხო მხარეში დარჩენილ ქართველი ახალგაზრდობისადმი:

„ჩემო საყვარელო მოწაფეებო, სამშობლოს დაშორებულო პატარა ქართველებო! გტოვებთ — მივდივარ, ვბრუნდები საქართველოში, და

გული მეწვის, ცრემლები მადგება თვალებზე, რომ თქვენ გშორდებით, ჩემს საუკეთესო მეგობრებს, რომლებიც იმდენს გამახარებდით და მასიამოვნებდით თქვენის მადლით და სიკეთით...

მშობლიური, მზრუნველი გულით გადევნებდით თვალ-ყურს და ხალისით გასწავლიდით ქართულის წერა-კითხვას, გიამბობდით საქართველოს ამბებს, აგიწერდით მის სილამაზეს, თავგადასავალს, ჩაგინერგავდით მის სიყვარულს და პატივისცემას.

ვუცქერდი თქვენს შექცევას — თამაშს, ცელქობას, ვარჯიშობას, ცეკვას, სიმღერას; და თვალწინ გადამეშლებოდა საქართველოს სიტურფე და სიდიადე. თქვენს მიხვრა-მოხვრაში, გამომეტყველობაში ვხედავდი ქართველ ხალხს ძლიერი სულით და კეთილი გულით. მუდამ მხნეს, გაუტეხელს, ერთგულს; თქვენი ხმა — ეს შორი საქართველოდან მოსული ხმა იყო, თქვენი ღიმილი — ჩვენი მშობლიური ქვეყნის სიხარული, თქვენი დუმილი და დაფიქრება — მისი, საქართველოს, მრავალჭირნახულის, ნაღველი; თქვენს სახეზე იხატებოდა მთელი საქართველოს ბუნება — მქუხარე მდინარეები, მაღალი კლდოვანი მთები, დაბურული ტყეები, ამწვანებული, ვარდ-ყვავილებით მოქარგული ველები, ბაღ-ვენახები, ყანები.

და თქვენს შემყურეს მომძლავრებულად ამიტოკდებოდა გული, თქვენით გამხნეგებულს მავიწყდებოდა ჩემი ჭირი და სიმწარე და იმედით შევყურებდი მომავალს...

ფხიზლად ვუკვირდებოდი ყველაფერს, რაც ჰბორკავდა თქვენს ქართულს სულს, ქართულს შეგნებას და ვამხილებდი იმ მშობლებს, რომლებიც არ ცდილობდენ შვილების ქართველებად აღზრდას.

გამახარებდა იმ ქართველ ოჯახში მისვლა, სადაც შეგხვდებოდით თქვენ , ქართველ ბავშვებს, ქართულად გაზრდილებს, ტკბილი ქართულით მოლაპარაკეებს...

ასე ვიყავი მუდამ თქვენი მოსიყვარულე, თქვენი მასწავლებელი, თქვენზე ვფიქრობდი, გავიხარებდი მუშაობით თქვენთვის.

და დღეს გტოვებთ, გშორდებით, მეტად მწარეა ეს ჩემთვის და ჩემი გული სანახევროდ თქვენთან რჩება.

ჩემო საყვარელო, საიმედო რამინ და თამაზ, გოგი და თამარ, გურამ და ჯიბო, ნუცა, შალიკო და ეთერ, ციალა და თეო, კუკური—ვასო, როსტომ და ელიკო, ეთერ და კიდევ ეთერ, დიკა და ზურაბ, რეზიკო და ნათელა, რუსუდან და კიდევ რუსუდან, თინა, ტიტი, ანდრო, ტამი, ინეს, მიშელ და დომინიკ, და თქვენც, პატარა ჩიტუნებო—გივი, გუნანა, გუ-

ლიკო, და ოთარ, რომლებიც ემზადებოდით ქართული წერა-კითხვის სასწავლებლად და ხშირად მეჭიკჭიკებოდით: „დედა ენა უნდა ვისწავლოთო,“ და თქვენც სხვებო, რომელთაც ხანდახან შეგხვდებოდით, ყველას, ყველას, ყველას გემუდარებოდით: იყავით მუდამ ქართველები, ისწავლეთ კარგად ქართული, გაიცანით ფართოდ საქართველო, მისი ისტორია, მწერლობა ხელოვნება; გიყვარდეთ ძლიერ ქართველი ხალხი, მისი ათას და ათას წლების ცხოვრება გმირული ბრძოლაა თავისუფლებისა და ეროვნული ღირსებისათვის, იგი ვერ გატეხა ვერავითარმა ჭირმა და განსაცდელმა და დღემდის ცოცხლობს მხნედ და მაგრად.

თქვენი გული მუდამ საქართველოსთვის უნდა სცემდეს, თქვენი თვალები სულ საქართველოსკენ უნდა იცქირებოდენ: თქვენი ბედნიერება იქაა მხოლოდ. რაც უნდა დაწინაურდეთ აქ, უცხოეთში, არასოდეს იქნებით ბედნიერები. აქაური ცხოვრება არ შეგითვისებთ. უნდა დაუბრუნდეთ სამშობლოს ადრე თუ გვიან. იგი მიგიღებთ სიყვარულით, გულით, ალერსით.

იმუშავეთ ბეჯითად. გახდით კარგი ადამიანები, მცოდნენი, სხვა და სხვა საქმის სპეციალისტები, მეცნიერებიც და მთელი თქვენი ცოდნა, გამოცდილება, ნიჭი და ძალა მიუტანეთ სამშობლოს და თავდადებით ემსახურეთ მის ამაღლებას, განათლებას, გამდიდრებას...

ჩაიბეჭდეთ თქვენს წმინდა გულში ეს ჩემი ვედრება-ანდერძი და ნუ დაივიწყებთ თქვენს მასწავლებელს „ბიძია სამსონს“. მშვიდობით! ჩაგიკრავთ ყველას გულში და მხურვალედ გაკოცებთ.

იყავით მუდამ ქართველები, გიყვარდეთ საქართველო, საქართველო — ჩვენი სამშობლო!

სამსონ ფირცხალავა
1948. იანვარი“.

...რა იცოდა სამშობლოსკენ სიხარულით და იმედებით მომავალმა 80 წელს მიღწეულმა მოხუცმა, რომ სულ რაღაც ოთხ წელიწადში, შუა აზიაში გადასახლების გზას გაუყენებდნენ და იქ ამოხდებოდა ტანჯული სული!...

ს ა რ ჩ ე ვ ი

ისტორიული ლანდები: 7

I 7

II

ისტორიული ამბები: 15

წმ. ნინოს სიზმარი 15

არჩილის თავის-განწირვა 18

ხაკანის ტყვე 20

ბაგრატ მეოთხის სიკვდილი (1072 წ.). 22

დავით აღმაშენებელი და ხოჯა იბრაჰიმი 26

ფრთოვანნი ლომნი 30

ლომის ბოკვერი 32

თამარ მეფე 35

ჯალალედინ 76

ცოტნე დადიანი 79

დიმიტრი თავდადებული 81

ბექა ჯაყელი 83

ლანგ-თემურ 86

სამსონ ფირცხალავა (გურამ შარაძე) 89

САМСОН ПИРЦХАЛАВА
ИСТОРИЧЕСКИЕ ПРИЗРАКИ ЦАРИЦЫ
ТАМАР
(Очерк)
(На грузинском языке)
из-во «Мерани»
Тбилиси
1990

მხატვარი ჯ. ზენაიშვილი
მხატვრული რედაქტორი ს. ცინცაძე
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე
კორექტორი მ. ჩხაიძე
გამომშვები ნ. კვატაშიძე

ს. ბ. 4961

ჩაბარდა წარმოებას 27.11.89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.01.90 წ. უე 019
ფორმატი 60×841/16. ქაღალდი საბეჭდი № 1. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭ
მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 5,58. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცე
5,37. პირობითი საღებავ-გატარება 5,81. ტირაჟი 50.000. შეკვეთა № 659.

ფასი 2 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის პრ. 42. თბილისი 1990.

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის № 1 სტამბა,
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. 50.

Типография № 1 Государственного комитета Грузинской ССР
по печати. Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50